ლიტერატურული გაზეთი

№19(155) 16 - 29 ოქტომბერი 2015 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

გიორგი ლობჟანიძე

ფრაგმენტები სათუო პოემიდან



1.

სათარგმნზე თავჩამხობილს მეძინება.
ეს სამტომეულის პირველი ვეებერთელა ტომია
და ამიტომაც
გარეკანზე
ახალგაზრდა პოეტი ახატია —
აჰმად რეზა აჰმადი,
რომელიც ძალიან ჰგავს თამაზ ბაძაღუას,
ოღონდ თამაზისაგან განსხვავებით,
პუნტულა, წითელი ლოყები არა აქვს,
რის გამოც, ერთხელ, იზა ორჯონიკიძეს,
არცთუ უწყინარი ხუმრობით,
უთქვამს თამაზისთვის:
როგორ შეიძლება წითელლოყებიანი პოეტი!
სასწრაფოდ გახდიო...

მე წითელლოყებიანი, მსუქანი მთარგმნელი ვარ,
ყოფილი პოეტი.
ლექსებს აღარა ვწერ
და ამიტომაც,
მკიდია, როგორ გამოვიყურები.
ამ ჩემს ფეხებს,
თუ ამ ატრუებულ დედათა და მამათა ამბოხს
ვნებას არ აღვუძრავ.
პეპელასავით ჩავხმი ჩემს ასაკში,
რომლის გვირგვინიც თანდათან იხურება
და მხოლოდ წარსულიდან მონაბერი
ქარიღა მაფრიალებს.

მძინავს...
შუქი ანთებული მრჩება.

2.

შუაღამისას
უეცრად ვიღვიძებ.
სახე აჰმად რეზა აჰმადის სახეზე მაქვს მიჭყლეტილი.
თვალებს ვახელ და
პირველი მის თვალებს ვეფეთები,
როგორც ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას,
მრავალთაგან ერთ-ერთს,
ოღონდ ისეთს,
რომლის მიზეზიც ამჯერად მაინც
თვითონ არ ვყოფილვარ:
მხოლოდ ამ კაცთან შემეძლო მემეგობრა
და სწორედ ისეთთან, როგორიც ამ სურათშია:
ახალგაზრდასთან,
ვიდრე მზერას
ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებზე დარდი
ჩაუღლიდა.
მესამე ტომის სურათიდან სწორედ ასე იმზირება
და მე იმ მესამე ტომიდან
ჯერ არც ერთი ლექსი არ მითარგმნია...
პირველ ტომში
მცენარეების სახელთა დაზუსტებამ გამაწვალა.
რა ამბავია,
ყველა ბალახს რომ თავისი სახელი აქვს!
დაილოცოს ვეფხო ტოკლიკიშვილი,
რომელიც ყველა ყვავილს „ყაყაჩოს“ ეძახის
და ეს სრულებით საკმარისია იმის გამოსახატავად,
რაც მამაკაცს შეუძლია გადმოსცეს
ყვავილთან მიმართებით.



VIII

ივანე ამირხანაშვილი

ტექსტი — დრო — კონტექსტი

მეხსიერების ზამთრის სასახლეები

ერიკ ფაი. თანამედროვე ფრანგი მწერალი. დაბადებულია 1963 წელს. 2010 წელს გამოაქვეყნა მოთხრობა „ნაგასაკი“.

ამბავი მართლაც ნაგასაკიში ხდება.

მთავარი პერსონაჟი, მარტოხელა სიმურა-სანი ეჭვობს, რომ მისი სახლში ვიღაც არის. დააყენებს ვებ-კამერას და მისი ეჭვი დადასტურდება.

პოლიცია დააკავებს სახლში ფარულად მცხოვრებ ქალს და ოთხთვიან პატიმრობას მიუსჯის, მაგრამ მთავარი სხვა რამეა.

ირკვევა, რომ ეს ქალი ამ სახლში დაიბადა და რვა წლამდე აქ იზრდებოდა. მშობლები ტრაგიკულად დაეხოცა და ნათესავებმა გაზარდეს. სახლი გაიყიდა.

გაივლის წლები და უსახლკაროდ დარჩენილი ქალი შეიპარება სიმურას ბინაში, რომელიც ერთ დროს მისი მშობლიური სახლი იყო და მთელი წელიწადი ჩუმად, თაგვივით უხმაუროდ ცხოვრობს კარადაში დამალული.

უცნაური და სევდიანი ამბავია.

უფრო სევდიანია ამ ქალის მიერ სიმურა-სანისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მსოფლიოს თითოეული ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ ყველა ადამიანს ეძლევა უფლება, როცა მოესურვება, დაუბრუნდეს თავისი წარსულის ადგილებს, გადაეცეთ მათ გასაღებები, დაუბრკოლებლად შევიდნენ მეხსიერების ზამთრის სასახლეებში, ხოლო ახალ მფლობელებს უფლება არ ჰქონდეთ ხელი შეუშალონ ამ ადამიანებს. ასეთია ჩემი ღრმა რწმენა და თუკი ოდესმე მომეცემა საშუალება ჩავერთო პოლიტიკურ ბრძოლაში, ეს იქნება ჩემი წინასაარჩევნო პროგრამის ერთადერთი პუნქტი“.

როგორი მიზიდულობა აქვს მშობლიურ სახლს და, ალბათ, რაოდენ დიდია ეს განცდა იმ ადამიანებში, ვისაც ომებით აძევებენ საკუთარი სახლებიდან და შემდეგ დევნილებს, მიგრანტებსა თუ დროებით გადაადგილებულ პირებს უწოდებენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, მთელი ცხოვრება დევნილობაა — აბა, რა არის. ცხოვრება ყველას სათითაოდ გვაძევებს ჩვენი სახლებიდან და შემდეგ ვეძებთ დაბრუნების გზებს, რომლებიც არ არსებობს.

„Домой возврата нет“. ასე ერქვა თომას ვულფის რომანს. ქართულად არ არსებობდა. მისი კულტი თამაზ ბაძაღუამ დაამკვიდრა ჩვენს წრეში. სხვათა შორის, მე ვათხოვე წასაკითხად — მწვანე კოლენკორიანი ყდა ჰქონდა. დაიკარგა ის წიგნიც, „შინ ვერ დაბრუნდა“...

მსოფლიო ისტორიის არც ერთ პერიოდს არ ჩაუვლია დევნილობის გარეშე.

კაცობრიობის ისტორია დევნილობის ისტორიაა.

IX



ლალი ავალიანი

ლიტერატურული მისტიფიკაცია, როგორც მოდერნისტული პარადიგმა

პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დღიურები“

მისტიფიკაცია მრავალფეროვანია: ყოფით-ცხოვრებისეული, პოლიტიკურ-პოლემიკური, თაღლითურ-მერკანტილური, პიროვნულ-ავანტიურისტული; ასევე — გართობის, გახუმრების, ნიღბის მორგების, თეატრალურობის, კრეატიულობის, თამაშისა თუ ეპატაჟის გამოვლენა და ასე შემდეგ. ყველა ნიუანსს, ალბათ, ვერც ჩამოვთვლი.

„მისტიფიკაცია“ ძველბერძნული და ლათინური სიტყვების კომპოზიტია: myctes — განდობილი; საიდუმლოს მფლობელი — დაწყვილებულია ლათინურთან: facere — კეთება.

ასეა თუ ისე, რა მაღალფარდოვნადაც უნდა ჟღერდეს მისი დეფინიცია — მისტიფიკაციის ამოსავალი არის ტყუილი, სხვათა შეცდომაში შეყვანა, გაცურება-გაცუცურაკება, რა თქმა უნდა — გარკვეული მიზნის მისაღწევად.

ამ მხრივ არც ლიტერატურული (ტექსტური) მისტიფიკაციაა გამონაკლისი, მისი ფესვები შორეულ წარსულშია საძიებელი.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ლიტერატურული მისტიფიკაცია — როგორც მოდერნისტული პარადიგმა. მოდერნიზმისა და ავანგარდიზმისათვის ორგანული იყო მისტიფიცირების მრავალი ნაირსახეობა; უწინარესად კი, თეატრალურობის, თამაშის, ეპატაჟის, საზოგადოების გამოწვევის სურვილი (გავიხსენოთ რემი დე გურმონის „საკულტო“ წიგნის სათაური — „ნიღაბთა წიგნი“, გამოცემული პეტერბურგში 1913 წელს).

XX საუკუნის დასაწყისში სწორედ ქართული მოდერნიზმის წიაღში პოვა განსხეულება ბრწყინვალე ლიტერატურულმა მისტიფიკაციამ პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დღიურების“ სახით.

მისტიფიკაცია ლიტერატურის ძალზე სპეციფიკური „ჟანრია“. გარდა ნიჭიერებისა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის პიროვნულ, შემოქმედებით მონაცემებს, ფსიქოლოგიურ მზაობას მისტიფიცირებისათვის, გარდასახვის, სტილიზაციის, იმიტირების უნარს, აგრეთვე, ახლისმაძიებლის აზარტს, რისკს და გაბედულებას.

არ არის შემთხვევითი, რომ პაოლო იაშვილს, ბუნებით მინიჭებული ლიდერის თვისებების გარდა, უხვად ჰქონდა მომადლებული ყველა ზემოხსენებული თვისება.

ლიტერატურული მისტიფიკაცია (ალბათ, მასალის სიმცირის გამო) ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სრულიად უგულებელყოფილია; მეც მხოლოდ არჩილ სულაკაურის — XX საუკუნის „სამოციანელთა“ თვალსაჩინო წარმომადგენლის — „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი პოემა მახსენდება (ეს მისტიფიკაცია საოცრად დღემოკლე აღმოჩნდა — მოგეხსენებათ, თბილისი იყო პატარა ქალაქი, სადაც არაფერი დაიმალებოდა).

დღესდღეობით, XX საუკუნეში ერთადერთი ეჭვმიუტანელი, წარმატებული ლიტერატურული მისტიფიკაცია გვაქვს, რომელიც „ცისფერყანწელთა“ ზეობის პერიოდს (1915-1924) უკავშირდება. ისიც აღსანიშნავია, რომ პაოლო იაშვილს ასევე ეკუთვნის უცნაურზე უცნაური წერილი — ეგრეთ წოდებული ფუტუროლოგიური მისტიფიკაცია: „ყანწელები 1942 წელში“ („ბარრიკადი“, 1922, №5); ავტორი „წინასწარმეტყველებს“ — რა ბედი ეწევა „ცისფერ ორდენს“ (საქართველოს, ქართულ პოეზიას) 20 წლის შემდეგ.

* * *

განასხვავებენ ლიტერატურული მისტიფიკაციების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ხალხური შემოქმედების ყალბი ნიმუშები;
2. ყალბი თარგმანები;
3. ნაყალბევი საავტორო ნაწარმოებები.

ამჯერად მხოლოდ მესამე ჯგუფის ლიტერატურული მისტიფიკაცია გვაინტერესებს:

ხშირად ლიტერატურული მისტიფიკაციისა და ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების აღრევა ხდება.

ფსევდონიმმა განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო, ზოგ შემთხვევაში იგი ლიტერატურულ მისტიფიკაციად იქცა. ეს, უწინარეს ყოვლისა, სტილიზაციის საშუალებით მოხდა. იური ტინიანოვის აზრით, არსებობს სტილის ისეთი მოვლენები, რომლებიც ავტორის სახეს ქმნის: ლექსიკის, სინტაქსის თავისებურებანი, ფრაზის ინტონაცია მიგვანიშნებს ავტორის უჩინარ, მაგრამ ამასთანავე მაინც კონკრეტულ თვისებებს — განსაკუთრებით მაშინ, თუ მთხრობელი პირველი პირია, ეს ოდნავ შესამჩნევი თვისებები კონკრეტულ სახეს უახლოვდება. თუ ავტორი ფსევდონიმს ეფარება და შეგნებულ სტილიზაციასაც მიმართავს, საქმე მისტიფიკაციასთან გვაქვს.

სტილიზაცია მისტიფიკაციის ყველაზე არსებითი ნიშან-თვისებაა, ურომლისოდაც ვერ იარსებებს; მისტიფიკაცია უმალვე იქნება მხილებული თუ ნამდვილ ავტორს სათანადო სტილური ნიღაბი არა აქვს მომარჯვებული.

სტილიზაცია, რომელსაც მისტიფიკატორი მიმართავს, მეტად რთული პროცესია და ევგენი ლანის დაკვირვებით, ორ სტადიად იყოფა:

1. გამოგონილი ავტორის სახის შექმნა;

2. პერსონაჟების შექმნა უცხო ფსიქიკური სამყაროს თვალთახედვით.

მისტიფიკატორს არა მხოლოდ სამწერლო — უცხო სტილის შემქმნელის (ზოგ შემთხვევაში იმიტატორის) სპეციფიკური ნიჭიც უნდა გააჩნდეს. „Создаваемый автор есть тот же герой — но тем то и отлично дарование стилизатора от нормального художественного дара, что, создав автора, стилизатор умеет выключать свой опыт и увидеть героев **чужими** глазами“.

ლიტერატურული მისტიფიკაციის სპეციფიკის გარკვევისათვის მივმართოთ ორიოდე მაგალითს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან.

1825 წელს ახალგაზრდა პროსპერ მერიმემ გამოაქვეყნა „ესპანელი მსახიობი ქალის“ — კლარა გასულის — პიესების კრებული. არარსებული ავტორისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, მერიმემ მეორე გამოგონილი პირი, კლარა გასულის მეგობარი, მთარგმნელი და გამომცემელი ჟოზეფ ლესტრანჟი მოიშველია და კრებულს წაუმძღვარა მისი წინასიტყვა, რომელშიც მსახიობი ქალის „ბიოგრაფიას“ გადმოსცემდა. კრებულის რამდენიმე ცალს ახლდა კლარა გასულის „პორტრეტი“. ეს ესპანელი ქალის ტანსაცმლით მორთული მერიმეს პორტრეტი იყო, დახატული მისი მეგობრის, დელეკლიუზის მიერ.

მერიმემ მისტიფიკატორის უბადლო ნიჭი გამოამჟღავნა: შექმნა მამაცი და თავისუფლებისმოყვარე, მომხიბლავი და დაუდეგარი ესპანელი ქალის სახე; დაინახა ესპანეთი კლარა გასულის თვალით და ბრწყინვალედ გადმოსცა ესპანური კოლორიტი.

ყოველივე ამან სასურველი შედეგი გამოიღო: მისტიფიკაციამ გაიმარჯვა. „კლარა გასულის საიდუმლოება“ მხოლოდ ფრანგი მწერლების ერთმა ჯგუფმა იცოდა. კერძოდ, დელეკლიუზის მეგობრებმა, რომლებსაც მერიმე უკითხავდა თავის პიესებს გამოქვეყნებამდე.

პროსპერ მერიმეს თანამედროვის, პეტრე ვიაზემსკის მისტიფიკაცია „მემუარები“ — „ომერ დე-გელის წერილები და ჩანაწერებიც“ — დიდ ინტერესს იწვევდა „ცისფერყანწელებში“. პუშკინის დიდი თაყვანისმცემელი, შემდეგში, ნაყოფიერი მთარგმნელი პაოლო იაშვილი კარგად იცნობდა პუშკინის გარემოცვას (ვიაზემსკი — პუშკინის მეგობარი და თანამოაზრე, „არზამასის“ წევრი იყო) და, ცხადია, ომერ დე-გელის „მემუარებსაც“.

XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის თვალსაჩინო ფიგურაა კოზმა პრუტკოვი, ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მწერალი-სატირიკოსი „არარსებულთა“ პლეადიდან.

სატირული ნიჭით დაჯილდოებულმა ალექსეი ტოლსტოიმ და ძმებმა ჟემჩუჟნიკოვებმა შექმნეს გონებაჩლუნგი ჩინოვნიკის სახე, გაამასხარავეს რეაქციულ-ბიუროკრატიული რეჟიმიც და ჭეშმარიტი პოეზიის „კრიტიკოსებიც“.

„ცისფერყანწელები“, ომერ დე-გელისაგან განსხვავებით, პრუტკოვის „შემოქმედებთ“ არც დაინტერესებულან; დენდიზმის მიმდევარ ჩვენს პოეტებს, ალბათ, უფრო ის მოხიბლავდათ, რომ კოზმა პრუტკოვის „ავტორები“, თავისი დროის უმაღლესი საზოგადოების „Светские львы“ და დახვეწილი ინტელექტუალები, ასე ოსტატურად ინიღბებოდნენ.

გავიხსენოთ, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის ერთ-ერთი ყველაზე ეპატაჟური ლექსი — „ტომას ჩატერტონ“ — ეძღვნება მეთვრამეტე საუკუნის 18 წლის ინგლისელ მისტიფიკატორს, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ეს ტრაგიკული ხვედრის ინგლისელი ახალგაზრდა, ალბათ, ფრანგი ეგრეთ წოდებული დაწყევლილი პოეტების წინამორბედი იყო.

* * *

ელენე დარიანის სახელი პირველად 1915 წლის აგვისტოში გამოჩნდა: ქუთაისის გაზეთი — „სამშობლო“ — იტყობინებოდა, ელენე დარიანის ლექსების ბეჭდვა მერმისისათვის გადაიდო (1915 წ., №159). „სამშობლოში“ ეს ლექსები არ დაბეჭდილა. ელენე დარიანის „გამომგონებელმა“ პაოლო იაშვილმა ისინი პირველად გალაკტიონის სალიტერატურო საღამოზე წაიკითხა 1915 წლის 20 სექტემბერს, ქუთაისის თეატრში. მონაწილეთა შორის „სამშობლო“, გალაკტიონის გარდა, ასახელებდა ვალერიან გაფრინდაშვილს, შალვა დადიანს, ვარლამ რუხაძეს და, როგორც ორ განსხვავებულ პიროვნებას — ელენე დარიანს და პაოლო იაშვილს. ამით სათავე დაედო მისტიფიკაციას, წლების მანძილზე საგონებელში რომ აგდებდა მკითხველ საზოგადოებას.

ელენე დარიანის ნატიფი და თან იმ დროისათვის საოცრად „ეროტიკული“ ლექსებით წარუდგა პაოლო იაშვილი საზოგადოებას. „განდობილთა“ გარდა, მაშინ ეჭვიც კი არავის ეპარებოდა, რომ ელენე დარიანის სახელს პაოლო იაშვილი ეფარებოდა (მისი მიზანიც ეს იყო).

„დარიანულ“ ლექსებს დამსწრეთა გაოცება და აღშფოთება გამოუწვევია: „პ. იაშვილმა წაიკითხა ქართველი ქალის, ელენა დარიანის ლექსები, რომელთაც საზოგადოება გააკვირვეს თავისი საოცრებით და გაბედულობით. ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდა“ — იუწყებოდა თბილისის ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (1915 წ., №40).

ელენე დარიანის ეს ლექსები დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „მეგობრის“ ნოემბრისა და დეკემბრის ნომრებში. ესენია — „ძახილი“, „ჩემი თავადი“ (1915 წ., №33) და „ზამთარში“ (№62).

გალაკტიონის საღამოზე პაოლო იაშვილს წაუკითხავს მოხსენებაც — „სამშობლოს გარეთ ომის დროს. პარიზი. ლონდონი. ჩრდილოეთი. იმპრესიონისტული შთაბეჭდილებანი“ („სამშობლო“, 1915 წ., №177).

დამსწრეთათვის მოხსენებაც ისევე მოულოდნელი და უცნაური ყოფილა, როგორც ელენე დარიანის პოეზია.

ელენე დარიანის სახელს ამოფარებულმა პაოლო იაშვილმა პირველად გაიბრძოლა ტრადიციული სატრფიალო ლირიკის წინააღმდეგ და პარიზიდან ჩამოყოლილი ეპატაჟის სურვილიც დაიკმაყოფილა. ქალის სახელი მსმენელის „შოკის“ მყარ გარანტიას იძლეოდა: გრიგოლ რობაქიძე მართლაც ძალზე თამამი ეროტიკული სახეებისათვის ერთხელაც არ შეურისხავთ, მაგრამ ქალი „სხვა“ იყო.

1916 წლის თებერვლის დამლევს ქუთაისის ალმანახ „ცისფერ ყანწებში“ კვლავ გამოჩნდა ელენე დარიანი — „ცისფერი ორდენის“ ერთადერთი „პოეტი ქალი“.

ქუთაისელები აღაშფოთა ელენე დარიანის „ურცხვმა“ ლექსებმა — „მხატვრულად განცდილი ეროტიკა“ გარყვნილების ქადაგებად მიიჩნიეს.

მთავარი „ბატალიები“ კი წინ იყო.

კაფე-საჩაიეში გამართული პოეზიის საღამო 1916 წლის 9 მარტს გაიმართა — ეს იყო „ცისფერყანწელთა“ პირველი საჯარო გამოსვლა, პირველი უშუალო შეხვედრა მკითხველთან. პაოლო იაშვილის „პირველთქმით“ აფორიაქებულ ქუთაისელთა უმეტესობა სასეიროდ იყო მოსული.

დამსწრეთა ერთმა ნაწილმა „ცისფერყანწელებს“ ობსტრუქცია მოუწყო: „ჯავრი პაოლო იაშვილზე იყარეს. როგორც კი დაიწყო ლექსის კითხვა, შეიქნა ზარის რეკა, სტვენა, ხმაურობა... ქალები მოითხოვდნენ გაეგდოთ გარეთ“ („თანამედროვე აზრი“, 1916 წ., №59). „ცისფერყანწელთა“ მოთავეს სურდა ელენე დარიანის ლექსების წაკითხვა, მაგრამ კვლავ შეაწყვეტინეს“ („სამშობლო“, 1916 წ., №309).

„ცისფერყანწელებმა“ საწადელს მიაღწიეს: ალამანახმა მთელი ქუთაისი აალაპარაკა — „ქუთაისში ომია, ქუჩაში გამართული ომი“ — იუწყებოდა „ჩვენი მეგობარი“ (1916 წ., №20). „დარიანული“ ლექსები ამ „ომის“ კიდევ უფრო გაცხარებისათვის იქნა გამოყენებული.

დიდი ხანია (დაახლოებით 20-იანი წლების ბოლოდან), „ელენე დარიანს“, ჩვეულებრივ, პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მიიჩნევენ. დღევანდელი თვალსაზრისით ასეა; მაგრამ, 1915-24 წლებში, როცა „დარიანული“ ლექსები იბეჭდებოდა, ეს წმინდა წყლის ლიტერატურული მისტიფიკაცია იყო.

თანამედროვეთა გადმოცემით, პაოლო ყველა ჯურის მისტიფიკაციის დიდოსტატი ყოფილა: ის ხან გამოცდილი სეკუნდანტის ნიღბით მოევლინებოდა შეშინებულ „დუელანტებს“ ნარიყალას მთაზე (ლადო გუდიაშვილის მოგონება), ხან კი რუსი ავანგარდისტების მიერ გენიოსად აღიარებული ველიმირ ხლებნიკოვის „დაუბეჭდავი“ (ნამდვილად — ექსპრომტად, იქვე შეთხზული) ლექსებით აკვირვებდა კაფე „ქიმერიონში“ თავშეყრილ პოეტებს.

„დარიანული“ ლექსები გამართლებულია ტიციან ტაბიძის „ნიღაბის აპოლოგიით“: „ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების, — ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი“ („ცისფერი ყანწები“, 1916 წ., №1). ევგენი ლანმა „ნაყალბევ“ ნაწარმოებში ნიღბის სიყვარული, ლიტერატურის „თეატრალიზაციის“ სურვილი შენიშნა. სწორედ ამ „თეატრალიზაციის“ გამოვლენაა ელენე დარიანიც.

ცნობილია, რომ ვალერი ბრიუსოვი კრებულებში — „Русские символисты“ (1894-95 წწ.) თავის ლექსებს, საკუთარი გვარის გარდა, სხვადასხვა ფსევდონიმით (მათ შორის — „პოეტესების“ სახელით) აქვეყნებდა. ფსევდონიმით ხელმოწერილ ლექსებში იგი შეგნებულად მიმართავდა სტილიზაციას: ეგრეთ წოდებული მისტიფიკაციის საშუალებით არარსებულ პოეტებს „ქმნიდა“ და ამით სიმბოლიზმის „მიმდევართა“ რიგებს განამტკიცებდა. პაოლო იაშვილის „ფერისცვალებაც“ ალმანახის



მონაწილეთა რიცხვის გაზრდასაც ითვალისწინებდა უთუოდ.

იმთავითვე დაიბადა ეჭვი, რომ ელენე დარიანის სახელს სხვა პიროვნება, კერძოდ, მამაკაცი-პოეტი ეფარებოდა: „ჩვენ ეჭვი გვებადება, რომ ქართველი ქალი ამ რიგათ დაცემულიყოს, და ვეჭვობთ, რომ ის მართლა ელენე იყოს“ — ვკითხულობთ „სამშობლოში“ (1916 წ., №305). ამასვე იმეორებდა თბილისის გაზეთი „ახალი კვალიც“: „არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ქართველი ქალი ამდენად გაურცხვდა. ეჭვი გვაქვს, რომ ის მართლა ელენე იყოს“ (1916 წ., №14).

„ჩვენს მეგობარს“ („მეგობრის“ ახალი სახელწოდება), რომლის ფურცლებზეც პირველად დაიბეჭდა ელენე დარიანის ლექსები, მოსთხოვეს პოეტის ვინაობის გამოაშკარავება. „ელენე დარიანს არ ვიცნობთ და არც მისი მიმართულება ვიცით!“ განაცხადა რედაქციამ (1916 წ., №20).

„ცისფერყანწელებმა“, რომელთა ძმობა-მეგობრობა საარაკო იყო, ცხადია, იცოდნენ პაოლო იაშვილის მისტიფიკატორული ოინები და შეგნებულად ხელს უწყობდნენ მას.

1926 წელს „მნათობის“ კრიტიკოსი „ყარიბი“ (პეტრე გელეიშვილი) მიმოიხილავდა „ცისფერყანწელთა“ განვლილ გზას და, სხვათა შორის, ეხებოდა ელენე დარიანსაც: „ქუთაისის ბულვარზე... ხანჯლოსნები დღე და ღამე იმის ცდაში იყვნენ, თუ როგორ მოენახათ ეს ვიღაც ელენე დარიანი, როგორ გაცნობოდნენ მას, როგორ დამტკბარიყვნენ მისი ტემპერამენტითო“ (№5-6), თუმცა მის ვინაობაზე არას ამბობდა. ასე გააცურა თავის დროზე პაოლო იაშვილმა ქუთათური დონ-ჟუანები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პაოლო იაშვილის მისტიფიკაციამ გაიმარჯვა. „დარიანული“ ლექსები, უწინარეს ყოვლისა, პოეტის მხატვრული გარდასახვის იშვიათ უნარზე მეტყველებს. ამ ლექსებში მკვლევრები „პოეტური გარდასახვის გასაოცარ უნარს“ (ბესო ჟღენტი), „თავისებური სტილიზაციის დაღს“ (გურამ ასათიანი) ამჩნევენ.

შალვა აფხაიძე მოგვიანებით წერდა: „ჩვენ ყოველთვის გვაოცებდა პაოლოს შემოქმედებითი „გარდაქმნა“, გვაოცებდა მისი ლექსები, რომლებიც ელენე დარიანის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა. რამდენი წმინდა ქალური განცდა, ხილვა, სინაზე შეჰქონდა მასში!“

პაოლო იაშვილი ორმაგი სიძნელის წინაშე იდგა: ელენე დარიანი მარტო ლირიკული გმირი როდი იყო ანდა პერსონაჟი, იგი „დარიანული“ ლექსების „ავტორად“ უნდა აღექვათ. პოეტს უნდა დაენახა სამყარო არარსებული პოეტის და, თანაც, პოეტი ქალის თვალით.

ქალის სახელს ამოეფარა XVIII საუკუნის ფრანგი პოეტი დეფორჟ-მაიარი.

„ბრეტონელი პოეტი“ ქალის მალკრე დე-ლა-ვინის, ნამდვილად კი — დეფორჟ-მაიარის ლექსებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ვოლტერმა ლექსიც კი უძღვნა „პოეტ ქალს“.

პროსპერ მერიმეს „კლარა გასულის თეატრზე“ უკვე ითქვა.

1909 წელს ფრანგმა მოდერნისტმა გიიომ აპოლინერმა დაწერა რამდენიმე წერილი და ლექსი „გამოგონილი“ პოეტი ქალის ლუიზა ლალანის სახელით. რასაკვირველია, პაოლო იაშვილმა იცოდა ამ მისტიფიკაციის ამბავი, პარიზში ყოფნისას იგი ხშირად ხვდებოდა აპოლინერს მონმარტრის კაფეებში, პირადად იცნობდა მას (1913-1914 წლებში). ვინ იცის, „ლალანი“ — „დარიანის“ — ჟღერადობის სიახლოვე იქნებ არც იყოს შემთხვევითი. ალბათ, ვალერი ბრიუსოვის მისტიფიკაციის სახელწოდებაც („ნელის ლექსები“) გასათვალისწინებელია.

„ელენე დარიანის დღიურებში“ პაოლო იაშვილმა, ძირითადად, დასძლია სტილიზაციის სიძნელენი. აღნიშნულია, რომ პოეტს იმიტაციაც ემარჯვებოდა: „ინდივიდუალური კოლორიტის შესაქმნელად პაოლო იაშვილი ხშირად მიმართავს თავისებურ პოეტურ იმიტაციას. ასე, მაგალითად, ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი დაწერილია უაღრესად დახვეწილი, რაფინირებული სტილით“ (გურამ ასათიანი); იგივე ითქმის პაოლოს გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსზე, რომელიც ლეონიძისეული „სიმსუყით“ გამოირჩევა (რაც პაოლოს არ ახასიათებდა). „ელენე დარიანის დღიურები“ ოდენ თვითმიზნური მისტიფიკაცია როდი იყო; ის წარმოადგენდა თამამ პოეტურ-სტილისტურ ექსპერიმენტს, მიმართულს „დაკანონებული“, გაცვეთილი სატრფიალო ლექსების წინააღმდეგ.

აღნიშნულია ისიც, რომ ელენე დარიანის შექმნა გამოწვეული იყო „ცისფერყანწელთა“ სურვილით — „ცისფერ ორდენში“ ჰყოლოდათ პოეტი ქალი (გრიგოლ ხერხეულიძე).

„დარიანულ“ ლექსებში რუსული სიმბოლიზმის, კერძოდ, ვლადიმერ სოლოვიოვის „მარადი ქალურობის“ კონცეფციის ზეგავლენასაც ხედავდნენ (გიორგი მერკვილაძე).

პაოლო იაშვილის მისტიფიკაციის მოტივირება მოხერხდება მისი პიროვნული (მისტიფიკაციების დიდოსტატი, არტისტული ჟესტებისა და ნიღბების მოყვარული) და შემოქმედებითი (პოეტური გარდასახვის, მხატვრული იმიტაციის ბრწყინვალე უნარის მქონე) თვისება-თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, ეს იყო რეაქცია „საცოდავი საჭურისების“ შელამაზებული სატრფიალო ლირიკის მიმართ; ეს იყო „სითამამის შვენების“ ნაღდი გამოვლენა.

პოეტმა მაინც ვერ დასძლია ბოლომდე სტილიზაციის სიძნელენი: „დარიანულ“ ლექსებში მოიძევება პაოლოს პოეზიის იდეურ-თემატური და სტილისტური კვალი: მისთვის დამახასიათებელი ალიტერაცია, გატაცება პატიოსანი თვლებით, მზის კულტი, ეგზოტიკურობა, სოფლის იდილიური წარმოსახვა. მთავარი კი იყო დასავლური მოდერნისტული თუ ავანგარდისტული ტენდენცია — „შიშველი ეროტიზმის“ პრიმატი.

დღეს გვიკვირს კიდევ, რა გამძლე აღმოჩნდა ეს მისტიფიკაცია; ფართო საზოგადოებამ დიდხანს ვერ ამოიცნო ელენე დარიანის საიდუმლო, თუმცა არსებობდა გრიგოლ რობაქიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სანდრო ცირეკიძის და სხვათა ერთობ გამჭვირვალე მინიშნებანი.

მივყვეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

1918: რუსული ჟურნალი „Ars“:

„აღნიშნული ჯგუფის („ცისფერი ორდენის“) ტექნიკური მეთაური უეჭველად პაოლო იაშვილი გახლავთ. თავისი მგზნებარე შეშლილობით იგი არტურ რემბოს გვაგონებს — მხატვრული ტემპერამენტით კი ის უდავოდ ბალმონტისებური სტიქიისაა. პაოლო იაშვილი — პლანეტარული ქალურობის პოეტი. მასში შეუძლებელია მოძებნო ერთიანი ესთეტიკური მსოფლაღქმის ჩაკეტილი წრე.

...განსაკუთრებული ადგილი ელენე დარიანს უჭირავს. ნება მიბოძეთ, აქ ერთი ვარაუდი გამოვთქვა: იგი — უეჭველად ქალური პოეტური სახეა ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი მამამთავრისა (მამაკაცის)“ (გრიგოლ რობაქიძე).

1918, მიკვლეულია ზეინაბ ლომჯარიას მიერ: „ერთმა ქართველმა კალმოსანმა ...კადნიერებით აღსავსე ტონით ქება შეასხა რამდენიმე პორნოგრაფიულ ლექსს თავის მეგობრებისას და საკუთარს, მხოლოდ სხვა პსევდონიმით დაწერილ შაირებს“ (გამსახურდია). კონსტანტინე გამსახურდია, როგორც ჩანს, გააღიზიანა პაოლო იაშვილის ლიტერატურულმა მიმოხილვამ „Литературное кольцо Грузии“ (1917), რომელშიც ავტორი დითირამბებს უძღვნის გრიგოლ რობაქიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ლელი ჯაფარიძეს, კოლაუ ნადირაძეს და ბოლოს, ელენე დარიანს; თავისი სახელით გამოქვეყნებულ ლექსებს, რასაკვირველია, არც ახსენებს.

1922: „ერთმა თანამედროვე პოეტმა გამოიგონა ელენე დარიანის მითი“ (ვალერიან გაფრინდაშვილი).

1924: „პაოლო იაშვილმა, როგორც თავაზიანმა რაინდმა, ლიტერატურაში გამოიყვანა პოეტი ქალი ელენე დარიანი“ (დაიბეჭდა სანდრო ცირეკიძის გარდაცვალების შემდეგ).

1926 წელს გიორგი ბაქრაძის „ქართული ფსევდონიმების“ ნუსხაში, თვით პაოლოს დასტურით და ხელმოწერით, სხვა ფსევდონიმთა შორის, დოკუმენტურად არის დადასტურებული „ელენე დარიანი“, როგორც პოეტის ფსევდონიმი.

* * *

სიმონ ჩიქოვანი სტატიაში — „ტიციან ტაბიძის ლექსების წიგნი“ — გამოარჩევს პოეტის სატრფიალო ლირიკას — კდემამოსილს, მოკრძალებულს, თავდაჭერილს და დასძენს: „იგი თავის სატრფიალო ლირიკაში უფრო რომანტიკულია, ვიდრე პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და იოსებ გრიშაშვილი. ტიციან ტაბიძის პოეზიაში გარეგნული ეროტიზმის ნასახიც არ მოიპოვებაო“.

ცხადია, რომ სიმონ ჩიქოვანი გულისხმობს „ელენე დარიანის დღიურებს“ და არა პაოლოს მოკრძალებულ და რომანტიკულ ლექსებს „მეორეს“, „სონეტი ელლის“, „მარიამ წერეთელს“, „ლირიკული მისამართიდან“.

სიმონ ჩიქოვანის წერილი 1956 წლით თარიღდება, ამიტომაც ეროტიზმის მქადაგებელთა ჩამონათვალში ვერ მოხვდა იმხანად ტაბუდადებული გრიგოლ რობაქიძე.

კონტრასტი პაოლო იაშვილის ტრადიციულ სატრფიალო ლექსებსა და ეგრეთ წოდებული თავისუფალი სიყვარულის მიმდევარ „ელენე დარიანის დღიურებს“ შორის იმდენად დიდია, რომ საფუძველი გვაქვს კვლავ გავიმეოროთ: მისტიფიკატორს, მეტი სიმძაფრისათვის, ესაჭიროებოდა ეროტიკული ლექსები ქალისათვის „მიეწერა“.

„ელენე დარიანის დღიურების“ მოდერნისტული ხასიათი მარტო ეროტიზმით არ შემოიფარგლება; ეს იყო სიახლე ლექსთწყობის, ფორმის, ბგერწერის ასპექტითაც: სონეტის სრულყოფილი ფორმა (ვალერიან გაფრინდაშვილის თქმით, „ელენე დარიანს“ ეკუთვნოდა პირველი კანონიკური სონეტი ქართულ პოეზიაში), ალიტერაციათა გამიზნული სიუხვე („დაიღალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“: „ჯაჭვი“ აქ ამოსავალი სიტყვაა და ლირიკული გმირის საყვარელთან „ეროტიკულ მიჯაჭვულობაზე“ მეტყველებს); მზის კულტი ან იმპრესიონისტულ ფერწერაში გავრცელებული კატის სკაბრეზული სიმბოლიკაც, უდავოდ მოდერნისტული პოეტური არსენალის კუთვნილებაა და ასე შემდეგ.

პოეტმა ფანტაზიისა და გარდასახვის მაქსიმუმი გაამჟღავნა, სული და გული ჩასდო თოთხმეტ დარიანულ ლექსში.

პაოლოს, რომელსაც სხვა „ცისფერყანწელთაგან“ განსხვავებით, თხზულებათა კრებული არასდროს დაუსტამბავს („არ შევხვედრივარ მწერალს, რომელიც ეგზომ გულგრილი ყოფილიყო თავისი ლექსების შეკრებისა და ცალკე კრებულად გამოცემისადმი“ — აკაკი გაწერელია), როგორც ჩანს, გამორჩეულად უყვარდა ელენე დარიანის ციკლი: ულამაზეს მეუღლეს, თამარ ოქრომჭედლიშვილს პატარა წიგნაკში თავისი ხელით ჩაწერილი დარიანული ლექსები უსახსოვრა (წიგნაკი ოჯახში ინახება, ქსეროასლი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში).

პაოლოს უმცროსი მეგობარი და თაყვანისმცემელი აკაკი გაწერელია იგონებს: „გამთენიისას, ხაშის ან ფითის ძიებაში პაოლო იაშვილი ანაზდად წამოიწყებდა ელენე დარიანის ფსევდონიმით დაწერილ შესანიშნავ ლექსს „ანა ახმატოვასადმი“.

ირაკლი აბაშიძის თქმით, პაოლოს „ფარშავანგები ქალაქში“ და დარიანული „პირამიდებში“, მაშინ, 30-იანი წლების დასაწყისში, ისეთივე პოპულარული იყო მკითხველ საზოგადოებაში, როგორც გალაკტიონის შედევრები.

ბოლო დარიანული — „პარიზისაკენ“, დათარიღებული 1923 წლით, დაიბეჭდა „კავკასიონში“ 1924 წელს.

ეს იყო და ეს. პაოლო ამ ციკლს აღარ მიბრუნებია, მას უმწვავესი შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა: 1924 წელს მისი უმცროსი ძმა შორაპანთან ჩაცხრილეს, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის პერიოდიკაც, დეიურე თუ არა, დე-ფაქტო აკრძალეს.

არ არის გამორიცხული, რომ ამ ციკლის სხვა ლექსებიც არსებულიყო. სამწუხაროდ, მათი კვალი არ ჩანს.

* * *

P.S. მასკულტურის უაღრესად ნეგატიურმა ტენდენციებმა, „პიკანტური“ ამბების, სკანდალისა და ვითომდა სენსაციის გამოდევნებამ, ლიტერატურის ისტორიასაც მიაყენა ზიანი. ამის სავალალო ნიმუშია პაოლო იაშვილის მისტიფიკაციის გამო 1997 წლიდან აგორებული, ზოგჯერ კარგად „შეფუთული“ და ძვირადღირებული, ცილისმწამებლური და სამარცხვინო პიარ-კამპანია, სამწუხაროდ, ბოლო რომ არ უჩანს. იმის მტკიცება, რომ დარიანული ლექსების ავტორი მეათეხარისხოვანი პოეტესაა და არა პაოლო — აშკარა ნონსენსია.

XX საუკუნეში ერთადერთი ბრწყინვალე პოეტური მისტიფიკაცია გვაქვს და ისიც მავანთა უვიცობას, ამბიციას, „საგრანტო“ ანგარებას (ეგებ ბოროტ განზრახვასაც კი) გადავაყოლოთ? რატომ ვხდით უდავოს სადავოდ?! როდემდე უნდა ვამტკიცოთ, რომ თეთრი თეთრია და შავი — შავი, რომ გამიზნულად შეთხზული, ყალბი მემუარების ბრმად მიჩნევა ერთადერთ საბუთად და წყაროდ — დაუშვებელია?

ამ „გაუგებრობის“ გასაბათილებლად არსებობს რამდენიმე ავტორის საფუძვლიანი, მძაფრად კრიტიკული გამოკვლევა, აგრეთვე, ტელეფილმები „ერთსულოვნებასა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე.

არცერთ „ცისფერყანწელს“ თუ მათ მტრებს (ასეთები კი ბლომად ჰყავდათ), არცერთ ლიტერატურის ისტორიკოსსა თუ კრიტიკოსს, არცერთ მემუარისტს, არცერთ მის თანამედროვე ქართველ პოეტს პაოლოს ავტორობაში ეჭვიც კი არ შეჰპარვია.

სათანადო ლიტერატურის მოძიება თუ დაეზარათ, პოეტის ოჯახისა და სანათესაოსათვის მაინც მიემართათ! რას უნდა მიეწეროს პაოლო იაშვილის შვილიშვილების მერაბ და გია ნიჟარაძეების იგნორირება?

სენსაციას დახარბებულ „პირველაღმომჩენებს“ ჭეშმარიტება არც ანაღვლებთ და არც აინტერესებთ.

პაოლო იაშვილის პოეზია კვლავ ერთიანია და განუყოფელი. მის ქარიზმულ მისტიფიკაციაზე სამეცნიერო ნაშრომებს უკვე ახალი თაობა წერს. სადავოც არაფერია.

გავარვარებულ ტაფაზე

ზაფხულის სალმობანი

ტრაგიკულად დაღუპული მიხეილ ახალაძის ხსოვნას

მოშიშვლდა ისევ, მომადგა ჯიქურ,
მაწამებს, მწურავს. ყველამ არ იცის,
გამოტყორცნილი, შლეგურად, რისხვა,
ხილის, უზღვავის, დამხვავებელი,
გავეშებული, რაა ზაფხული.
ძველებურადვე დაზნექილია
დახლი, ყაფანი. მომწვდა, ჩამესმა,
დამსხმელი რეტის, გადახლეჩილი
საზამთროს ყეფა. სისხლისფერია,
ღვარღვალებს ბანგი. დასიცხულ ქუჩებს
ათრობს სურნელი ატმის და ნესვის.
მოწყლულს, გახედვაც არ მინდა მათკენ.
სხვებს არ გავს ეს დრო. არ დამიმალავს —
ბევრჯერ მიქია, ბევრჯერაც კეფა
გადამიხურა და სულზე დამდო.
ქვეყანა მეჩვენება სამარედ,
სამარადჟამო დამადო ხარკი,
შორითვე მხრუკავს და დღეებს მილევს,
გამოკალული, ვერაფრით მომკლა.
ბოლს მადენს ახლაც, მახელებს, მცოფავს.
მესიკვდილება დახატვა მისი,
ტანჯვას, დამჯიჯგნელს, ვეჯაჯგურები,
რომ არ მომეშვა და არც ნელდება.
კლდესაც დაფშვნიდა, ცად გასაფრენმა,
საკუთარ ტყავზე რაც გამოვცადე.
დათუნა, ჩემი უიღბლო ბიჭი,
მთლად ჩვილი იყო, ოცდახუთი დღის,
რომ დაიფუფქა. სასწაულად ცნეს
იმხანად შველა, დახსნა სიკვდილის
მჭრელ კლანჭებიდან. მაშინ გადარჩა.
ქავილი შლიდა, შეხორცებული
ნაწიბურები, სისხლის დამდენი,
არ აძინებდა, გადექცა ქერქად.
ხუთისა გახდა, ზაფხულს ყირიმში
რომ წავიყვანეთ, ლიმანის ტბაზე.
გვირჩიეს, მლაშე წყალი განკურნავს,
ლაფი, ტალახი იმავე ტბისა,
თეძოებს, ფერდებს გაურბოლებსო.
ორმოცზე მეტი გაქროლდა წელი
იმ ზაფხულიდან. ვერავინ მოთვლის,
თან გაიყოლა დინებამ დროის —
რამდენი ქაფი, შლამი და ღორღი,
რამდენის ხორხი დარჩა გამშრალი.
მოდრეკილ, გაუხარებელ მხრებზე
ახლაც მატყვია შანთი, ტორები
ევპატორიის. იმ, უკვე ფერფლად
დანაყილ, დღეთაც მთუთქავს ტარება.
ორმოცდახუთი გრადუსის ზოლზე
მიბჯენილიყო და ცახცახებდა
სინდიყი ანუ ვერცხლისწყლის სვეტი.
ცალხაზიანი ერთი ტრამვაი
თუ მიგიყვანდა ლაპლაპა ტბამდე;
მხუთავი, ორი ვაგონი რკინის,
გაჩერებასთან, გვერდს აუვლიდნენ
ერთიმეორეს, მირახრახებდნენ.
ოფლში გაღვრილი, იკრავდა ლოყა
ელვარე სარკეს — ფურცელს თუნუქის.
საკვირველია, ცოცხალი დავრჩი.
ხურდა ბაზატის საფეხურები,
ამოსროლილი, მალხობდა ალხი,
გაუსაძლისი. ვერ ამაორთქლა,
ამაოდ არ ჩაუვლია ჭიდილს —
ლანდმა, უძილომ, ვძლიე ამასაც.
ყველაზე მეტად, გადანდარებულ
სილაზე გართხმულ ბეჭებს უჭირდათ.
ვინ თქვას ვაება წითელ, ფენებად
აფუებული, ამშპარი ზურგის.
ვის, რას ექნება იმდენი ძალა,
გაძვრეს მისსავე გახვითქულ კანში,
დანახვაც შეგაჟრიალებთ ამის.
წარმოიდგინეთ, რასაც გიზამდათ,
დამიზნებული მკერდს მუგუზალი,
ცეცხლისფოთლება და მოგიზგიზე.
სამჭედლოს მახსენებდა საბერველს,
შავად დაკეცილს, რომლის ქშენასთან,
ნიავი თუა ალმური თონის.
ასე მეგონა, მთელი აგვისტო
შაშხივით ვიდე გამურულ, ფართო
თუჯის ტაფაზე და ვშიშხინებდი,
წამლადაც არ ჭაჭანებდა ჩრდილი.
მოსანატრები გამიხდა ესეც —
რაც წლების შემდგომ დამატყდა თავზე,
გამოუგზავნოს ღმერთმა ნურავის.

* * *

მზემ, აწყვეტილმა, თაკარამ იცის
ტარანასავით გამოშრობა და
გათარანება. ამაზე ვერვინ
დაიწყებს დავას, ისეც ცხადია.

ფარაონების მწუხარ მუმიებს
დააჩერდით და მიხვდებით მყისვე,
ვგულისხმობ რასაც. მოგეხსენებათ,
რა ყოფაშია ყველაზე დიდი,
რამზესი, სამი ათასი წლის წინ,
სურნელოვანი ნელსაცხებლებით
ნაზელ-ნაპოხი. გაქვავებულა,
წევს სარკოფაგში, კრიჭაშეკრული.
ძემ ღმრთისა თითქმის სამოცდაათი
წელი იმეფა. ამდენივე დღე
დაჭირდა, რათა, წაქცევის მერე,
სხეული მისი გადაეტანათ
მდორე ნილოსის გაღმა ნაპირზე,
დასავლის მხარეს, დასაკრძალავად.
აღწერილია, პაპირუსებში,
გრძელი, მდუმარე ის ფლოტილია.
საჭეთმპყრობელი, ზღვაზედაც უხვი,
შეკრთები, გიკვირს — რამ დაამსგავსა,
ასე, მდინარის დამშრალ კალაპოტს.
შერჩა წითური თმა ბღუჯა-ბღუჯად,
ბალზამს შეუკრავს და ჩაუკირავს
ქუთუთოები უწამწამონი.
ხელი, მარცხენა, მზის წნულზე უდევს,
ჩამოცლილი აქვს ორივე ნესტო,
აჭიმულია მძლავრი ნიკაპი,
რის გამოც პირისახე უტირის.
რომელმა მავნემ დადაგა ეგზომ —
სულთან გაყრილი, გაყრონჭილია
ყელი ლომკაცის, ბადაგნასვამი.
წამახულ ქაფჩით გადალესილი,
მუდმივ დაღვრემას ღვრის ყვრიმალები,
რა ჩაფლავს ნეტარებათა ქაფში.
თითები გრძელი, მაცნენი ჯიშის,
რკილმა მორკალა და დაკრუნჩხვია,
მარწუხებს უგავს კიბორჩხალასი.
ამონის ნაშიერად მავალი,
როგორ განქარდა, რას იფიქრებენ,
დღეის დღეს, მისი შემხედვარენი?!
მასაც დააჩნდა ცვალება ჟამთა,
შებორკილია, დაუოკები,
„მძლეთამძლე ხარად“ სახელდებული,
ბუღში რომ ხვევდა მკერდსავსე ქალებს
(სათესლედ, მის ტანს ეს მზე ტენიდა),
ხუთი ცოლისგან და მხევლებისგან,
წერენ, ორასი დარჩაო შვილი.
ზოგ საჩოთირო ბიჯზე კუროსი,
აღარას ვიტყვი, ისეც უწყიან.
ნახა მეუფემ სულეთის გზების,
რა უთხრა, როცა ტახტზე გაშოტილს,
უბის გადახსნა მოსთხოვა ბრძენმა,
მას, ანუბისმა. უთუოდ დუმდა.
მოხატულია, უზადოდ, ფრესკა:
გველმოვლებული მზე დასწოლია,
კაუჭიანი, უჭირავს კვერთხი
ღვთაებას, შევარდინისთავიანს.
მოთიბულია, ასჭიშკრიანი,
ერთ დროს უძლევი, გოროზი თებე,
გასუდრულია „ველი მეფეთა“,
რომლისაც გიჭირს მზერის გაწვდენა.
ბზარები აპობს ვარდისფერ გრანიტს,
რომც შეეფარო, რაღას გიშველის —
ნახევრადდაშლილ კოლოსთა მწკრივი.

* * *

„შავი გვირგვინი“ ჰქვია ყარაყუმს.
გადაჭიმულა, რომ ცეცხლი ყაროს,
ბნედა დაგმართოს, უმალ ყირაზე
გადაგიყვანოს, ყვითელი ქვიშის
ჩაგსვას ყორეში, გადაგიხერხოს
გზა საქარავნე, გაგთელოს მერე.
ვერ გაუძლებდა იმ პაპანებას
ყურებაშვერილ და მოქასქასე,
ენადაშაშრულ აფთარის ხახაც.
განაღვლებს ხვედრი ბედუინების,
მსმენია კიდეც, მათ თვალებში ჩანს,
ყველაზე მეტად — რაა ზაფხული.
აზავერების და აქლემების,
სახედრების და გამყოლ ძაღლების
უთეთრეს ძვლებით მოთესილია
უდაბნო, კიდედაუსაზღვრავი.
ავად მსტვინავი და მოქსეული,
საქსაულებში, მტვერს აქსოვს ქარი.
არ გაიმეტებს დარსა და ჩეროს,
გინდ ემუდარო, ამუდარია.
გიხეთქავს ქუსლებს ტროპიკის გესლი,
აქედან არსად არ წაგესვლება...
ნამძინარევი, ეხლები კედელს,
იწყება უკვე, შეუწყვეტელი,
გადაცემები შუაღამისა,
უზანგებს ზნექავს როკვა ზანგების,
ჭენება, გამეტებით, გამათა,
ლამის შუაზე გამიპოს გული,
გამაბას გაუღწეველ ბადეში,
საქსაფონების მხერხავს წივილი,
ტამტამის დერგზე დაშენილ თითებს
ჯავრი სჭირთ შენი, თავბრუს გახვევენ.
დაიძრა, მოსკდა, რამ დაიტიოს —
კვნესა, კრიალი ათას საკრავთა;
რა დაუდგება ლაგამწართმეულ,
ყოვლისწამლეკავ აფრიკის რიტმებს,
გღარავს ნაღველი, გაუქარვები,
მეხთატეხაში რარიგად გინდა,
დაწყნარდე, იხმო სიმშვიდე კარვის,
უძრავად გდიხარ გათენებამდე.

* * *

სიჭაბუკეში აღსრულებული
(ელოდა, არად აგდებდა სიკვდილს),
მებრალვის, მტკივა სპლინის პოეტი,
ამაოებას რომ შეადარა
„აგვისტოს ძილი“, უვერაგესი,
შემთხვევითობად და შეყოვნებად
ჩათვალა ვინაც ყოფნა თავისი.

ამძლავრა ბოღმა „ზაფხულის ბაღმა“...
აგვისტო — კუპრის ღელე, მდუღარე,
ტყუილად როდი ზარავდა, სძაგდა
დიდ ანას, დამწერს „რეკვიემისა.“
ვერ ჰპოვა შვება. დროგამოშვებით,
დაცხავებული სიცოცხლე მისი,
ჯვარს აცვა, დაწვა აგვისტომ, სამმა.

კვლავაც ვიწყევლი დღეს დაბადების,
გულისამომცლელს, რად ვხედავ სურათს —
ყველას დამლოცი, ბრგე და ჭაღარა,
ერთადერთ პირმშოს, ოსირისივით
უღვთოდ განწილულს, ჩემებრ ნატანჯი,
დამუნჯებული, დასტირის მამა.
მას, ენგელოზად შობილს და გაზრდილს,
სწორედ აგვისტომ, მიპარვით, ღამე
(შეშურდა მზერა, იერი ყრმისა),
აძგერა მოწამლული ისარი,
შეუკრა ფრთები და დააძინა.
ცრემლად იმცვრევა, რისთვისაც ვიცლი,
დაცლილი, იმედგადაწურული...
არგასახარმა, ვინ დაწნა ნეტა,
გლოვის გვირგვინი, ქორწილის ნაცვლად?!
დამბუგველია ეს ბაგა-ბუგი,
უმჯობესია, მოვკუმო ბაგე.
ბებერს, ღვედით რომ ამიკრან პირი,
გამთოკონ თუნდაც, ამოვთქვამ, ვიტყვი:
ცის დაქცევაა სიკვდილი ასე.

* * *

თავად დამგლიჯე, დამაწიაწე.
რომელი დალხინებული მე ვარ,
ყოვლისმომრევი, დამრიე ხელი.
შენ მოგეკითხოს — ჭკუიდან ჩემი
გადასვლა, უფსკრულს გადაქანება.
აბორგებული, აიმღვრა სისხლი
და სურათები, ნაფლეთ-ნაფლეთი,
წაება თხრობას, გადაეხლართა;
არ დამიწყია გარჩევა მათი,
ნება-სურვილზე მივუშვი ყველა,
ვერ გავეჯიბრე ბუნებას გრძნეულს.
მიზეზი შენ ხარ, ჩასაფრებულო,
უმძრახი, კუშტად შენვე გაყვედრი,
ბრალს გდებ ულმობელს, გამწირველს, სასტიკს.
ნუღარ დამზოგავ თუ მალავ რამეს,
ბოლომდე გამოჩინდი, ზაფხულო!
არ მიზრუნია მორთვაზე, ღმერთმა
იცოდეს, თავს არ მივძალებივარ,
რაღაა ხატზე დასაფიცარი —
დაგვალულ ტვინში რაც ირეოდა
და ზრიალებდა, მისით დალაგდა.

ამსუგუქების წუთები

ვარიანტი

დილით და საღამოთი, შაშვის მიყვარს რულადა,
წერა ხელმეწიფება — მარტივადაც, რთულადაც.

მიხარია თუ ბგერებს შევურიე ფერები;
მანჭვა-გრეხა ნაკლებად არის დასაჯერები.

ებას გულთან და ყელთან, ჩანგია თუ ებანი;
არაფერს დაგიშავებთ — ჩემი ახირებანი.

გახსენებაც არა მსურს — ჩავლილთა, ნამსახურთა;
მადლი არ აქვს არაფერს, სისხლი თუ არ გახურდა.

ახლა მცირეს დავჯერდი, სხვა დროს ვიტყვი სრულადა.
რულს მიკიდებს, თვლემას მგვრის შავი შაშვის რულადა.

სავედრებელი

დილის მადლით დალოცე, რაც იქნება მერე;
კეთილისა მყოფელო, ჯვარი გადამწერე.

შხამი, ძველი სიმწარე მომაშორე ბარემ,
ითქრიალოს ნათელმა, გულზე დამდინარემ.

ზეთისხილით მოჩდილულ კარავს შემაკედლე,
დამაშუქე ვარსკვლავი, რომ დაადგა ბეთლემს.

დაიწყე და ყოველი თავად აეწყობის,
ცათა სწორო, დამასწარ — დღესასწაულს შობის.

მწუხარებას, უთვალავს, შეაგებე ლხინი;
ამისრულე, დაისრულს, წმინდა მოლოდინი!

ანგელოზი მოგვევლინა
შვილიშვილის დაბადების გამო

აღარ მაშინებს ელვა, არც ამოვარდნა ქარის...
წამომეშველა, მაგრობს — იმედი მონაგარის.

ვერც სიბერეში ვიშლი ხეტიალს გარე-გარე;
თუ დამაღამდა დაღლილს, გზას გამინათებს მთვარე.

გეყო, რაც მჯიჯგნე, მთელე, უბედურებავ, მეხსენ!..
ათასჯერ გახედნილი, უნაგირს ვიდგამ კეხზე.

ერთადერთი მაქვს ნატვრა, თქვან — კაცად გაიზარდა;
დავლოცავ მოსვლას მისას — წლეულსაც, გაისადაც.

უცდოველ სიზმრებს ჩვილის სუნთქვა თუ მიაკარე,
ბინულის დარად იდენს — სიწმინდე, სიანკარე.

მამაჩემს ვლოცავ

ვეგებები განთიადს, დავალ მინდვრად, ზეგნად...
მომანიჭა სიცოცხლე, დავითს სხვა რა ექნა?!

წმინდა ჰქონდა სათავე, ძირი, გასაგისი;
ღმერთს მადლობა - ჯილაგი გაგრძელდება მისი.

შექება მსურს, სხვა შუქით შეიმოსა დილა,
შვილმა შვილიშვილისა, თვალი გაახილა.

გაღიმება პაწაწის, გავს ჯეჯილის ღაღანს;
სასწაულად ჩათვლიდა, იმას რომ ენახა.

ადიდდება და იდენს ჩვენი სისხლის წვეთი,
სიხარული ამაზე არც არსებობს მეტი.

თუშეთის ხილვა მომინდა

დავიხუთე, მოშვავებულს, არსად მიშვებ, სენაკო!
ველარ ვნახე, არჩილისგან შენაქები შენაქო.

არაფერი დამრჩენია — საჩინო, საჩანაგო...
თავს, გონმიხდილს, ვერ მიხედე, სხვა რა უნდა განაგო?!

ვერ იგუე ზნე სოფლისა, ხან — აძაგე, ხან — აქე;
მოჩვარულხარ, რაღას დაძრავ ხმალს, ბუდეში ჩანაგებს.

გაიცვითა ის ფარდაგი, დაგებული ჯაგებთან...
ღმერთმა უწყის, ცხენი შენი, საით მიჩაქჩაქებდა.

ჭირი, საცოდაობაა, არ ძალუძდეს ფრენა ქორს...
ყავლი გაგდის, დაგჭყივლებენ —
რას უდგეხარ შენ აქო?!
მილიონი წელი გადნა, მზე დაგყურებს, შენაქო!

ძველ თბილისში

არსენ ერემიანს

ჯიბე არ მიხურს, ძვირფასიც აროდეს მცმია ჯუბა;
დავყვები, ფეხით დავივლი — ისანს, აბანოთუბანს.

ვინ მოთვლის, აქაურობა რამდენ ნახანძრალს მალავს,
რაღა არ გადახდომიათ — მეტეხს და ნარიყალას.

ამოვათავე აღმართი, არ შემისვენებია;
აქვეა, მოვინახულებ — ჩემს არსენს, ერემიანს.

ჩივის, სიბერემ დაგვხუთა, კარგს რაღას ველოდოთო;
ვიხსენებ, მის აივანზე რომ გადავიღეთ ფოტო.

ჩაი დავლიეთ, სასმელსაც არ ვირიდებდით, მაგარს;
ჭიქა გვეჭირა, ვლოცავდით —
მეგობრებს და მონაგარს.

მინდა მხნეობა ვუსურვო: „ნუ ოხრავ, წარბი გახსენ,
წამოდექ, არაფერია, ზამთარი როა კარზე,
გელის თბილისის ქუჩები, კეთილო ძმაო არსენ!“

გაქცევის სურვილი
ზაფხულს გავყვებოდი

არც ყლურჭვა არაყისა, არც ბოლება ანაშის...
შემეძლოს, ვიცხოვრებდი — მოგონილ ქვეყანაში.

ვნახე ყელის გამოჭრა, ქვების, ტყვიის დაშენა...
შეგელევი, სასახლევ, ჩემი ხელით ნაშენო.

ველს დატბორილს, გავტოპავ,
მთას, დათოვლილს, გადვივლი...
მაფეთებს და მაშინებს — ყველაფერი ნამდვილი.

ვერც დავითვლი, იმდენი მიგემნია წაგება...
შლეგმა, სულშეგუბულმა, მკერდი რას მივაგებო.

ზნე მაქვს არმოსაწონი, არ გეგონოთ ღალატი —
სხვაგან ყოფნა მეწადა მუდამ და სულ ვმალავდი.

ზაფხული ზურგზე დამადნა

აგვისტოს კუდს ვიზოგავ (გიჟად ჩამთვლის ზოგი),
მალე რუხ ფერს გადიკრავს თეთრ ღრუბელთა ჯოგი.

ნიაღვარი გუბდება, ჩემდა წასალეკად,
მზე, ცხრათვალა, დაცხრება, ზვინებს დადგამს ლეგას,
შემოდგომის ნაღველი — დამღლის, გადამჯეგავს.

რაღა გასაკვირია — ხმელს ვემსგავსო, მე, ხეს,
მეხმა შუა გამაპოს, მკერდი გადამეხეს.

გააქვს ისარს ზუზუნი, დრო ვერ ითმენს ზოზინს;
მიმაქანებს ბოლოსკენ — ბოლო, აგვისტოსი.

არ იქნება ჩემი მოსვენება
გაგანია ზაფხულში ნათქვამი

რაგინდ მზე მაცხუნებდეს, სულში მაინც სუსხია;
ჩემს მტერს, რაც მე მინახავს და რაც აღმინუსხია.

ვწყევლი საშინელების ნაკვალევს თუ ნაკუდარს;
მახსოვს — დედაც, შვილებიც, გაზმა როგორ გაგუდა.

არვის მოუყოლია, არც ვინმეს მოუბოდავს,
იქ, ქაშვეთის ტაძარში, მწკრივი გვწვავდა კუბოთა.

ღაწვი რომ დანამვოდა, არსად იყო რამ ცვარი...
იდგა, აალებული — მამა, მკლავებდამწვარი.

წლებს არ ვითვლი, ალაოდ ვერ დავხედავ ამ თარიღს...
სიზმარშიც არ მეხილოს — მაშინდელი ზამთარი.

ერეკლეს შთამომავალნი

მამულის ჯავრი გსისხლავდა ეკლად,
სკვითმა ივერთა ტახტი დალუქა;
შენს ვაჟთან, ბატონიშვილო თეკლავ,
გადათოვლილი გერგო კალუგა.

მოგწყვიტეს მშობელ მთებსა და სერებს,
რა სწამდა როზენს მეფურ წოდების...
ერთი პოეტიც მოსთქვამდა მერე:
„ლავრაში ლოცვა ვერ მოვამთავრე
და კალუგისკენ გზებს ველოდები.“

„სიკვდილის ცეკვა“
ძველგერმანულ მოტივებზე

ვწუხვარ, სიკვდილის ვიქეც მსახურად,
დაჩიჩულს, შავი ჩაჩი მახურავს.
ჩაბერა მომარჯვებულ ფლეიტას,
იმის დაკრულზე ვცეკვავ დღეიდან.

ჯღანებს მომარგებს, მაქვს მოსაჯღუნი,
ცარიელ ძვლების მესმის რაჩხუნი.
გაწყდა, მიმტყუნა სინათლის ძაფმა,
ჩემს მტერს, იმასთან კავშირის გაბმა.

ფერისცვალობას ვეგებები

აგვისტოს მზემ (თუ შევძელ, აქვე დავემკვიდრები)
მთებს შეფენილ შინდისის შეაყვითლა მინდვრები —

შეგძრავს, ისე მოხატა გადაღმა-გადმოღმანი,
სამოსახლოს შევარჩევ, არ მჩვევია ყოყმანი.

დაჩოქილი ვილოცებ, ბევრის მადლსაც მოვისხამ,
თუ არ გამომათავა უკმარობამ დროისა.

ხვედრთან, მიუხვედრელთან, რა მაქვს მე შესარიგი,
მშვიდი, ყელგაშვერილი, უფლისა ვარ ტარიგი.

ხანად მოკლე იმედი მომცა მთების ჩარჩომაც,
ვინ მაღირსებს, დასარჩობს, ამ ედემში დარჩომას.

„მჭლე კაცი“
არ დაგინდობს

გინდ — დაუჩოქე, გინდა —
თვალებში მიაჩერდი;
ნურც გაიფიქრებ — იმან
არ გამოგგლიჯოს ფერდი.

მგლის ვისაც ედო ფერი,
რამდენი დააგლისა;
დაგაფახფახებს, დაგშლის,
ნაგებიც იყო ქვისა.

ჩიხში მოგაქცევს, არ ჩანს —
დამჩეხი, იმის ფარდი;
ნუღარ ეცდები, გასხლტე,
ხელში თუ ჩაუვარდი.

იგავთა ტყეში

ვხატავ აგუგუნებულ ტყეს, იგივე სელვას,
ვინ გაიგებს ჩემს მოჭრას, გინდა გადაცელვას,
თუ დამჭირდა, დროდადრო, ხელით ვიჭერ ელვას.

მშხეფავს ტალღის შხუილი, დახშულია კარი,
არ აკლდება გულს ძიძგნა ანუ სატკივარი.

მივატოვე რამდენი სათიბი თუ ყანა,
ქვეყნის ზრიალ-ყაყანში დრო რომ გამეყვანა.

თავს მერჩია, ხეთაგან, ვერხვი, მოცახცახე,
სად მეძებნა, გამდნარი, ის თვალები, სახე?!

ოხრად დამრჩა ათასი ჩანაფიქრი, ქარგა,
ზოგი — წყალს გავატანე, ზოგიც — დამეკარგა.

კარგად ვიცი თუ ვისიც მონა ანუ ტყვე ვარ,
როგორ გინდა, ნაჭუჭში, ტევდე დაუტევარს?!

მოვიძულე ძილი და მივეძალე ციერს,
სხვა ლოკავდა, რასაც მე ზურგი შევაქციე.

ქარი, თავაწყვეტილი, ფლითავს ნისლის მანდილს,
რას ვუფარდო, ფარდაზე, დაფერდილი ლანდი,
ქუჩა-ქუჩა მავალი, ხშირად, არცკი ვჩანდი.

ძნელი შესალევია ცისქვეშეთი
საშემოდგომოდ მზადება

ეგების ჯობდა, დალოცვილს, აქამდე გავეწირე,
ახლაღა წამოიფოფრა ეს აღსარება მცირე.

ვამხელ, საწუთროს შარაზე ხათრი მათრევდა შენი,
კიდევ კარგა ხანს ბორგავდა გული, ყელს მონაბჯენი.

ნურვინ დამძრახავს, ის არ ვარ,
ხმაში ვურევდე ფოლადს.
ბევრი, რაც გადამხდენია, არცა ღირს მოსაყოლად.

გადამხობილი სარეცელს, ათასჯერ დანასეტყვი,
დაძვრას ვერ შევძლებ ენისა, თვალებით ამას გეტყვი:

რა ცუდი მახე დამიგე, თავში დაკრულო მეხო,
რაც მაქვს, ყველაფერს გიტოვებ, მეტზე წლები არ მეყო!

ფედერიკო, სიცარიელე და ზენა

მისტიური კომედია

თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის წლისთავის მეორე დღეს დილის სიგრილით განებივრებული და საოცრად კარგ ხასიათზე გაღვიძებული *(რაც ამ ბოლო დროს იშვიათად ხდებოდა)* ვეტერანი, გვარდიის ყოფილი სნაიპერი მეტსახელად „გამანადგურებელი," ეროვნული გმირი და დეპუტატი ფედერიკო ბუტბა სიცარიელეში აღმოჩნდა.

სიცარიელე აბსოლუტური იყო. კუპრივით შავი და უკიდეგანო. ფედერიკოს ირგვლივ ბნელეთი წარმოქმნილიყო და, ეს იმიტომ, რომ მის გარდა სხვა არანაირი ფერი არ არსებობდა.

სნაიპერის სიცარიელე ძალიან გავდა სქელ ნისლს, რომელსაც რეალობა სრულად შთაენთქა: კოსმოსის მიუწვდომელი ვარსკვლავები, კუდიანი კომეტები, პლანეტათა უთვალავი სისტემები, ახლომდებარე მთები, მეზობელი შენობები — გაქუცული საღებავებითა და ჟანგიანი საწვიმრებით, ზღვა და ლამის ნაგავსაყრელად გადაქცეული გაუკაცურებული პლაჟით... და თვით ბუტბას გარემონტებული სასახლის კედლებიც — მოოქროვილი კარებითა და ანდამატისფერი ორნამენტებით... არე-მარე არარაობად, სიცარიელედ ქცეულიყო... თითქოს ვიღაცის ხელს საშლელით წაეშალა ყველაფერი, რაც სიმსუქნეშეპარულ სნაიპერს გარს ერტყა და მხოლოდ მცირე ზომის კვერცხის ფორმის ხილვადი და ხელშესახები სივრცე დაეტოვებინოს.

ჩვეულებრივი სამყარო, თავისი ყოველდღიური გულისგამაწვრილებელი ყოფითა და ჯაფით, ერთი მეტრის მოშორებით მთავრდებოდა, სამუდამოდ ხუჭავდა რეალობაზე ორიენტირებულ თვალს და ორმოცდაათს გადაცილებულ ფედერიკოს, გაურკვევლობისა და შეოცნობლობის წყვდიადში აგდებდა... მოულოდნელად თავს დამტყდარი მოვლენით გაოგნებული და, ამავე დროს, შეშინებული დეპუტატი პიჟამოს ამარა იჯდა აჩეჩილ საწოლზე და რომ არ გაგიჟებულიყო, მეუღლის ხვრინვას სამაშველო რგოლივით ეჭიდებოდა... ყველაფერი, რითიც აქამდე სულდგმულობდა — ადამიანის მხედველობითი ფანტაზია და წარმოსახვის უნარი, ბნელფერა საღებავს დაეფარა და. ზეადამიანური მცდელობის მიუხედავად, შორი, ფუჭი და, ამასთანავე, მიუწვდომელი გამხდარიყო. ერთადერთი, რაც ფედერიკოს იადონივით აფართხალებულ გულს ოდნავ მაინც უკეთებდა, იყო ის, რომ ირგვლივ წარმოქმნილი უკუნეთი არ იყო მკვეთრი საზღვრებით შემოფარგლული... ის რბილად გადადიოდა სიცარიელეში, ანუ ბნელეთში.

წესისამებრ, სნაიპერი ბუტბა უნიკალური მხედველობით გამოირჩეოდა... თავისი შაშხანიდან, რომელსაც სიყვარულით „ბედს" *(„სიუდბას")* ეძახდა, მოწინააღმდეგეს ორი ათასი მეტრიდან ცხელ ტყვიას უპრობლემოდ დაახლიდა თვალში... ორმოცდაათი მეტრიდან გადაშლილი ტოპოგრაფიული რუკის წაკითხვა შეეძლო, ასი მეტრიდან კი გაზეთში განთავსებული სტატიების სათაურებს შეუიარაღებელი თვალით არჩევდა... ახლა კი მხოლოდ რამდენიმე ათეული სანტიმეტრის სიგრძეზელა ახერხებდა საგნების, ფორმების, ფერების გარჩევასა და დანახვას... უფრო ზუსტი რომ ვიყო, გაშვერილი ხელის მანძილზე ყველაფერი ძველებურად, არქაულად გამოიყურებოდა და აღიქმებოდა, მაგრამ ამის შემდეგ იწყებოდა ტრაგიკული თუ კომიკური საოცრება. ფორმები — ზანტად, ზლაზვნით გადადიოდნენ კონტურებში, მერე იბნეოდნენ მოციმციმე წერტილებად და ასე უერთდებოდნენ შემზარავ სიცარიელეს... უბედურება კიდევ ის იყო, რომ სამყარო რომელიც არ ჩანდა, სინამდვილეში არსებობდა. ამას ფედერიკო ჰიპოპოტამივით მეუღლის ხვრინვა-ხვნეშითაც ხვდებოდა...

თუმცა ერთია ცოლი და მეორეა სამყარო, რომელიც მის უკან იმალება... ყოფილ სნაიპერს კი ყველაფერი მკაფიოდ ესმოდა... ჭრაჭუნები, ხახუნები, ხიხინები, ჭრიალები, ხვნეშები, დუდუნები, გუგუნები, შრიალები, ბაგაბუგები — რაც უფრო მცირედის დანახვა იყო შესაძლებელი, მით უფრო ხმამაღალი, მრავალფეროვანი და შემზარავი ხდებოდა მისი თანხვედრი ხმაურები...

დეპუტატს ცივმა ოფლმა დაასხა და ყურებში თითები გაიყარა. სიჩუმემ მკვეთრად დაისადგურა აფორიაქებულ თავში და ამან ცოტა შვებით ამოასუნთქა, მაგრამ ათიოდე წამში უხმაურობით გაჩენილი სიცარიელის შევსება მონოტონურმა შიშინმა დაიწყო, ეს ბუტბას სისხლის ხმა იყო — მოახლოებული შტორმივით შემზარავი და გარდაუვალი. ყურებიდან სასწრაფოდ გამოიღო თითები და უსუსურობისგან ამოიგმინა. მარჯვენა ზედა კუთხეში ყვავის ჩხავილი ჩაესმა. ხმა მჭახე და უწყვეტი იყო. ფედერიკო აენთო — „ესღა მაკლდაო!" — გამოსცრა კბილებში და საწოლის ტუმბოდან აღებული საფერფლე ესროლა. სიბნელემ უცნაური ხმა გამოსცა, ღრმა წყალში ჩავარდნილი საგნის მსგავსი — „ყლუუპფფფ!" და საფერფლე უკვალოდ გაქრა. ჩხავილი კი გაგრძელდა, ექოს ეფექტიც დაემატა, უფრო მისტიური, ტვინისმბურღავი და აუტანელი გახდა...

„რაც იქნება, იქნება!" — ხელი ჩაიქნია ბუტბამ და წამოდგა. აკანკალებული ნაბიჯით გაუყვა საწოლს და მისი სული შიშნარევმა სიხარულმა მოიცვა. ბედს თუ ჯანმრთელობას ბოლომდე არ გაეწირა. ბნელით მოცული კვერცხი, მასში გამომწყვდეულ ფედერიკოსთან ერთად, ამოძრავდა და გაუჩინარებული სამყარო ჯერ მოციმციმე წერტილების, შემდგომ ბუნდოვანი კონტურების და საბოლოოდ ახალი ფორმებითა და ფერებით გაახალისა პანიკამდე მისული კაცის თვალსაწიერი...

— აი, გამოჩნდაა, გამოჩნდა! — ხარობდა ეროვნული გმირი, — ჩემი მუხის პარკეტი! ირმებით მოხატული კორიდორის კედლები! ჩემი მოოქროვილი ჩამრთველები! ჩემი მოკლული სპილოს ძვლისგან მოპირკეთებული სასტუმროს კარიიი! კიდევ კარგი, მოძრაობა შემიძლია! კიდევ კარგი ამ ნაჭუჭში რაღაც იცვლება!.. კიდევ კარგი...

ამ ამბით გათამამებულმა აივანზეც კი გაბედა გასვლა, მაგრამ გული კინაღამ შეუწუხდა, როცა შეიგრძნო, თუ როგორ ეკიდა მოოქროვილი ბრინჯაოს მოაჯირებიანი აივნის ნაგლეჯთან ერთად ცარიელ და უფსკერო უკიდეგანობაში...

...ფედერიკო ბუტბა ოპერატორობაზე ოცნებობდა. ფოტოობიექტივით ლამაზი სამყაროს და საინტერესო ადამიანების ფიქსაციით იყო გატაცებული... საყვარელი ფრაზაც ჰქონდა — „მარადისობის უკვდავი ფოტო-წამი". ამ სიტყვებს მაშინ ამბობდა, როცა კარგ კადრს დაინახავდა და გადაიღებდა... დრომ და რეალობამ კი სნაიპერად აქცია... ეს „პროფესიაც" რაღაცით ჰგავდა ოპერატორობას. აქაც დანახვა და „ფიქსაცია" იყო საჭირო...

— რაღაც უბედურება მჭირს, ძვირფასო! — დაურეკა თავის ბავშვობის მეგობარს, ქალაქში ცნობილ ექიმს, მშვენიერ ქალბატონ ზენა ავიძბას, — სამყარო სიცარიელე აღმოჩნდა!

— ახალი ამბავი! — გაეცინა „მშვენიერ მეგობარს".

— ყველაფერი სიბნელემ მოიცვა! — ლამის ტირილი დაიწყო ფედრიკომ.

— გამარჯობა შენი! — მხიარულად დაუკრა კვერი ექიმმა, — ვინ დამცინოდა, ამას რომ ვამბობდი?

— არა, მართლა გეუბნები!

— სულ წუწუნებდი, მემუარების დაწერაში გარე სამყარო მიშლის ხელსო! ახლა მაინც ხომ დაიწყებ რაღაცის შექმნას?

— დამიჯერე, არ ვხუმრობ! არ ვიცი, რა ვქნა?

— დღეს ადრე ვთავისუფლდები და გელოდები! მოხვალ და გავარკვევთ ყველაფერს! ახლა არ მცალია! — მრავლისმსურველი ხმით ჩაიჩურჩულა მშვენიერმა და ვნებიანმა ექიმმა და ყურმილი დაკიდა...

ბუტბამ ნერწყვი გადაყლაპა და წარმოიდგინა — „ზენას ულამაზესი ფორმები... როცა ის, შიშველი, მაყვლისფერ ზეწრებზე წამოწოლილი, გარედან შემოჭრილ შუქზე სპილოსძვლისფრად ლაპლაპებდა და ბალახის შრიალივით ხავერდოვანი ხმით, ინერციით აგრძელებდა კვნესას. უნაკლო სხეული კი მიღებული სიამოვნებისგან ელეგანტურად იკუმშებოდა, იწელებოდა, იზნიქებოდა და იზმორებოდა. ვნებაჩამცხრალი და კმაყოფილი ფედერიკო კი სიგარეტით ხელში მოშორებით იჯდა და ტკბებოდა საყვარელი ქალის ცოცხალი პორტრეტით..."

„მოშორებით იჯდა"-ს გახსენებაზე ფედერიკოს ხასიათი საბოლოოდ გაუფუჭდა.

„რადიოთეატრში ვცხოვრობ!" — ამოიოხრა მან და დაადგო ყურმილი.

საშინლად მოსწყურდა. სამზარეულო კი სადღაც იქ იყო... იყო კიი იიქ?

გაიხსენა შორეული წარსული — დაბურული ტყე... ღამე... ომის პირველი წელი... მტრის ბანაკს სახიფათოდ ახლო მანძილზე მიახლოებული სნაიპერი ბიჭუნა, რომელიც ვერაფერს ხედავდა, მინდობილიყო საკუთარ სმენას... სამხედრო აღჭურვილობის და შაშხანის მონატრებული სუნი მთელი მკერდით ჩაისუნთქა და ყმაწვილკაცობის ხიფათით მოცულ წარსულში გადაეშვა... უხმოდ, ლანდივით გაუყვა უკუნეთიდან შემოჭრილ კონტურებს, მოციმციმე წერტილებს და ელექტროძრავის გუგუნის დახმარებით სამზარეულომდე მიაღწია. ცივი წყალი ქვემეხის ჰილზიდან დამზადებული ჭიქით დალია... იქვე ჩამოჯდა. ამოიოხრა და თავისდა უნებურად აღიღინდა:

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო;
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო;
ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო;...
შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო..."

...სნაიპერის ნათლობა, ანუ პირველი გასროლა მაშინ მოხდა, როცა აღდგომის ღამეს სახელდახელო ბარიკადს ამოფარებული ქართველები კოცონთან ისხდნენ და ამას მღეროდნენ... ბუტბას მსხვერპლის სახე არ დაუნახავს, ის ზურგით იჯდა. ჭრილობიდან ამოხეთქილმა სისხლმა წინმჯდომი მთლიანად შეღება, ხოლო „ობიექტი" გასროლის ბიძგმა სახით დაამხო ანთებულ მუგუზლებზე... ხორცის შიშინის ხმამ გადაფარა ყვლაფერი. ეს შიშინი, როცა რაიმეზე ჩაფიქრდებოდა, ახლაც ჩაესმოდა... ექიმებმა უთხრეს — „ეს შენი საკუთარი სისხლის ხმაა და დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევო!"

...ფედერიკო ხმადაბლა ღიღინებდა ამ სევდიან სიმღერას და სნაიპერის ოპტიკურ სამიზნეში მოხვედრილ მსხვერპლთა სახეები სლაიდ-შოუსავით ედგა თვალწინ. არავინ გამორჩენია — ყველა, ვის სიცოცხლესაც ჯვარი დაუსვა, აქ, ამ „მოძრავ ალბომში" ენაცვლებოდა ერთმანეთს... ჯერ კიდევ ცოცხლები, სიკვდილამდე წამის მეასედიღა რომ დარჩენოდათ. გარინდულიყვნენ და ელოდნენ საბედისწერო გასროლას... ისინი ბევრნი იყვნენ... სისხლი თუ ნაკვერჩხალზე დაყრილი ხორცი კი კვლავ შიშინებდა... ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ — ახალგაზრდებიც და მოხუცებიც, ქალებიც კი, სამოქალაქო და სამხედრო პირებიც. ის, ვინც გარბოდა, ის ვინც იმალებოდა და ის, ვინც იბრძოდა. ის, ვინც არ იბრძოდა. ის, ვინც არ იმალებოდა... შშშ! — შიშინებდა სისხლი... ის, ვინც იცინოდა, ვინც ტიროდა, ვინც ბრაზობდა, ვინც ფიქრობდა, ვინც დარდობდა... შშშ! — შიშინებდა ხორცი... ანუ ყველა ის, ვინც თავდავიწყებით მღეროდა ამ აკვიატებულ სიმღერას და აფხაზეთის მიწაზე შენატროდა სისხლში გახამებულ, ყაწიმებიან შავ ჩოხას... შშშ! — შიშინებდა სისხლში...

ბუტბას ადრე ეამაყებოდა ამ ხალხის გახსენება. რვეულიც კი ჰქონდა ამისთვის შედგენილი, რომლის ყდაზეც ლამაზად ეწერა ჩემი „ბედის" *(„სუდბი")* სახელოვანი ბიოგრაფია. მნახველი გადაშლიდა და კლასიკურად შედგენილი ცხრილის მეშვეობით იგებდა — სად, როდის, რა ასაკის, რა სქესის, რა მდგომარეობაში, ტყვიის სად მოხვედრით იყო განეიტრალებული არასასურველი ობიექტი...

— რად გინდა ეგ სია? — რამდენჯერმე ჰკითხეს დარბაზიდან, როცა საარჩევნო კამპანიას ატარებდა, — რა არის? თქვენი მთავარი მიღწევა, მხოლოდ შაშხანის სახელოვანი ბიოგრაფია?.. რა უნდა სნაიპერს პარლამენტში?

პირველად ვერაფერი უპასუხა, დაიბნა და სევდიანი სახით აიჩეჩა მხრები... მერე მოიფიქრა თუ მოაფიქრებინეს და თავიც ასე იმართლა:

— ეს სია თავისუფლებისათვის მეომარი ერის შესახებ დაწერილ წიგნად უნდა ვაქციო! მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად! ჩემი მემუარებიც აქ შევა! სახელიც კი მაქვს მოფიქრებული — „ჩემი ბედის სახელოვანი ბიოგრაფია!.." — გახედა გაყუჩებულ დარბაზს და გამოსვლა ასე დაამთავრა, — კარგად დაფიქრდით და მითხარით, რატომ არ უნდა იყოს ჩვენნაირი ქვეყნის პარლამენტში ერთი კარგი სნაიპერი?

მისი სიტყვები ჯერ პრესამ, მერე ტელევიზიამაც აიტაცა და ისეთი პოპულარული გახადა, რომ უკვე მეოთხედ, ბრძოლისა და წინასაარჩევნო ჭიდილის გარეშე ირჩევდნენ დეპუტატად...

უკანასკნელი არჩევნების დროს კვლავ გაჩნდნენ ზედმეტად ცნობისმოყვარენი და კეთილისმსურველნი:

— წიგნი როდის იქნება?

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ელოდა ამ შეკითხვას, გაცოფდა, ლამის აფეთქდა... მაგრამ თავის შეკავება შეძლო, სახეზე მონა ლიზას ღიმილი დაიხატა და უპასუხა:

— გოეთე ოცდაათი წელი წერდა „ფაუსტს"! მაცადეთ! მალე ყველაფერი იქნება!

— გოეთე მარტო „ფაუსტს" არ წერდა?! — დარბაზიდან წამოაძახა ახლა უკვე სხვა ოპონენტმა.

— არც მე! — გამოსცრა ფედერიკომ და დარბაზი „გამანადგურებლის" მზერით გაბურღა...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კვლავ აშიშინდა სისხლი და ირგვლივ დამწვარი ხორცის სუნი დადგა. ფედერიკოს სუნთქვა შეეკრა, ლამის გული შეუწუხდა, მაგრამ მოიკრიბა უკანასკნელი ძალები და დარბაზიდან ძუნძულით გავიდა. ძლივს გავიდა... ამის მერე დაეწყო დაბნეულობა და დაღლა. ანუ ჯერ იღლებოდა და მერე იბნეოდა. მოკლედ, ეს ორი სიტყვა ხურჯინივით გამუდმებით ეკიდა ბეჭებზე და ხან ერთ მხარეს გადააქანებდა, ხან მეორეზე... ზოგჯერ წნევა წამოარტყამდა კეფაში ტორს და ზოგჯერ კი გული მოექცეოდა მოულოდნელად მოვარდნილი ტკივილის მარწუხებში... ამ ვაი-ვიშში გახვეული ჰკითხავდა საკუთარ თავს:

„ფედერიკო ბუტბა! ცხოვრობ, ხარობ, გრიალებ, სხვებს თავზე აზიხარ. რატომ? რა გაგიკეთებია კარგი? ისეთი, რამაც შენი ერი, შენი ქვეყანა, კაცობრიობა უკეთესი გახადა?.."

მოგონებების სიღრმიდან მოვარდნილი გამაყრუებელი შიშინი ბოღმით ავსებდა. კბილების ღრჭიალით სულმოუთქმელად გადაჰკრავდა კონიაკს, მერე გადმოიღებ-

და თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის სახელმწიფო დროშით დამშვენებულ რვეულს და მარცვალ-მარცვალ ამოიკითხავდა თითოეულ მონაცემს... ყოველი გრაფის შემდგომ თითქოს თვრებოდა დაღვრილი სისხლით და ენერგიამომატებული ახითხითდებოდა. მოიცვამდა მედლებით დახუნძლულ კიტელს, სარკის წინ დადგებოდა და ზიზღნარევი სიამაყით დაიხავლებდა:

— კაცობრიობა იმიტომაა უკეთესი, რომ ჩემი „ბედის“ წყალობით ესენი მყავს ამ სიაში გამომწყვდეული...

მერე კიდევ ერთ ბოთლ კონიაკს დააყოლებდა და გალეშილი, ბღავილით ჩაჰყვინავდა სისხლისფერ ოკეანეში. მის წებოვან ფსკერს წაეპოტინებოდა. აქ სუნთქვა არ უჭირდა. ვერაფერს ხედავდა. ირგვლივ შინდისფერი უკუნეთი იყო და კიდევ ეს გამუდმებული შიშინი. შშშ!.. მოახლოებული ქარიშხლის, სისხლის თუ დამწვარი ხორცის შიშინი — შშშ!..

...გუშინ საზეიმო ვახშამზეც, თვითდამოუკიდებლობით გახარებული საზოგადოების წინაშე, ყველა თავისი მსხვერპლი მათზე მიბმული მონაცემებით სხაპა-სხუპით ჩამოთვალა. არც ერთი არ გამორჩენია და მაგარი საჩუქარიც მიიღო... მსოფლიოში საუკეთესო პისტოლეტი „სტრიჟი“ ანუ „Strike One“ — ჩვიდმეტტყვიიანი მჭიდით. სნაიპერის სინდისივით მძიმე და მოხდენილი... მკაცრი სილამაზითა და ძუნწი ფორმებით... ზეგ ანუ ხვალ კი ამ „Present“-ით სიმამრთან და მის გენერალიტეტთან ერთად სროლით უნდა ეხალისა...

„მაგრამ, არავინ იცის, ჩემმა სამყარომ შავი ჩოხა რომ ჩაიცვა,“ — ირონიულად გაეცინა ფედერიკოს.

ფანჯარაში გაიხედა... ჰოი, საოცრებავ! იქ, სიცარიელეში... ასი-ასორმოცი მეტრის დაშორებით ხე დაინახა, რომელიც ბუტბას სამყაროსავით უკუნეთში ეკიდა... მხოლოდ მისი სფეროსებრი სივრცე, მცენარის ზომებიდან გამომდინარე, უფრო დიდი იყო. მზის სხივებით განათებული მოზრდილი ზომის მცენარე უხმოდ შრიალებდა და კლდოვან ნიადაგზე მოკიდებული დაკოჟრილი ფესვებით უძლეველობას, მარადიულობას და ღირსებას ასხივებდა.

— მუ-ხა! — დამარცვლით წარმოთქვა სნაიპერმა, სადღაც ტვინის კუნჭულში მიგდებული მოგონებები მოქექა და, როგორც იქნა, გაახსენდა ეს უსამართლოდ დავიწყებული ხე. ფედერიკოს ბავშვობის განუყოფელი ნაწილი იყო. მის ჩრდილში ხშირად აძინებდა ადრე დაქვრივებული დედა, როცა თვითონ იქვე ბაღჩაში მუშაობდა. მუხაზე, ბიჭობისას, საიდუმლო შტაბიც კი ჰქონდა მეგობრებთან ერთად და ტოტებში ჩამალულს ხშირად ეზმანებოდა მეკობრეების ხომალდები, მოკავშირე გრენადერთა პოლკები და ცაში მონარნარე ფასკუნჯების გუნდი...

კაცობაში შესვლისას მუხამ თითქოს დაკარგა თავისი პირვანდელი ფუნქცია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ორიენტირად დარჩა. ამ ხესთან იკრიბებოდნენ ფედერიკო და მისი კლასელები, მერე სიცილ-კისკისით მიდიოდნენ ან ხალხმრავალ პლაჟზე, ან ბარში, ან კინოში, ან სულაც ბულვარში სასეირნოდ... აქ უჩხუბია კიდეც. ერთი-ორჯერ სიყვარულის ახსნის უბადრუკი მცდელობაც ჰქონდა... ბევრი საიდუმლოც თქმულა ფოთლებს ქვეშ... მაგრამ არც ერთი ეს ამბავი მუხის ჩრდილს არ გასცდენია... მის ფესვებს მიბმული გაიზარდა ყმაწვილი ფედერიკო... ხე, თითქოს, მეგობრობის, ერთგულების ეტალონი, ოცნებების გამზიარებელი, მიზნების მესაიდუმლე, უტყვი მრჩეველი და დამრიგებელი იყო... გადიოდა დრო, წელს წელი ემატებოდა და მომავალ სახელოვან სნაიპერს ცხოვრება არწმუნებდა, რომ აზროვნება და ანალიზის უნარი მხოლოდ ადამიანებს შეეძლოთ და ერთგული მუხის ზღაპარიც, ზეთდაცლილი კანდელივით, ნელ-ნელა დაილია, გაუფერულდა, გაქრა... ხის ასწლოვანი ფესვები, ღერო, ვარჯი, მერქანი, ტოტები და ფოთლები ჯერ კონტურებად, მერე კი მოციმციმე წერტილებად შეუერთდა და გაუჩინარდა წინა საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბობოქარ ყოფასა და სისხლიან რეალობაში...

...ფედერიკოს ძალიან მოუნდა ხესთან მისვლა და მისი ტოტების ჩრდილქვეშ ჩამოჯდომა. ადრე მუხა გზაჯვარედინზე იდგა ოთხ მეზობელს შორის. ორი ადგილობრივი ქართველის, აფხაზის და ადიღეელის სახლები თითქოს ამ ხის ირგვლივ აეშენებინათ. ხშირად უქეიფიათ კიდეც მის ჩრდილში ამ სამეგობრო-სამეზობლოს. მისი ტოტებით დაჩრდილულ სუფრაზე არაერთხელ წარმოუთქვამთ საუკუნოვანი ტრადიციების და კავკასიური სისხლით ნათესაობის ლამაზი და პათეტიკური სადღეგრძელოები. შუშხუნა და არომატული „იზაბელა“ აქ ბევრჯერ დაულევიათ მოვერცხლილი ყანწებით და მოჭიქული ფიალებით. მერე კი ერთ ენაზე აჟღურტულებულებს, უმღერიათ კიდეც:

„მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო,
მუმლი ჰქრებოდაო, მუმლი წყდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო...“

— ხე არ ხმებოდაო! — ოდნავ ირონიულად, უაქცენტოდ წარმოთქვა ფედერიკომ, როცა ქვეყნიდან გაქცეული ქართველების გადამწვარი სახლ-კარი და ადიღიელის გავერანებული კარ-მიდამო გაიხსენა... და ისევ — შშშ — ისევ აშიშინდა, აფორიაქებული სული ისევ გაივსო ამ საშინელი ხმით... „ხე არ ხმებოდაო!“ — გაიმეორა გაღიზიანებულმა, დაუმიზნა ხეს და... ესროლა. არაფერი ისეთი, ხელით იმიტირებული „პისტოლეტი“ მიუშვირა უკუნეთში ამონათებულ მუხას თუ აშიშხინებულ სისხლს, ხორცს თუ მოგონებებს



და ვითომ „ესროლა“., „ბდგშ!“ — გაახმოვანა კიდეც...

„ბდგშოოო!“ — გამაყრუებელი გრუხუნისგან თითქოს მიწა იძრა, სამზარეულოს ფანჯრის ჩარჩო დაიბრიცა, მინებმა ჭრიალი დაიწყეს. მიწისძვრისგან შეშინებული ბუტბა ძირს დაეცა და სანამ ამღვრეული გონება რეალობას დაუბრუნდებოდა, გაღვიძებული ცოლის ხმა მოესმა:

— ფედიჩკა! რა ხდება? — იკითხა მამის ასლმა ჯულიეტამ.

— სტულ სოსკალზნულ! არაფერი. დაიძინე! — გასძახა უკუნეთს ფედერიკომ. ფეხზე წამოდგა და ხეს გახედა.

— აკურატნო ნადო!

— ზნაიუ! ბლინ... — შეუღრინა ქმარმა ისე, რომ ხისთვის თვალი არ მოუცილებია...

რაღაც არ მოეწონა, რაღაც შეამჩნია, რაღაც შეიცვალა. ხე თითქოს ისეთივე იყო, როგორც „გასროლამდე“, მაგრამ მაინც, სხვანაირი ელფერი დაჰკრავდა. უფრო მკვეთრი, მუქი და ხისტი...

დიდხანს უყურებდა. ხედავდა თითოეულ კოჟრს. თითოეულ ტოტს. ყლორტს. ნიავის დაქროლვაზე მუხა თითქოს აცაბაცა არხევდა ფოთლებს, მაგრამ მათ ქაოტურ კანკალში საოცარი ჰარმონია იგრძნობოდა. ფედერიკომ თითქოს დაინახა დრო, რომელიც მიედინებოდა ფოთლებს შორის გაჩენილ სივრცეში, მიჰყვებოდა ტოტებს და კენწეროზე მოხვედრის შემდგომ კვლავ ქვევით მიექანებოდა, ფესვებისკენ, გადაევლებოდა კლდოვან ამონაშვერებს, დაუნიავებდა მერქანზე შერჩენილ ბალანბუსუსებს და უწყვეტი დინებით კვლავ ფოთლებს შორის ნაპოვნ სივრცეში გავარდებოდა. ხე კვნესოდა თითქოს, გადაიხრებოდა ოდნავ და ამოიოხრებდა. მერე კვლავ გასწორდებოდა და ტოტების კანკალით ორიოდე მოგლეჯილ ფოთოლს გააცილებდა. დაიკვნესებდა და ახლა საწინააღმდეგო მხარეს გადახრიდა ბუმბერაზ ტანს და კვლავ ამოიოხრებდა...

„მუხამ დრო მოიმწყვდია და არ, ან ვერ უშვებს მას! დრო კი ხეს ახმობს!“ — გაიფიქრა ფედერიკომ... ეს სანახაობა საზარელიც და ამავე დროს საოცარიც ეჩვენა. დრო რაკი ასეთ პატარა სივრცეში მოქცეულიყო, გამალებით აცლიდა ასწლოვან მცენარეს სიცოცხლის უნარს, და ისიც ყოველ ჯერზე, ბრძოლა-ბრძოლით, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ღირსეულად, კვდებოდა. ფოთლები მუქდებოდა, ზურმუხტისფერს სიყვითლე ჯერ ზოლად, მერე სარტყლად ედებოდა. მერქანი მჭიდროვდებოდა და წვრილ ზოლებად ისერებოდა, სკდებოდა. ფესვები იკოჟრებოდა და სულ უფრო მეტად და მეტად შიშვლდებოდა, მიიწევდა ნესტს დანატრებული გამომშრალი ნიადაგიდან ზემოთ, ზეცისკენ.

ფედერიკომ ხესთან მისვლა გადაწყვიტა. სამზარეულოს ფანჯარა გააღო და გადააბიჯა.

მუხა მაღლობზე იდგა. ამ უკიდეგანო სიცარიელეში ორ ნათელ სფეროს შორის იდუმალებით მოცული „არაფერი“ — „უსასრულობა“ იყო და ბუტბა ხემდე მიახლოებას ფრთხილი, კანკალს აყოლილი ნაბიჯებით ცდილობდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ფედერიკომ სულ რაღაც ათითხუთმეტი მეტრი გაიარა და საშინლად დაიღალა... თავიც ასტკივდა, იგრძნო, როგორ მოაწვა მის გახურებულ საფეთქლებს წნევა... თვალები დახუჭა, და გაიქცა, მთელი ძალით, იქნევდა ხელებს, რაც შეიძლება გრძელ და ენერგიულ ბიჯებს აკეთებდა, თითქოს ცდილობდა თავისი სფეროდან სიცარიელეში გავარდნას... საიდანღაც მოვარდნილმა გრიგალმა კაცი ადგილს მოწყვიტა და უკუნეთში გაიტაცა... სივრცე რამდენჯერმე გადატრიალდა, მოახლოვდა, მერე დაშორდა და ბოლოს დაეკიდა და ქანქარასავით დაიწყო აქეთ-იქით მოძრაობა... სამყაროს გარეთ აღმოჩენილი ფედერიკო საყრდენი წერტილის ძებნაში ხელებს აცეცებდა, და თავისდა უნებურად აღმოაჩინა, რომ მისი რეალობა (სამზარეულის ფანჯრიან-სკამიან-მაცივრის კუთხიანი სფერო), რომელიც რბილად გადადიოდა სიცარიელეში, ტალღისფერი ფარდის წყალობით პიჟამოს ღილზე ეკიდა. ეს სფერო საათის ქანქარასავით ქანაობდა და წიკ-წიკებდა. ბუტბას გაუჩნდა ილუზია, რომ საათი იყო და ისრების, ანუ დროის სისწრაფეს, მისი ნება განსაზღვრავდა... წიკ-წიკ. წიკ-წიკ... ისმოდა უკუნეთში, მაგრამ ის მუდმივად თანხვედრი ხმა — „შიშინი“ — კვლავ ახლოვდებოდა... სწრაფად, ულმობლად... სასოწარკვეთამდე მისულმა დეპუტატმა, რაც შეიძლება ფართოდ გააღო პირი და მთელი ძალით შეისუნთქა, შეიწოვა უკუნეთი, სამყარო კვლავ რამდენჯერმე გადატრიალდა, მოახლოვდა, მერე დაშორდა და ბოლოს კვლავ ფედერიკოს ირგვლივ აღმოჩნდა. კაცი უკვე მყარად იდგა ფეხზე... ირგვლივ კი იყო მზიანი დილის სიჩუმე, მაღალი ბალახი, თხილის და მსხლის დახუნძლული ტოტები, მკვახე მანდარინის სურნელის და აგურის ნატეხებით მოკირწლულ ბილიკზე მოფენილი ფოთლების სამყარო.

როცა მუხასთან მივიდა, მონატრებულივით შემოხვია ხელები და აკოცა... მოეჩვენა, თითქოს მცენარემაც შეახო რამდენიმე ტოტი მოკლედშეკრეჭრილ თმებზე და ესიამოვნა... ზურგით მიეყუდა მის დაკოჟრილ მერქანს და პირველად, შიშის გარეშე გახედა ირგვლივ გაბატონებულ უკუნეთს, უფსკერო — არაფერს, სიცარიელეს, რადგან უკვე მარტო აღარ იყო... და აღიღინდა.

მეორე დღეს კი...

— რა მოგივიდა? — იკითხა ნაცნობმა ხმამ, — ცუდად ხომ არა ხარ, სიძე?

— არა, არა! — გაეღიმა სნაიპერს და ახალთახალი „სტრიჟი“ გადატენა, — მოდით, თვალები ამიხვიეთ. დამაყენეთ სამიზნეს პირდაპირ და გარანტიას გაძლევთ, ყველა ტყვიას ათიანში მოვარტყამ!

— ზედმეტი ხომ არ მოგდის? — ირონიულად იკითხა Patek Philippe Henry Graves Supercomplication საათიანმა ხელმა.

— ვნახოთ!

— კარგი, ვნახოთ! — ამოიოხრა ხელმა.

სიცილის, დაცინვის და ამასთანავე აღფრთოვანების ხმები ღამის ყველა მხრიდან ისმოდა. ფედერიკოს თვალები აუკრეს და სამიზნეს მიმართულებით დააყენეს. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა... ბუტბამ ასწია პისტოლეტი და სასხლეტს ნაზად შეეხო... წამიც და გაისროდა... მაგრამ შედრკა, ვერ შეძლო... იმისათვის, რომ თუნდაც უაზრო, მაგრამ მაინც გასროლა განეხორციელებინა, სჭირდებოდა „ნახატი“, რომელიც არაფრით არ ჩნდებოდა. სამწუხაროდ, გამოცდილ სნაიპერს ამ ორი დღის განმავლობაში ისე არეოდა გონება, რომ უბრალო სამიზნის წარმოდგენაც კი აღარ შეეძლო და იარაღი დაუშვა...

— ჰაა! ჩაიფსი? — ზიზღით იკითხა იგივე ხმამ... ფედერიკოში თითქოს ყუმბარა აფეთქდა, სამყარო რამდენჯერმე გადატრიალ-გადმოტრიალდა, მოახლოვდა, მერე კვლავ დაშორდა და ბოლოს ყურებში მკაფიოდ ჩაესმა ფოთლების შრიალი — „შენ მარტო აღარ ხარ!“ მის სულში სიმშვიდემ დაისადგურა... და ახვეულმა თვალებმა ნათლად დაინახეს შავ წრეში მოქცეული ჩაკურატებული, ქერა გენერლების სახეები. მან სწრაფად ჩაისუნთქა, ასწია ხელი, სასხლეტს რბილად გამოჰკრა საჩვენებელი თითი. გაისმა მკვეთრი ხმამაღალი ხმა... იარაღმა დაიყეფა. თავისებურად, ჯიშიანი ძაღლივით და ასე ჩვიდმეტჯერ გამეორდა... ყოველი გასროლის შემდეგ „გამანადგურებელი“ ნათლად ხედავდა შუბლ-თვალ-საფეთქელ-კეფაყელ-გულ გახვრეტილ ოქროთი მოვარაყებულ სამხრეებიან ნაცნობებს და გრძნობდა, როგორც ივსებოდა მისი „ბედის რვეული“ ახალი მონაცემებით...

სამარისებურ სიჩუმეში, როცა ახლადმოტანილ სამიზნეს აკვირდებოდა, გამარჯვებულ სახეზე სევდიანი, მაგრამ ამაყი ღიმილი დასთამაშებდა... ნატყვიარებისგან გაჩენილი ხვრელები ერთ ცენტრალურ ადგილას შექუჩულიყო და მაყვლის მოზრდილ ნაყოფს ჰგავდა...

— ასეთი რამე რომ შეგიძლია, ნამდვილად ბედნიერი კაცი ხარ! შენ აწი „გამანადგურებელი“ კი არა „ბედნიერი“ ხარ! — უთხრა Patek Philippe Henry Graves Supercomplication საათიანმა ხელმა, — მე ვამაყობ, რომ შენნაირი სიძე მყავს!

— მიზანში მოხვედრა, აბა, ეს რა ბედნიერებაა! — ხმადაბლა თქვა ფედერიკომ და ოფლიანი გენერლებით გარშემორტყმულს ბებერ მუხასთან ჩახუტება და უკუნეთის ცქერა მოუნდა... ჩახუტება, ცქერა და წაღიღინება:

„მუმლი მუხასაო, მუმლი შეწუხდაო,
მალე დაიხრჩვაო, მუმლი დაიხრჩვაო,
მუხა გადარჩაო. მუხა გადარჩაო“...

საღამოს კი სხვა სამყაროში მოხვდა... რაღაც შუალედურში, „უკუნ არაფერსა“ და მუხას შორის... ეს იყო ღვინისფერი ზეწრები, სპილოსძვლისფერი ლაპლაპა კანი, უკიდეგანო მზერა და ძახველივით მიმზიდველი ბაგეები...

— ბედნიერი ხარ? — ჰკითხა ბუტბამ ქალის სურნელსა და ხმას...

— ბედნიერი? ვიღაცამ თქვა — „მართალია ის, ვინც ბედნიერია!“ შენ მართალი ხარ? — კითხვითვე უპასუხა ზენამ.

ფედერიკომ მოათვალიერა თავისი პატარა სივრცე და მხრები აიჩეჩა.

— კიდევ ვიღაცამ თქვა — „ბედნიერია ის, ვინც ცოცხალია!“ შენ ცოცხალი ხარ? — გაიზმორა ქალმა და შეეცადა, საწოლის

დასასრული მე-15 გვერდზე

გიორგი ლობჟანიძე

ფრაგმენტები სათუო პოემიდან

3.
„არ მიყვარს ანა კალანდაძე.
ვერ გაიგებ —
პოეზიაა თუ ჰერბარიუმი!“ —
მეუბნება
ერთხელ
შოთა იათაშვილი.
შოთა, შენ ხარ ნამდვილი არჯაკელი,
ნამდვილი არჯაკელი, ხვიარა
და არ იცი,
ქსანზე ვინ ჩამოიარა,
რადგან
შენ გიყვარს ლია სტურუა
და მხოლოდ იმას წარმოიდგენ,
რომ მკვდარ ძროხას
ყელში გვირილების თაიგული ჰქონდა გაჩხერილი...

4.
გეშინოდეთ:
მე ისეთი ფანტაზია მაქვს,
ყველა თქვენგანი
შემიძლია
დედიშობილა
წარმოგიდგინოთ!

5.
ადრე პოეტები სიყვარულით კვდებოდნენ.
ახლა შურით კვდებიან.
დადიან ბოღმით გაბერილი ტომრებივით...
არადა, სინამდვილეში საჩუქრებით სავსე ტომრები არიან,
მთვრალ თოვლის პაპას რომ დაავიწყდა
სადღაც, დიღმის ტრასაზე,
ელექტრო ბოძის ქვეშ,
როცა თვითონ ბუჩქებში,
ან
იქვე,
ბოძის გვერდზე,
მოსაფსმელად იყო გადასული...

ჰოდა, ესენი ყრიან ახლა,
ელნათურას შესციცინებენ
და საკუთარ უღონობაში იხრწნებიან,
რადგან მპოვნელი და პირის მომხსნელი
აღარავინ ჰყავთ...
არც ღირს...
ამათ პირი რომ მოხსნა,
ფერად-ფერადი საჩუქრები კი აღარ გადმოსცვივდებათ,
ჩირქს გადმოანთხევენ,
ლანცეტის წვერით
გადახსნილი
ძირმაგარასავით....
აი, თქვენ, ვინც სიახლეს ისაკლისებთ:
დააფასეთ, რა მეტაფორებია!
სარკე ძველია,
სამაგიეროდ,
ყოველ წამს,
როცა შიგ ჩაიხედავთ,
თქვენა ხართ
ახალი....

ოღონდ მანამდე
კარგად უნდა შეიგნოთ,
რომ ელნათურა მზე სულაც არ არის...
მითუმეტეს, — ღმერთი...

6.
„დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო.“

7.

პაატა შამუგია არც ღმერთია და არც ჰომოსექსუალი...
სტუდქალაქში იმავე ოთახში ცხოვრობს,
სადაც მე ვცხოვრობდი
90-იანი წლების დასაწყისში,
როცა საერთო სოციალური კონტექსტი ისე ჟრიალებდა,
როგორც ჩვენი გალიგვული ძვლები
ჭახჭახა ყინვაში...
და ჩვენ მშობლიურ ბუდეებს
ახალმოწყვეტილი სტუდენტები
ერთმანეთთან გასათბობად ვწვებოდით,
მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ,
რომ არ გავყინულიყავით!
ვინც მეტყვის, რომ ეს ბოზობაა,
ჯერ ძირგამონგრეული ფეხსაცმლით
ილაწლაწოს თოვლში
და როცა გაყინულ სახლში მივა,
მშიერი და არაქათგამოცლილი,
თავისას რომ იტყვის, ჩვენიც არ დაავიწყდეს....
ის ვინც არ გამთბარა
სტუდქალაქის კორპუსში აყრილი პარკეტით,
იქვე, კორპუსშივე დანთებულ კოცონთან,
ვისაც არ უნახავს
ამ მაღალი კოპრუსებიდან გადმოყრილი
წინა ღამით გაჩენილი ბავშვები — თოვლში,
ვის თვალწინაც ბრმა ტყვიას არ მოუცელავს
ძვირფასი მეგობარი,
ანდა მეგობრები არ დაუხოცავთ
ტყავის კურტკის გამო,
ზედ უნივერსიტეტის ბაღში, —
მერე კი სტუდქალაქში არ დაბრუნებულა,
არ ჩაწოლილა,
სულერთია, ვისთან
და არ უოცნებია უკეთეს მომავალზე, —
დაე, სჯეროდეს
სიკეთისა და სამართლიანობის,
წინასაარჩევნო დაპირებებივით...

მეც ამიხდა ჩემი ოცნება უკეთეს მომავალზე.
იმ წლებში მჯეროდა, რომ მოვიდოდა
პაატა შამუგია,
რომელიც არც ღმერთია და არც ჰომოსექსუალი
და უმღერებდა ადამიანურ თანაგრძნობას,
იანვარში აყვავებული იასამანივით
და ისე გულწრფელად,
რომ ყველას ეჭვი შეეპარებოდა,
რომ ეს კაცი
ან ღმერთია
ან ჰომოსექსუალი...

8.
არც ერთი, არც მეორე...
მე ყოველთვის მესამე ვიყავი...

9.
შენ რა უნდა მასწავლო,
ვიტორიო დე სიკას
ფილმებზე ვარ გაზრდილი!

10.
დავწერე: „ხანდახან როგორ ამიტანს ხოლმე
ცელქობის სურვილი.
თითქოს, პატარა ბავშვი ვიყო.
თითქოს წლების გორგალს
ბაბუაწვერას ყვავილივით შევუბერე სული
და გარშემო მიმოვფანტე“.
„პროჭობას ნუ იზამ
და რაც გინდა, ის ქენი!“ —
სახალხოდ მარიგებს
ჩემი ერთი ძველი მეგობარი.
ვეუბნები:
„კარგი, პროჭო,
როგორც შენ მეტყვი,
ისე მოვიქცევი!“
სულ სხვაა,
საქმეზე
ამ საქმეში
ჭიპმოჭრილი კაცი რომ დაგარიგებს!

11.
კი ვმალავდი,
თუმცა არა,
არ მომიპარავს....
თვითონ მიპოვა,
მდინარის პირს გულშემოყრილი...
სულ სხვა დროში,
და სულ სხვაგვარ საუკუნეში,
როცა მისი არსებობა არავის სჯერა,
ისე, როგორც არა სჯერათ
ჭინჭრის ყვავილის,
უფრო სწორად,
იმის,
ჭინჭარმა რომ იყვავილოს,
არადა,
ყვავის...
მე ვმალავ
და ეს
ცხენი კი, შავი სადავით,
თვითონ
ჭიხვინებს...
რა სიყვარული?..

12.
უცნაური ადამიანია:
სინდისი აქვს,
ნამუსი — არა...

13.
ჩემი მდინარე
თუ ადიდდა,
ვეფხვები
მოაქვს...

14.
ერთხელაც, როცა იპოთეკური სესხის დასაფარად,
აგვისტოს ჯოჯოხეთურ სიცხეში,
თიბისი ბანკში იქნები გავარდნილი,
ბანკამდე გზა გექნება გადასაკვეთი
და შენ პირდაპირ,
ვიტრინებში
მანქანებით დამფრთხალი
თუ საკუთარ სიცოცხლეს ჩაბღაუჭებული
უცნაურად
(თუ უფრო სასაცილოდ)
მოძუნძულე
მოხუცებული კაცი
გამოჩნდება....
მიმოიხედავ
და შენ გარშემო
შენი თავის მეტს ვერავის დაინახავ...

მაგრამ ეს მოხუცი?
როგორ ვერ იტანდი ასეთ ტიპებს
ბავშვობაში:
სიკვდილამდე რომ ორიოდე ორგაზმი დარჩენიათ
და მაინც სიცოცხლეზე ისე არიან ჩაფრენილნი,
თითქოს, უმაგათოდ მზე აღარ ამოვა,
თითქოს მათი ბებრულად მოთანთალე ღიპებიდან
იბადება უზენაესი ჭეშმარიტება,
რომელიც ბუდასავით მშვიდია
და ღაღადებს, რომ ერთადერთი სინამდვილე,
ისაა, რასაც ხედავ, —
თუნდაც თიბისი ბანკის ვიტრინაში...

მაგრამ ამ დროს შენ უკან მოიხედავ
და დაინახავ ბავშვსაც,
რომელიც აგვისტოს აუტანელ პაპანაქებაში
სასაცილოდ მოძუნძულე ბერიკაცს მისდევს უკან
და თავისი გამხდარი,
ობლობის შიმშილით დამდნარი ფეხებით
სასაცილოდ, მაგრამ ყოჩაღად მოძუნძულე მოხუცს
ვერაფრით ეწევა...

შუა გზაში ჯდება
და მანქანები თავზე აბიჯებენ....

15.
არ მესროლოთ!
ილია (არა) ვარ!

ოლესია სპარსულ კაბაში

აი, ასეთია ოლესია —
ორი ძაღლითა და
უამრავი ადამიანით...
მიდის, მიიმქრევა,
თითქოს აბრეშუმი ქალის სხეულს კი არა,
სიცხით ათავთავებულ ჰაერს ეხებოდეს...
სიზმრის კვირტები დაბერილან
და სადაცაა სურათებზე
ნაირფერად გადაიშლებიან...
აგვისტო ყმუის,
როგორც მარტოსული ძაღლი
და ცისკიდურის წითლად მოღავებულ ხახას აფჩენს,
ყველა ფერის გადაყლაპვას ლამობს,
ცვრის წვეთი სწყურია...
მდინარის დამშრალ კალაპოტებს
ნაკადულის ჩუხჩუხი ჩაესმით და
თვლემა ეძალებათ...
ისინი ხედავენ სიზმარს,
რომ
მათში წყალდიდობასავით მოდის
ოლესია —
ორი ძაღლითა და
უამრავი ადამიანით
და ეს ქალი
სპარსულ კაბაში
ჰგავს ერთადერთ ფანჯარას,
საიდანაც ფერები
გარეთ იყურებიან
კაკლის მურაბით მოთხუპნული,
ცელქი ბავშვებივით...

ცერემონიული ძალადობა

ტერმინი „ცერემონიული ძალადობა“ ჟან ბოდრიარს ეკუთვნის. რაც მართალია, მართალია — ძალიან კარგი, უნივერსალური და მრავლისმეტყველი მიგნებაა. ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს იმას, რაც დღეს მსოფლიო ტენდენციად მიიჩნევა — ჰიბრიდული ომები, ვიდეოდახვრეტები, ტელედაჭერები, სამხედრო წვრთნები, საოკუპაციო ზოლის გადმოწევები, ემბარგოები...

ის კი არა, ცერემონიული ძალადობის ფორმად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ქსელები — ფეისბუქი, ტვიტერი, ოდნოები.

და ეს ყველაფერი არავის უკვირს, რადგან ძალადობის სულისკვეთება ადამიანურია, მეტისმეტად ადამიანური.

დისტანცია

ერთმა იტალიელმა რუსისტმა პაოლო ნორიმ თქვა: „Россия мне нравится потому, что она пугает...“

ჩავიხედოთ გულისგულში.

ჩვენ ხომ იმიტომ გვიყვარს, რომ გვაშინებს...

ჩვენ ხომ იმიტომ გვიყვარდა, რომ გვაშინებდა...

ჩვენ ხომ იმიტომ გვეყვარება, რომ შეგვაშინებს...

„შიში შეიქმს სიყვარულსა“. რუსთა საკითხის რუსთველური რეცეპტი.

სხვათა შორის, შემშინებელსაც უყვარს შეშინებული.

იტალიელებს მხოლოდ მოსწონთ. არ უყვართ.

შიში პოზიციაა, სიყვარული — კონტაქტი, მოწონება კი — დისტანცია.

დისტანცია შუალედია, ოღონდ არა ოქროსი.

წვერ-ულვაში და ID ბარათი

მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსებმა წვერის გაპარსვის წესი შემოიღეს (თავდაპირველად ჩინოვნიკებისთვის), ქართველებმა ეს ეროვნულ კატასტროფად მიიჩნიეს. პირგაპარსული ქართველი ქართველი აღარ არისო — აცხადებდნენ აღშფოთებული დარბაისლები.

ნეტავი ნამოახედა, წუთით მაინც აჩვენა იმ პატიოსან ქართველებს დღევანდელი წვეროსნები, ლაღად რომ დადიან თბილისის ქუჩებში — ბლანჟე და ღინღლისებრი, ესპანიოლკა და ჯაგრისებრი, თხისწვერა და ფაჩვნიერი, ჰოლივუდური, ჰოლანდიური, იტალიური და ვინ მოთვლის...

თუმცა რად გინდა, თითქმის ყველას ჯიბეში ID ბარათი უდევს, ხოლო ID – ბარათიანი ქართველი...

პროცესი

ალექსანდრე დიუმას კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ დაუწერია (ვინ წაგვაკითხებდა): „ერთხელაც რუსეთის სახელმწიფო დაეცემა. ის დაიშლება არა ისე, როგორც რომის იმპერია — მრავალ სხვადასხვა სახელმწიფოდ — არამედ ოთხ ნაწილად. ჯერ ჩამოსცილდება დასავლეთის მიწები ცენტრით ვარშავაში, შემდეგ სამხრეთი — დედაქალაქით თბილისში, ამის შემდგომ — შორეული აღმოსავლეთი ურალამდე. და დარჩება ისევ მარტო მოსკოვია“.

ამაზე ბორის ვასილიევი საუბრობდა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, თავისიანებს აფრთხილებდა, მაგრამ გაფრთხილება რას უშველის, პროცესი პროცესია.

ვინ არის მალიქა დურადაშვილი?

ლუტც ბასმანი, იგივე ელი კრონაუერი, იგივე მანუელა დრეგერი, იგივე ანტუან ვოლოდინი, იგივე, იგივე... არავინ იცის მისი ნამდვილი სახელი. ჰეტერონიმებით წერს. რა მნიშვნელობა აქვს. ისე, ეგრეთ წოდებული პოსტეგზოტიზმის წარმომადგენელია, დაბადებულია 1949, 1950 ან 1952 წელს, სავარაუდოდ, საფრანგეთში.

მისი ერთ-ერთი რომანია „არწივები აყროლდნენ“. ნაწარმოებში ყველაფერი ხრჩოლავს და „ყროლავს“ ომის შემდეგ. ყველა დაიხოცა. ერთადერთი გორდონ კუმი გადარჩა და დაეხეტება მიწასთან გასწორებულ, ფერფლადქცეულ ქალაქში.

დამწვარ-დანახშირებული საგნების ფონზე ლუტც ბასმანს ახსენდება მალიქა

ივანე ამირხანაშვილი

ტექსტი — დრო — კონტექსტი

დურადაშვილის ფერწერული ტილოები, ღამის პეიზაჟები, ჰალუცინაციები, რომლებიც წყვდიადსა და უიმედობას გამოხატავენ.

რატომ გაუჩინა ფრანგ მწერალს წყვდიადისა და უიმედობის ასოციაცია ქართულმა გვარმა? ვინ არის ეს ქალი — მალიქა დურადაშვილი?

ბალახის სიბრძნე

„მაჰაბჰარატას“ მეთორმეტე წიგნში არის ეს იგავი: ოკეანე ეკითხება მდინარეს, რატომაა, რომ ხეებს ძირფესვიანად აძრობ, სუსტ ბალახს კი ხელს არ ახლებო? მდინარე პასუხობს: ხეები ბოლომდე მიწევენ წინააღმდეგობას და ძალა ეცლებათ, ბალახი კი წვება და შემდეგ, როცა გადავივლი, ისევ სწორდებაო.

ხშირად ვისმენ და ვკითხულობ ამ იგავს, მაგრამ რატომღაც არავინ ასახელებს წყაროს. თუმცა რა აზრი აქვს, ისე მოძველდა, რომ წყარო კი არა, მისი მორალიც კი აღარ აინტერესებთ.

წინასწარმეტყველი თუ შინაური მღვდელი?

ბოლო დროს ხშირად ახსენებენ ლათინურ გამოთქმას: nemo propheta icceptus in patria sua (სიტყვასიტყვით: „არ არის წინასწარმეტყველი თავის სამშობლოში“).

რუსები ამას პირდაპირ ანდაზად იყენებენ: Нет пророка в своем отечестве.

რას ნიშნავს — „არ არის წინასწარმეტყველი თავის სამშობლოში?“ ქართულად არაფერს, ლათინურად ბევრ რამეს. პირდაპირ გადმოტანილი — ნულის ტოლია. სამაგიეროდ, ანდაზა გვაქვს ზედგამოჭრილი: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო!“

„გვეყო უარყოფა!“

რაც სალვადორ დალიმ სიურრეალიზმი და ექსპერიმენტალიზმი აქო და ადიდა თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, იმდენი, ალბათ, ალექსანდრე მაკედონელს არ უბრძოლია მსოფლიოს დასაპყრობად, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ადგა ეს ნაფიცი მოდერნისტი და თავის წიგნში ალალად, გულწრფელად დაწერა:

„გვეყო უარყოფა — ახლა მტკიცებათა ჟამია დამდგარი! გვეყო დანაწევრება — ახლა გაერთიანება და სუბლიმირებაა საჭირო! ავტომატიზმს სტილი უნდა დავუპირისპიროთ, სკეპტიციზმს — რწმენა, ნიჰილიზმს — გამოსახვის ტექნიკა, კოლექტივიზმს — ინდივიდუალიზმი და იერარქია, უთავბოლო ექსპერიმენტებს — ტრადიცია. ხოლო ამაზე რეაქციისა თუ ამის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციის წამალი მხოლოდ ერთია — აღორძინება!“ (სალვადორ დალი, „სალვადორ დალის იდუმალი ცხოვრების ამბავი“, თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ, ბიოგრაფიული პროზა, ტ.24, თბ., 2012, გვ.259).

აი, რა არის ტრადიციის სული. ყველანაირი ექსპერიმენტი და ავანგარდი ტრადიციაში აღმოცენდება და ტრადიციასვე უბრუნდება, როგორც მცენარე თავის აღმზრდელ ნიადაგს.

სალვადორ დალის ეს მოწოდება რაღაცით ჰგავს აინშტაინის მიერ ღმერთის აღიარებას.

არსი თუ სიტყვების გროვა?

როგორ ვწეროთ?

როგორც გნებავთ:

მოკლედ და ბუნდოვნად; ვრცლად და მოსაწყენად; რთულად და ქარაგმულად; მარტივად და გასართობად, ოღონდ აზრი იყოს გასაგები — გამაგებინე, რისი თქმა გინდა...

ალან ტიტლი. არის ასეთი ირლანდიელი დრამატურგი. სემუელ ბეკეტის ნიჭიერი მემკვიდრე. პიესა აქვს სათაურით — „გოდო მოდის“. აქაც ვლადიმირი და ესტრაგონი ცვლიან მოკლე და უაზრო ფრაზებს. მაგრამ არის ერთი ადგილი, სადაც ესტრაგონი „გაუბერავს“.

ნაწყვეტი დიალოგიდან:

„ვლადიმირი. რატომ ვართ ამ ცხოვრებაში ასეთი უბედურები?

ესტრაგონი. მარტივი საკითხია! იმიტომ, რომ ქალის ფსიქოგენურ საწყისს არ შეუძლია აინაზღაუროს მარადიული მოძრაობისაკენ, დასაბამიერი მდგომარეობისა და ყოფიერების არსის დასასრულისაკენ სწრაფვის დანაკარგები, მაშინ, როდესაც არსებობის ჭეშმარიტება ყოველთვის ემთხვევა იმ მიმართულებას, საითაც წარიმართება ინდივიდის აზროვნება, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს მარადიული გონების ელემენტს. სული უსწრებს ცნობიერებას, მაგრამ, ამასთანავე, სხეული წარმოადგენს არსის ტოტალურ თანამგზავრს, ხოლო მითოლოგიური გმირი — დემიურგოსი ახდენს მის მანიფესტაციას, უპირველეს ყოვლისა, მედიატორის როლში, რაც ხორციელდება შესაბამისი ანტინომიების გზით როგორც იგივეობათა დიქოტომიაში, ისე ხაზოვანი განვითარების დიაქრონიაში.

ვლადიმირი. მაგარია, მაგრამ ვერაფერი გავიგე.

ესტრაგონი. შენ ხომ პასუხი გინდოდა. მე კიდევ სულაც არ მითქვამს, რომ გასაგები იქნება-მეთქი.

ვლადიმირი. მე მინდოდა არსი და არა სიტყვების გროვა“.

კარგი ვინმეა ალან ტიტლი. მინდოდა არსი და არა სიტყვების გროვაო.

აზრი მოძრავია, ან მოდის, ან მიდის, ერთ ადგილზე არ ჩერდება, თავს ადვილად არ მოგახელთებინებს. როცა აზრი არ მოდის, მის ადგილას ჩნდება სიტყვების გროვა. სხვათა შორის, აზრების გროვაც არსებობს, ლიტონი, უსაფუძვლო, ყალბი აზრების გროვა, აიღებ გამზადებულ აზრებს, შეიტან ნებისმიერ თემასა თუ საგანში და ტექსტიც გამართულია.

მახსენდება ოთარ ჩხეიძის წერილი „ღვინია გადაიჩეხა ანუ მითოსი და მითოსური მოდელები ლიტერატურაში“, რომელიც 1983 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. ეს იყო კლასიკური პაროდია ფსევდოანალიზისა, ფსევდოსტილისა, რომელიც ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. მომავალშიც იარსებებს, მაგრამ საშიში არასოდეს იქნება, რადგან დრო ისე შლის, მისგან არაფერი რჩება.

არსია მთავარი, არსი რჩება და არა სიტყვების გროვა.





მიხო მოსულიშვილი

თეთრნაბდიანი ქისტი მდევრები და სევდის შავი არწივები

„თუკი მკითხავენ, რა არისო სევდა, ნაღველი, მე ვუპასუხებ, რომ ესაა საგანთა გემო“.
ისიკავა ტაკუბოკუ
(თამაზ ჩხენკელის თარგმანი)

ჯერ თეთრნაბდიანი ქისტი მდევრები იქნებიან და მერე კი სევდის შავი არწივები, მანამდე კი...

კულტურის სამინისტროსთან ცხრა საათისთვის შევიკრიბეთ „ცოცხალი წიგნების“ ხუთი ძირითადი მონაწილე: ნატო ინგოროყვა, მანონ ბულისკერია, ქეთი დოლიძე, გაგა ნახუცრიშვილი და მე; ასევე „მეგობარი მწერლის“ სტატუსით მოდიან კიდევ და, რასაკვირველია, პროექტის ხელმძღვანელი ქეთი დუმბაძე და კოორდინატორი მარიამ წიკლაურიც აქ არიან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ პროექტს იმით შეეწია, რომ ოცადგილიანი „სპუტნიკის“ მინიავტობუსი გამოუყო და „მეგობარი მწერლის“ სტატუსით წამოსვლა სხვებმაც შეძლეს — მათ შორის, მწერლებმა: შორენა ლებანიძემ, გიორგი კაკაბაძემ, ნათია როსტიაშვილმა, გოჩა სხილაძემ, ცირა ყურაშვილმა...

ჩვენთვის კი დაქირავებულია შვიდადგილიანი მინივენი მიცუბიში დელიკა, მეოთხე თაობის ჯიპი. Crash test-ზე (საავარიო გამოცდაზე) ამ მანქანას მიღებული აქვს მხოლოდ ერთი ვარსკვლავი შესაძლო ხუთიდან, რაც იმის გამო უფროა, რომ ვიწრო და მაღალია და ამით მოსახვევებში შესვლა დიდი სიჩქარით სახიფათოა.

ქეთი დუმბაძე წინ მთავაზობს დაჯდომას, მძღოლის გვერდით, მარცხნივ. ეს მანქანა იაპონიიდან არის ჩამოყვანილი, მარჯვენა საჭიანია და მერე მთელი გზა, უფრო კი რთულ გადასასვლელებზე ხან საჭისკენ გამირბის ხოლმე ხელი და ფეხსაც ამაოდ ვაჭერ იმ ადგილს, სადაც მუხრუჭის პედალი უნდა იყოს...

ვეცნობი მძღოლს, გიორგი ასანიშვილს, რომელიც გუშინ დაბრუნებულა თუშეთიდან და, საერთოდ, მთაში ხშირად უწევს ტურისტების აყვანა — სვანეთი იქნება, ფშავ-ხევსურეთი თუ თუშეთი...

არაგვს მივუყვებით აღმა, დახუთულ თბილისს ვშორდებით და სუნთქვა იოლდება.

პირველი გაჩერება ჟინვალის წყალსაცავთან, სოფელ ჩინთში გვაქვს. აქ ნუგზარ წიკლაურ-პეტროვს მოწყობილი აქვს საოჯახო სასტუმრო და რესტორანი Annunaki 444 (ანუნაქები შუმერულ მითოლოგიაში კრებითი სახელია ცისა და მიწის ღმერთებისა), რომელიც არაგვს გადაჰყურებს. სასტუმროს ჩვეულებრივი შენობა ხომ არის ეზოში და იმის მახლობლად ხუთასწლოვანი მუხის სამ მსხვილ ტოტზე სამ სართულად აქვს ჩაშენებული მოაჯირიანი აივნები, სადაც სტუმრები სადილობენ ხოლმე. სულ ზემოთ კი საძინებელი ოთახიც არის მოწყობილი. სწორედ ამ მუხის ტოტებში გაკეთებულ ერთ-ერთ აივანზე გაგვიშალეს სუფრა თანამშრომლებმა. მოხარშული და ისეთი გაფიცხებული ხაჭოს ხინკლითა და იქვე მოდუღებული ლუდით გაგვიმასპინძლდნენ, რომ „ცოცხალი წიგნების“ მონაწილეებს უკვირდათ, თბილისთან ახლოს, ასეთი დაწესებულება რატომ არ იყო სტუმრებით სავსე.

გავაგრძელეთ გზა ჟინვალის წყალსაცავის შემოსავლელ გზაზე.

სალომე კაკაბლიშვილი დაგვხვდა მაღაროსკარის სკოლის შენობასთან, მასწავლებლებითა და საზეიმოდ, ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილი მოსწავლეებით.

ამ სკოლის შენობის წინ დგას ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმის, ბაჩანას (ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკაშვილი, 1866-1928) ძეგლი, როგორც მაღაროსკარში სკოლის დამაარსებლისა. იმ ძველი სკოლის შენობა ამ მოგვიანებით აგებული სკოლიდან ზემოთ მდებარეობს და მის აღდგენასაც ცდილობენ...

შეხვედრა მარიამ წიკლაურმა გახსნა, დამსწრე საზოგადოებას აუწყა კულტურის სამინისტროს პროექტის — „ცოცხალი წიგნების“ შესახებ, რომელშიც წელს მონაწილეობს 75 მწერალი. შემდეგ საზოგადოებას მიესალმა პროექტის ხელმძღვანელი ქეთევან დუმბაძე, სკოლას საჩუქრად გადასცა კულტურის სამინისტროდან ჩამოტანილი წიგნები და ჟურნალები. მერე მწერლების გამოსვლები დაიწყო, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს უკითხავდნენ აუდიტორიას.

ჩემს გამოსვლაში მადლობა გადავუხადე ამ პროექტის დამაარსებლებს, მეც რომ გამიხსენეს, დამსწრე საზოგადოებას, ასევე ჩემს უანგარო და გულისხმიერ გამომცემლებს: ვაჟა წოწკოლაურს, გამომცემლობა „საუნჯის“ მფლობელს, რომელმაც შეხვედრის ადგილებზე დასარიგებლად გამომატანა წიგნები: „დიდი ძუ დათვი“ (კინორომანი) და „არსაიდან არსაითკენ“ (მინიატურები) და თამუნა გელოვანს, გამომცემლობა „უსტარის“ მფლობელს, წიგნებისთვის: „ჰელესა“ (კინორომანი) და Laudakia Caucasia (პიესა). ამ ოთხ წიგნზე მოკლედ ვილაპარაკე, რაც სკოლის ბიბლიოთეკას გადავეცი საჩუქრად და ერთი მინიატურაც წავიკითხე ლელა რაზიკაშვილისთვის მოყოლილ სიზმარზე, სადაც ვაჟა-ფშაველა გამომეცხადა და კინაღამ თან წამიყოლა...

„ცოცხალი წიგნების“ პროექტი იმითაც ყოფილა კარგი, რომ მოულოდნელად ქართული წარმოშობის ფრანგ მწერალსაც კი გაგაცნობს — გამოსვლა რომ დავამთავრე, ჩემს გვერდით მჯდომმა ქალბატონმა მომმართა. იგი აღმოჩნდა ფრანგული ენის სპეციალისტი ლია რუხაძე, რომელიც, თურმე, გვერდით მჯდომ თავის ბიძაშვილს, ქართული წარმოშობის ფრანგ მწერალს, ჩიტო (მარი ელენ) რუხაძეს (Tchito Roukhadze) უთარგმნიდა ჩვენს გამოსვლებს.

ლია რუხაძემ ფრანგულიდან თავის მიერ ნათარგმნი მინი-რომანიც მაჩვენა, სახელად „ფამადიჰანა“, რომელიც ჩიტო რუხაძეს დაუწერია და სადაც აღწერილია კუნძულ მადაგასკარზე შემორჩენილი ჩვეულებები. სიტყვა „ფამადიჰანა“ მალაგასის ენაზე მკვდრის დაბრუნებისა და ხელახალი დაკრძალვის რიტუალს ნიშნავს... დამპირდნენ, რომ ამ წიგნს თბილისში გადმომცემდნენ.

ჩიტო რუხაძე დაინტერესდა პიესით Laudakia Caucasia, რომელიც სტალინისა და ჰიტლერის შეხვედრაზეა 1913 წლის ვენაში. ჩემი გაჭირვებული ინგლისურით ვუთხარი, რომ ეს პიესა თარგმნილია ინგლისურად და გავუგზავნიდი გასაცნობად, რასაც სათანადო ინფორმაციის გაცვლაც მოყვა...

ჩიტო რუხაძე პარიზის მახლობლად, ქალაქ პონტუაზში ცხოვრობს და მამისგან, ლადო რუხაძისგან სამშობლოს ისეთი დიდი სიყვარული აქვს ჩანერგილი, რომ საქართველოში ხშირად ჩამოდის. ამჯერად თავის კალიფორნიელ მეგობართან და ბიძაშვილთან ერთად მუცო-შატილში ყოფილან და — იქიდან წამოსულები შევრჩით მაღაროსკარს, ისეთი საყვარელია აქაურობაო, — მითხრა იმ კალიფორნიელმა ქალბატონმა, მერე ჩვენი პროექტის შესახებაც გამომკითხა და ძალიან მოიწონა, რაკი მწერლები და ხალხი უკეთ ეცნობა ერთმანეთს.

სკოლის მოსწავლეებს ვუამბობ მაღაროსკარის ბრძოლის ეპიზოდს ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილის წიგნიდან „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“. 1922 წლის ივლისში დაგეგმილი იყო ხევსურეთის აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი იმ სკოლაში დაბანაკდა, რომელიც ბაჩანას დაარსებული იყო და არაგვისპირა გზას კეტავდა. სკოლას ხეხილის ბაღი ჰქონდა, გარსშემოვლებული ქვის ყორეთი. ამ სკოლას ტყე ერტყა გარშემო. ქაქუცა და საშა სიცხიანები იწვნენ ვაშლის ქვეშ, ნაბადზე, რაზმელები კი ტყეში იყვნენ გაფანტული შვინდის და თხილის საკრეფად.

ბარიდან მომავალ გზაზე გამოუცდელი დარაჯი ეყენათ. გზაზე ერთ ფშაველს ჩაუვლია, რომელიც მდევარს დაუჭერია და უთქმევინებია, თუ სად იყვნენ დაბანაკებული შეფიცულები. ბოლშევიკები სამი გზით წავიდნენ შეფიცულებისკენ: გზით, ტყით და არაგვის გაღმიდან, სადაც ტყიანი ფერდობია და სკოლას გადმოყურებს. დარაჯმა გვიან გაიგო მტრის მოახლოება და ისროლა. სროლის ხმაზე წამოცვივდნენ რაზმელები ადგილების დასაკავებლად. მდევრის ერთი ნაწილი სკოლის გაღმა, ტყეში გამაგრდა და იქიდან დაიწყო სროლა. გზის მხრიდანაც მოადგათ მტერი, ყორეს ამოეფარნენ და იქიდანაც ატეხეს სროლა. შეტევას სკოლის შენობაში გამაგრებული 12 რაზმელი აკავებდა, სანამ ტყეში გაფანტული რაზმელები მოვიდოდნენ. ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ეკლესიასთან ქაქუცა დადგა და ტყიდან მორბენილ რაზმელებს ანაწილებდა. ქაქუცამ ელიზბარ ვაჩნაძე გაგზავნა სამი კაცით ერთ ბილიკზე, სადაც ისინი ავლაბრის კომისარს შეეჩეხნენ თავისი მილიციელებით. მათ კომისარი და ორი მილიციელი მოკლეს, დანარჩენები კი გაიქცნენ. ამ დროს ქაქუცამ კიდევ სამი კაცი მიაშველა ელიზბარს და მანაც ის სიმაღლე დაიკავა, რომელიც არაგვზე გადებულ ხიდს დაჰყურებდა. ახლა იმათ დაუწყეს სროლა ხიდზე მომწყდარ მტერს და რამდენიმე მოკლული არაგვში გადავარდა. ამავე ხიდიდან მოისროლეს იმათი ტყვიამფრქვევიც. მალე ყველა შეფიცული უკვე საფარში იყო და მტერს ესროდა...

ამ შეტაკებაში, რომელშიც 65 შეფიცული დაუპირისპირდა ბოლშევიკების 250 კაციან რაზმს, რომელშიც შედიოდნენ პარტიულები, ორი მწყობრი რუსის ჯარი და ავლაბრის კომისარი თავისი მილიციით, ქაქუცას რაზმელებმა მოკლეს ოცამდე კაცი, ათი-თორმეტი დაიჭრა, ტყვედ კი თვრამეტი მებრძოლი ჩაიგდეს. თურმე, ავლაბრის კომისარი იკვეხნიდა, ქაქუცას თავს ჩამოვიტან თბილისშიო, მაგრამ ისე მოხდა, რომ თავისიც ვერ წაიღო უკან...

ამ ბრძოლაში შეფიცულთა რაზმს შეემატა მიხა ხელაშვილი, რომელიც მათთან დარჩა. ქაქუცა ამბობდა, რომ ერთი დაწყნარდეს ქვეყანა და მიხას აუცილებლად უნდა ვასწავლო, ძალიან ნიჭიერიაო...

შეხვედრის დასრულების შემდეგ სალომე კაკაბლიშვილმა ყველანი მიგვიპატიჟა თინა ნაყეურის მშენებარე მუზეუმ-სახელოსნოში, რამდენიმე დღეში აქვს ოფიციალური გახსნაო.

მცირე გრანტების კონკურსში, რომელიც ხელოვნების საერთაშორისო ცენტრისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ იყო გამართული ევროკავშირის პროექტის — Investing in People-ის ფარგლებში და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით განხორციელდა, მაღაროსკარიდან თინა ნაყეურის პროექტმა გაიმარჯვა და აქ მალე მოეწყობა გამოყენებითი ხელოვნების, ტრადიციული ქსოვა-ქარგვის, ტექსტილის და სამოსის დიზაინის სახელოსნო, სადაც შეგირდებიც ივლიან და ისინიც დაეუფლებიან ამ ხელობის საიდუმლოებებს. ამ მუზეუმის ექსპონატები — ფარდა იქნება, ბალიში, ფშაური კაბა-ჯუბა, თოჯინები, წინდები თუ ხელთათმანები, რელიეფური გობელენი თუ ფარდაგი — იმით არის გამორჩეული, რომ თავისთავადია და რაკი ასლები არა აქვს, ხელოვნების ისეთი ნიმუშებია, ათასი საზრუნავით აფორიაქებულ სულს რომ მალამოდ ედება, ამიტომ ყველას ვურჩევდი თინა ნაყეურის ნამუშევრების ნახვას, ვინც კი ამ გზაზე აივლ-ჩაივლის.

განვაგრძეთ გზა არაგვის აღმა და ორწყალთან მისულებმა, იქ, სადაც ხევსურეთისა და ფშავის არაგვი ერთდება, ხევსურეთისკენ გადავუხვიეთ. მივდივართ ზემოთ და გარემოც ნელ-ნელა იცვლებოდა — თუ აქამდე ფოთლოვანი იყო, ახლა ნაძვი და არყიც გამოერია ტყეს.

ბარისახოში სკოლა-ინტერნატის წინ გავაჩერეთ მანქანები. გადმოსვლა ვერ მოვასწარით, რომ მოვიდა იქაური მქსოველი, ნათელა ჭინჭარაული, აბგიდან ამოალაგა: ხევსურული ქუდები, ხელთათმანები, ფერადი სარტყელები თმის შესაკრავად, მძივები თექის მრგვალად შემოჭრილი სამშვენისებით — ესენი გაშალა, თავადაც იქვე ჩამოჯდა და — დილიდან გელოდებით, სად ხართ აქამდეო. გოგოებმა ათვალიერეს ნაქარგები, ვერაფერი ამოარჩიეს და — ვაი, რა ტყუილად მილოდნიაო. მერე თავისი ორი ლექსი წაგვიკითხა, ერთი პოლიტიკოსი რომ მოიპატიჟა ბარისახოში, მაგრამ ის არ მოვიდა და მეორე კიდევ — აქაურობის სიყვარულზე. მერე ჩაალაგა თავისი ნაქარგები ჩანთაში და სანამ წავიდოდა, ისიც გვითხრა, რომ ამხელა ქალი ვარ და ისევ ზურგით ვეზიდები ტყიდან საზამთრე შეშასო...

იქვე ბავშვები თამაშობდნენ და რაკი სოფელი სამუშაოდ იყო წასული, სკოლის ერთ დიდ კლასში ისინი მოიყვანეს. შეხვედრა გახსნა მასპინძელმა, ტრისტან-ბერდია არაბულმა, რომელიც ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტიდან მახსოვს, იქიდან ვიცნობ. ახლა ამ სკოლაშია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ოჯახობა ჰყავს უკვე, შვილები და შვილიშვილები თურმე, და აი, ეგეთებსაც ამბობს:

ტაშით არასდროს მივლია
მუცელზე ხოხვით, ლიქნითა,
მე არაფერი მომქონდა
საცა არ მიხნავ — იქითა.
სხვისთვის აროდეს მქონია
სამადლოდ ხელი გაწვდილი.
მე ჩემი მქონდა სავალი,
ჩემი შარაც და გზაწვრილიც.
ამ გზით ვიარე, მოვედი
დღემდე ბებრული ხანხალით,
კაცმა კაცურად იცხოვრო
ძველია და არ ახალი.

მარიამ წიკლაური და სხვებიც ძალიან გაახარა ბავშვების დასწრებამ, რადგან საბავშვო ნაწარმოებებსაც წერენ და — რა ვიცოდით, თორემ წამოვიღებდით სათქვენო წიგნებსაცო.

ბარისახოს სკოლაში შეხვედრაზე მოვიდა ჩვენი მასპინძელი, პოეტი და თეატრის რეჟისორი გიო არაბული და იმანაც წაიკითხა ლექსი... მერე გიომ თავის ახალ პოემაზეც მიამბო, რომელიც ხოლიგათ თათარას შესახებ იქნება და მის ამ ნამუშევარს მეც ინტერესით ველოდები...

შეხვედრა დამთავრდა, ჩირდილში ვაპირებდით ასვლას, იქ „არაბული ArtHouse“ აწყობს ლიტერატურულ ფესტივალს, სადაც გაგა ნახუცრიშვილის ახლადგამოსული წიგნის — „სისულელის ტრაქტატი“ — წარდგინებაც არის დაგეგმილი. შარშან კი მხატვრებისა მოუწყვიათ. თუმცა იქ ჯერ არავინ იყო და რაკი ბინდდებოდა, ისევ Korsha Guesthouse-ში მივედით, მხატვარ შოთა არაბულის საოჯახო სასტუმროში, სადაც ორი დღე ვრჩებით.

ხევსურული კულტურული მემკვიდრეობის შენახვასთან და ტრადიციული ხელსაქმის შესწავლასთან დაკავშირებით, არტ-ფესტივალი „ჩირდილი 2015“-ის ფარგლებში, საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით, დუშეთის რაიონის სოფელ კორშაში სახელოსნოც არის გახსნილი. ეს პროექტიც, თინა ნაყეურის მუზეუმ-სახელოსნოსი არ იყოს, ხელოვნების საერთაშორისო, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრების მიერ გამართული მცირე გრანტების კონკურსის გამარჯვებულია და ევროკავშირის პროექტის, Investing in People-ის ფარ-

გლებში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით განხორციელდა.

არაბულების საოჯახო სასტუმროს პირველ სართულზე მოწყობილია სახელოსნოში დამზადებული, როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ნაკეთობებისა და პროდუქციის გამოფენა. აქვეა შოთა არაბულის ფერწერული ნამუშევრებიც. შოთას ერთი შვილი, გიო არაბული უკვე ვახსენე და იმისი ძმა, ბერდია კიდევ მამამისის კოლეგაა, გოგი წერეთლის სახლოსნოში სწავლობდა გრაფიკის ფაკულტეტზე და მისი ერთ-ერთი ნამუშევარი, ლითოგრაფიის ტექნიკით 2014 წელს შესრულებული „დაბადება“ მეც მაქვს სახლში, აბსტრაქციისა და რეალობის უცნაური შეხამებითა და ლამის შეუმჩნეველი სევდით რომ გამოირჩევა...

ნომრებში რომ დავბინავდით და სახელოსნოს დარბაზში დავბრუნდით, შოთა არაბულის მეუღლე, მარინა უკვე ამთავრებდა სუფრის გაწყობას. დიდი დრო არ დაჭირვებია იმას, რომ სტუმრად მისულ პოეტებს თავისი ლექსები წამოეწყოთ. ჩემი ჯერი რომ მოვიდა — მართალია, ჩემი მუდამ თანამდევი „რა ვქნაის“ ციხისა კი ვთქვი, მაგრამ კარგი ნახატები გადმომყურებდა კედლებიდან, თანაც მარჯვენა მხარზე მზე და მარცხენაზე მთვარემიხატული მითოლოგიური გმირი იწყებდა სურათების რიგს...

ობლობით ამაიზარდა
თორღვაი ძაგან გვარია,
ამაეს, ამაიყოლა ნავთი და
ნაკვერცხალია.
ამაჰყვა დაბდებითვე
მარჯვენა სისხლიანია.
იორში ამაიჩქვიფა:
ბეჭებს უნახეს ჯვარია —
მარჯვენა ბეჭზე მზე სწერავ,
მარცხენით — მთვარის ნავია...

ჰოდა, მეც შოთა არაბულის დახატული თორღვა ძაგანის თამადობით მისი ყველა ნახატის სადღეგრძელო შევთავაზე თანამეინახეებს. ხევსურეთში ხომ მზე თორღვა ძაგანის მარჯვენა ბეჭიდან ამოდის, მარცხენა ბეჭიდან კი მთვარე მეთქი.

მარიამ წიკლაურმა შუმერული მითი გაიხსენა, ერთი ღვთაება წყალში რომ ჩადის, სამოსს იხდის, რომელსაც არწივი გასტაცებს ჩრდილოეთისკენ, იქ, სადაც ენგური მოედინება, ხოლო ამ სამოსს „მე“ ჰქვია და მთელი ძალა გაჰყვა ღვთაებისაო და პარალელი გაავლო თორღვა ძაგანს რომ წყალში გველივით გაუცურდება ჯაჭვის პერანგი და თეთრ ყორანსაც თან წაიყოლებს...

მერე შეფიცულთა რაზმის ბრძოლაც გავიხსენეთ ბარისახოში, 1922 წლის ზაფხულში. მაშინ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პატარა რაზმს მხარში ამოუდგა მთელი ხევსურეთი, რაკი ჩოლოყაშვილს თავისიანად მიიჩნევდა (ჩოლოყაშვილთა ხევსური წარმოშობის შესახებ იხილეთ აქვე, მუცოს დამაარსებლებზე თქმულებაში) ბარისახოელი გოგოთურისა და აპარეკას მეთაურობით და ორი-სამი დღის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ უკან გააბრუნეს მომხდური. ქაქუცა მიხვდა, რომ ახლა უფრო დიდი ძალა წამოვაო და გოგოთურს მიმართა, ჩეჩნები უნდა მოვიშველიოთო. ხევსურებმა თქვეს, მტრობა გვაქვს მაგათთან, მაგრამ რუსები ხომ იმათი მტრებიც არიან და მაინც გავაგზავნოთ შუაკაცებიო. ქაქუცამ საშა სულხანიშვილს და აბიკა ჭინჭარაულს დაავალა ელჩებად წასვლა. ამ ლაპარაკში გოგოთური სადღაც წავიდა და დაბრუნებისას ორი ბავშვი მოიყვანა, სამიოდე წლის ბიჭი და უფრო პატარა გოგო. მისცა ხურჯინი საშას და უთხრა: „აი, ეს ბალღები სულხანაურისანი არიან. ჩვენ ქისტების სისხლი გვმართებს — ამათმა მამამ, სულხანაურმა ქისტების მოლას თავი მოაჭრა, წამოიღო და ხევსურეთში დამარხა... ესენი წაიყვანე და მიჰგვარე ქისტებს, მძევლებად ჰყავდეთ, ოღონდ მოგვეხმარონო. მაშინ ქაქუცამ და დანარჩენებმაც ძლივს გადაათქმევინეს გოგოთურს ეს აზრი...

მეორე დილას მიკროავტობუსითა და მინივენით ვაპირებთ პირიქით ხევსურეთში წასვლას. ამ დროს პოეტი და აქაური ექიმი, ლელა გაბურიც შემოგვიერთდა, იმ ჭიმღელი ბესარიონ მარტიას ძე გაბურის შვილიშვილი, რომელსაც აკაკი შანიძემ 1914 წელს, პეტერბურგის ობუხოვის საავადმყოფოში მკურნალობისას, ხელი-ხელ საგოგმანები წიგნი „ხევსურული მასალები“ დააწერინა არხოტზე და იქაურ ზნეჩვეულებებზე. ამ წიგნში თავად ბესარიონის ლექსებიც არის და ერთს გეტყვით იქიდან, „სალდათში მიმავალი“ ჰქვია და სულ ნაპერწკლებს ისვრის:

აბეჩავ არხოტიონო,
დროებამ ჩამოგიარა!
ცხენო, მიყვარდი, ტიალო,
მალეო, გულთი მხრიანო.
ხელში ნაჭერო მათრახო,
მემრ ყანწო არაყიანო!
აწ სად ხარ ხევსურიშვილო,
გუნებით ღალატიანო?

ლელა გაბურსაც პაპამისივით სიტყვის ნიჭი გამოჰყვა და ხევსურულად ნაჭედი, ნაპერწკლიანი ლექსების ამოთქმა ამანაც იცის:

ნუ დაღონდი, ბუბაილო,
ყურს ნუ უგდებ ყორნის ყრანტალს,
ავი ფიქრი არ გაივლო,
არ ჩაიდო დარდი გულში...
დარი ადგას ნადირთ ღრანტეს,
გადიარა მონადირემ
გ ზაწვრილი და ხევი ქუში,
გადასერა ქარაფები
მგლის მუხლით და ვეფხის კლანჭით...
დაბრუნდება, ბუბაილო,
დარჩი ცეცხლთან...
ცეცხლთან დარჩი...

ხევსურეთის არაგვს მივუყვებით პირაქეთა ხევსურეთიდან ზემოთ, დათვისჯვრის უღელტეხილისკენ, რომ პირიქითა ხევსურეთში გადავიდეთ. არაგვის შენაკადების სახელებს გზადაგზა გვეუბნება გიო არაბული: უსტამალე, ბუჩუკურთა, როშკისწყალი, დათვისხევი, ბლოსწყალი, აკუშოსხევი — თან მოკლედ გვაცნობს ხევსურულ ანდრეზებს, ხოლო ვინც მეორე მანქანაშია, იმათ კიდევ მარიამ წიკლაური და ლელა გაბური ანათლებენ...

ბარისახოს თემი მოიცავს პირაქეთ ხევსურეთის და არხოტის მრავალ სოფელს — ბარისახო, აკუშო, კორშა, გუდანი, ბისო, ღული, ჩხუბა, ჭიე, ბლო, არხოტი, ამღა, ატაბე, აყნელი, აჭე, ახიელი, ბაცალიგო, ბუჩუკურთა, გველეთი, დათვისი, ზეისტეჩო, კარწაულთა, მაღრაანი, მოწმაო, როშკა, უკანახო, ქობულო, ღელისვაკე, ჩირდილი, ძეძეურთა, ჭალისოფელი, ჭიმღა, ჭორმეშავი, წინხადუ, ხახმატი და გულდსაწყვეტი ისაა, რომ მათი უმეტესობა დაცარიელებულია...

დათვისჯვრის უღელტეხილს რომ მივუახლოვდით, მწყემსების ნადგომი და მახლობლად პატარა ტბა გამოჩნდა. ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ამ ტბასთან რამდენიმე საათი ვიყავით ჩამჯდარი პირიქით ხევსურეთიდან ფეხით წამოსული (მაშინ ჩვენს ძველ „ვილისს“ ბენზინი გაუთავდა) ორი გეოლოგი და ველოდებოდით, მწყემსები როდის მორეკავდნენ ფარას, რომ თავიანთი ნაგაზები წაეყვანათ, რომლებმაც აქამდე მოსულებს ბინამდე მიახლოება არ გვაცალეს, ყეფით გამოგვივარდნენ, შემოგვეხვივნენ და მეტი გზა აღარ იყო, ორივენი ბალახზე დავსხედით და, მართალია, განძრევის საშუალებას არ გვაძლევდნენ, ღრენას იწყებდნენ, მაგრამ თუ წყნარად ვიქნებოდით, არაფერს გვიშავებდნენ. მოკლედ, ორი საათი მაინც ვყავდით შეპყრობილები, სანამ მწყემსებმა არ გვიშველეს...

ამასობაში ჯერ ჩვენი „დელიკა“ ავიდა დათვისჯვრის უღელტეხილზე, სადაც შევჩერდით და მალე მიკროავტობუსიც წამოგვეწია.

გიო არაბულმა დათვისჯვრიდან სამხრეთ-დასავლეთით დაგვანახა უნაგირივით ჩაღრმავებულ მთაზე მყინვარი, იქ არის აბუდელაურთ ტბა; ხევსურეთის მთავარი სალოცავი, გუდანის ჯვარიც იქ არის და იქიდან ბილიკი გადადის სოფელ ჯუთაშიო. ეს ჯუთა ჩემი მეგობრის, ჩვენი ფოლკლორის ცნობილი მკვლევარის, პროფესორ ამირან არაბულის მშობლიური სოფელია და იმ სოფლის თავზე, ჭაუხების ძირში, ზღვის დონიდან 2300 მეტრზე „ზეთა“ ტურისტული ბანაკი აქვს მოწყობილი ამირანისა და ეთერ თათარაიძის შვილს, ანანოს — სულ გული მიმიწევს იქით, რომ ახვალ, ჭაუხები გადმოგხედავს და დატკბები მთის საოცარი ბუნებით...

მერე პირიქით ხევსურეთისკენ დავეშვით მიხვეულ-მოხვეული გზით და მალე ჩვენ გზას თეთრად აქაფებული მდინარე არღუნიც წამოჰყვა.

არღუნი სათავეს იღებს პირიქითა ხევსურეთში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, დათვისჯვრის უღელტეხილის სიახლოვეზე. მისი მთავარი შენაკადებია ანდაქი და შაროარღუნი. აქვე უნდა ვთქვა, რომ თავად ხევსურები მხოლოდ პირაქეთა ნაწილს მოიხსენიებენ ხევსურეთად, პირიქითელები კიდევ შატილიონებად და არხოტიონებად იწოდებიან.

სამი საათი მოვანდომეთ გზას, სანამ შატილამდე მივაღწევდით. გზად ჩანჩქერთანაც გავჩერდით. გიო არაბულმა გვითხრა, მე ამ ჩანჩქერს „ალპინისტის ცრემლებს“ ვეძახიო. მერე შატილის თემის სოფლებიც დაგვისახელა — შატილი, ანდაქი, არდოტი, არჭილო, გიორგიწმინდა, კისტანი, მუცო, ხახაბო, ხონისჭალა.

შატილთან მიახლოებულებს ტურისტები გვხვდებოდნენ, რამდენიმე ადგილას კარვები რომ დაეცათ არღუნის ჭალაში. რაც მეტი ტურისტი იქნება, მით უკეთესი, მაგრამ ჩამოსულ სტუმარს დაცლილი სოფლები არ უნდა ხვდებოდეს...

მივედით მარჯვნივ, შატილისწყლის მხრიდან მზით განათებულ, მარცხნივ კიდევ — არღუნის ფერდობის მხრიდან ნისლმომდგარ შატილში. ავედით, დავიარეთ კოშკები და ვიწრო გზები, მაგრამ მე მალევე დავბრუნდი არღუნთან — გული დამწყდა, რომ მოსავლელი და სარესტავრაციოა შატილის კოშკები. არადა, თავისი იდუმალებითა და აქ მომხდარი ამბებით, ამოთქმული ლექსებითა თუ ანდრეზებით დიდი ძალა აქვს საქართველოს ამ უძველეს ციხე-ქალაქს — რომ მოდიხარ, თითქოსდა არ გიშვებს, საშველად გიხმობს...

მუცოსკენ რომ ვაპირებით წასვლას, ალექსი ჭინჭარაულის, ლეკოთ წიქას ქალიშვილი მოვიდა, გამოგველაპარაკა და იმას დავუტოვე გამომცემლების მიერ გამოტანებული წიგნები, რომ ეგება ვინმემ ზამთარში მაინც მოინდომოს წაკითხვა...

მერე ალექსი ჭინჭარაულის, იგივე ლეკოთ წიქას ერთი სახალისო კაფიაც გავიხსენეთ სახელდახელოდ — გამთენიისას სახლში მისდგომია ორი ქალბატონი — ზედაზენზე მივდივართ და წამოგვყეო. ლეკოთ წიქაც წაჰყოლია და მაშინ უთქვამს:

ვაიმე, ჩემო სახელო,
ამოგანგლულო მტვერშია —
მიჰყავხარ ქვედა ზნის ქალებს
ზედაზნის მონასტერშია.

სანამ მუცოსკენ გადავუხვევთ, გზაზე მოწყობილია შლაგბაუმი და ზემოთ, მთაზეც რუსული დროშა ფრიალებს...

და გულმა რეჩხი მიყო მაშინვე — ნეტავ, აქაც ჩვენსკენ ხომ არა სწევენ-მეთქი საზღვარს...

მივუყვებით არდოტის ხეობას, გზად კიდევ რამდენიმე ადგილზე შევხვდით ტურისტებს ზურგჩანთებითა და მდინარის ნაპირზე გაშლილი კარვებით...

მუცო დაუარსებია ხუთ ძმას, ერთს ვარდანა ერქვა, რომლისგანაც შეთკაურების გვარი მოდის; მეორეს, რაკი კოჭლობდა და ჩლახუნით დადიოდა, „ჩოლოხას“ ეძახდნენ, ვისთვისაც კახეთში, სოფელ მატანში მამულები უბოძებია მეფეს და მისგან ჩოლოყაშვილების გვარი წამოსულა; მესამე, მოსისხლეების გამო, თუშეთში გადასახლებულა და უზღარაულების გვარისთვის დაუდია სათავე; მეოთხეს ცოლშვილი არა ჰყოლია, შთამომავლობაც არ დარჩენია; ხოლო მეხუთეს შთამომავლთაგან კი გაჩნდა ლეგენდარული მუცოელი გმირი, თორღვა ძაგანი...

მუცოს ძირში, გზისპირას, რესტავრატორების სახლებია აგებული და, როგორც ამბობენ, კოშკების აღდგენის შემდეგ ეს ნაგებობები აქაურებს უნდა დაუტოვონ. ადგილობრივები აქ დაიაურებიღა იყვნენ, მე რომ დავდიოდი ოცდაათი წლის წინათ, აქედანაა პოეტი გელა დაიაურიც და იმას მუცოში დაბრუნება არ შეეშლება...

სულ ზემოთ მდებარე თორღვას ციხეზე აღარც არის ლაპარაკი, „ცოცხალი წიგნების“ მონაწილეები მუცოს კოშკებამდე რომ ავიდეთ, დავათვალიეროთ და ჩამოვიდეთ, სამი საათი კიდევ გვჭირდება და მერე, პირაქეთისკენ წამოსულებს, დათვისჯვრის უღელტეხილამდე მოგვისწრებს სიბნელე. არადა, გვინდა, დღიანად გადავიდეთ. ამიტომ მუცო მხოლოდ ქვემოდან გადავიღეთ, მოშორებით მდებარე ხეობის იმ წერტილიდან, საიდანაც კარგად ჩანს თორღვას ციხეც და სხვა კოშკებიც. იქ მისასვლელად ჩვენი მესაზღვრეების ნებართვაა საჭირო. ჩვენ ეს ნებართვა საიდან, მაგრამ იმ სამი მესაზღვრიდან ერთ-ერთი გიო არაბულის ნაცნობი აღმოჩნდა, რომელმაც ჯერ მე დამაიმედა, რომ აქ რუსები საზღვარს აქეთ არა სწევენო და მერე გაგვიშვა კიდეც...

არდოტის ხეობაში შეგვხვდა სამი მინივენი „დელიკა“, რომლითაც ამერიკელი ტურისტები ჩამოიყვანეს თუშებმა. ამერიკელები აქედან თუშეთში უნდა გადასულიყვნენ და ამ სამი მინივენით მერე იქ უნდა დახვედროდნენ ესენი.

გვაგვიანდება უკვე, ამიტომ ჩვენი მინივენი ანატორის აკლდამებთან აღარ გაჩერებულა, გზა გავაგრძელეთ. მინიავტობუსი, რომლითაც პროექტის სხვა მონაწილეები მოდიან, უკან ჩამოგვრჩა...

გამოვიარეთ შატილი და არღუნის ხეობას ამოვუყევით ზემოთ, დათვისჯვრის უღელტეხილისკენ.

მოსახვევებს რომ შეუდგა ჩვენი ჯიპი, შატილის მხრიდან ნისლი ისე მოგვდევდა, როგორც თეთრნაბდიანი ქისტების ლაშქარი გადამტერებული ხევსურების რაზმს — ნისლი ედებოდა და ფარავდა არღუნის ხევებსა და ღრანტეებს; მერე ზემოთ, მთა-გორებამდე ადიოდა, კლდეებს და ქედებს ედებოდა, ნისლი ავსებდა მთელ ხეობას.

ერთ მოსახვევში ფარა შემოგვხვდა, მწყემსები ბინისკენ მიერეკებოდნენ. ესენი თუშები არიანო, გიო არაბულმა გვითხრა. ზემოთა მოსახვევიდან რომ გადმოვხედე, ის ფარა უკვე აღარ ჩანდა, ნისლს დაეფარა.

ნელ-ნელა და ღონივრად მოუყვება მთაზე დაკიდებულ გზას ჩვენი ჯიპი ჩართული ხიდებით, შენ მოსახვევებიდან არღუნის ხეობისკენ იყურები, გაღმა ფერდობებსაც გახედავ ხოლმე და უცებ გეჩვენება, რომ ის ნისლებშესეული ფერდობები ახლოვდებიან, მოდიან შენსკენ და სადაცაა შენ უნდა აფრინდე მაღლა, ნისლი გაიარო და ზემოდან, არწივის გაფრენიდან გადმოხედო პირიქით და პირაქეთ ხევსურეთს...

ბოლო აღმართს რომ მოვუყვებით, ჩვენმა მძღოლმა, გიორგი ასანიშვილმა გაუშვა მიმავალი მანქანის საჭეს ხელები, ამოიღო მობილური და — აუჰ, რა ლამაზიაო! ძალიან მიყვარს ნისლიო! — გამოუცხადა ქეთი დუმბაძეს და ორივე ხელით დაიწყო ქისტის მარბიელი ლაშქარივით წამოსული ნისლის გადაღება. მოსალოდნელი საფრთხით აღშფოთებულმა ქეთიმ თავი ვეღარ შეიკავა და დაუცაცხანა — გააჩერე მანქანა და ისე გადაიღეო! — და მაშინვე შეარბილა ტონი — სხვებმაც ხომ უნდა გადაიღონო!..

დათვისჯვრის უღელტეხილზე რომ ავდიოდით, უკვე ბინდდებოდა და იმ სიბნელეში ნისლის პირველი ქულები შემოდიოდნენ.

ჯანღიანად ბნელდებოდა და ამ შავთეთრ ბუნდოვანებაში გაუჭირდებოდა უკან დარჩენილ ჩვენს მიკროავტობუსს სიარული. გავჩერდით და დაველოდეთ, რადგან პირიქითში მობილური ტელეფონი არ იჭერდა, რომ დაგვერეკა და მათი ამბავი გაგვეგო.

მანქანიდან გადმოვედით მე და გიო არაბული, რომ აქამდე ამოსული მძღოლებისთვის ჩვენი მიკროავტობუსის ამბავი გვეკითხა. აცივდა და ნისლმაც პირიქით ხევსურეთში გადაგვასწრო — ხევ-ხევ დაუყვა მიხვეულ-მოხვეულად, ზოგან სულ დაფარა გზა და ზოგან გვერდი აუარა. აი, ეგეთი დენა სცოდნია არღუნის ხეობიდან პირაქეთში გადმოსულ ნისლს.

ამასობაში იმ სამი მინივენით, ამერიკელები რომ ჩამოიყვანეს მუცოსთან, თუშებმა გამოიარეს და იმათ გვითხრეს, რომ მუცოდან გამოსულებს უნახავთ ჩვენი მიკროავტობუსი, ბორბალი ჰქონდა დაშვებული, იმას უცვლიდა და მალე წამოვიდოდაო.

ჩვენი მიკროავტობუსის ლოდინში პირიქითა ხევსურეთის ნისლიანი სიბნელით ამოვსებულ ხეობას გადავყურებთ, სადაც მხოლოდ ნისლიდან ამოსული ქედებიღა მოჩანს...

მანქანაში ვბრუნდებით. ისეთი სქელი ნისლია უკვე, რომ არაფერი ჩანს და ჯიპში მსხომები: ქეთი დუმბაძე, ნატო ინგოროყვა, ქეთი დოლიძე და ჩვენი ფოტოგრაფი, თეონა ფუტკარაძე არ იტყობენ, მაგრამ აფორიაქებულები არიან.

კაი ხნის ლოდინის შემდეგ ამოაღწია მიკროავტობუსმა ჩვენამდე, რომლის მძღოლს ჩვენმა უთხრა — ამ ნისლში გზა ძნელად ჩანს და შენ უკან მომყევი გაბარიტების ნათურებზეო.

→

ალებმა დაიჩივლეს, ამ ნისლში როგორ უნდა ვიაროთ, არაფერი ჩანსო. მძღოლმა რომ ფარები ჩართო და შორეულ განათებაზე გადართო, მინები სულ გათეთრდა. ვაიმე, მინებიც როგორ დაიორთქლაო! — თქვა ვიღაცამ.

ნისლი ჩანდა თეთრად მინაში და, მართლაც, დაორთქლილს ჰგავდა.

გიომ თქვა, როცა დიდი ნისლია, ერთი კაცი გადადის, წინ მიუძღვის მანქანას და ანიშნებს, საით უნდა გაიაროსო.

მძღოლმა უთხრა, არ არის საჭირო, ვივლიო.

ქეთიმ გაუცინა, იმედია, გადაღებას არ დაიწყებ სიარულისასო. მერე კი აამბობინა, თუ როგორ გაუკეთეს ხერხემლის წანაზარდის ოპერაცია — ეტყობა, იფიქრა, ლაპარაკისას ნაკლებად მოუნდება ვიდეოს გადაღება მიმავალი მანქანიდანო...

ნატო ინგოროყვას თავისი ქმარი, ელიზბარ ელიზბარაშვილი ურეკავს. ეტყობა, ნატოს დარდიანი ტონი არ მოწონს და მე ვამშვიდებ ელიზბარს, ყველაფერი კარგად არის-მეთქი.

სანამ ჩვენი მანქანები ნელ-ნელა ჩამოდიან დათვისჯვრის უღელტეხილიდან, რამდენჯერმე დაგვირეკა კორშაში დარჩენილმა გაგა ნახუცრიშვილმა, რატომ აგვიანებთ, ხომ კარგად ხართო.

მერე გიოსაც შეეხმიანა მამამისი, როგორ და სად ხართო. ეს დარეკვა უბრალო რომ არ იყო, მაშინ მივხვდი, როცა კორშაში, სასტუმროში მისულებს, ცხელ-ცხელი და ქაფქაფა ხინკალი დაგვახვედრეს...

ერნესტ ჰემინგუეის, რაც არ უნდა შუაგულ ომში მოხვედრილიყო, წესად ჰქონდა, არაფერი ჩაეწერა იქვე. ასე რომ, რაც ის ომებში ყოფილა, სანადიროდ თუ სათევზაოდ უვლია, არსად, არავის უნახავს, რომ ფანქრითა და ბლოკნოტით შეიარაღებულ მწერალს გაფაციცებით ჩაეწეროს რამე. რატომ და, გონება თავისით იმახსოვრებს თავს გადახდენილს და მერე რომ წერ, რაც საჭიროა, სწორედ იმ დეტალებს გამოსახავს, ხოლო როცა იქვე იწერ, მიედ-მოედები ყველაფერს და მთავარი ხელიდან გისხლტება.

ჰოდა, მეც ეგრე ვიყავი სულ, მაგრამ იმ საღამოს საძინებელში ავედი და რაღაცრაღაცეები მაინც ჩავინიშნე, მერე ერთი „ნიმესილიც“ დავლიე და ეგრე ვცადე დაძინება. ადამიანის სული ხომ ვერ იტანს დიდ მანძილებზე ჩქარ-ჩქარა გადაადგილებას, სულს შეჩვევა უყვარს ადგილისა, რომ კარგად გაუგოს იქაურობას...

ჰოდა, ვითომ დავიძინე და ის თეთრნაბდიანი ქისტის მარბიელი ლაშქარი ხომ გახსოვთ, თან რომ მოგვდევდა პირიქით ხევსურეთიდან — იმათ, ეტყობა, კორშამდეც ჩამოაღწიეს და ისეთი რაკი-რუკი ატეხეს სახურავზე, რომ მე კი გამაღვიძეს, მაგრამ უკვე ჩაძინებულ გაგა ნახუცრიშვილს ვერაფერი დააკლეს.

მე რაღა დამაძინებდა, როცა ამდენი რამე ხდებოდა გარეთ, ჩავიცვი და აივანზე სავარძლები იდგა, იქ დავჯექი ჩემი Bic-ის სანთებელითა და Chesterfield-ის სიგარეტით.

ქვემო სართულიდან გამოსულ შუქზე ჩანდა, როგორ ესროდნენ უკვე კორშამდე ჩამოსული თეთრნაბდიანი ქისტები წვიმის გრძელ ხანჯლებს დედამიწას...

არაგვიც აღელვებულიყო და უფრო ხამამაღლა მიჩქაფუნობდა თავდაღმა, ის თავისას ჯავრობდა და მეც კაი ხანს ვუსმენდი...

მერე იმ თეთრად გაბაცებულ სიბნელეშიც კი გავარჩიე, როგორ აიკრიფნენ თეთრნაბდიანი ქისტები, ტყიან ფერდობს მაღლა-მაღლა შეუყვნენ და რომელიღაც თანავარსკვლავედის ერთი-მეორეზე შემოწყობილ ოთხ ვარსკვლავში თავაყოფილი შოთა არაბულის ეზოს ორი მაღალი ნაძვის სილუეტი გამოჩნდა...

დილაადრიან, როცა გაღმა ფერდობზე ალაგ-ალაგ შერჩენილიყვნენ თეთრბანდიანი ქისტი მდევრები, მარიამ წიკლაურმა თქვა, ჩემი ფაფარენას და კორშის უნახავად როგორ წავიდე აქედანო. ჰოდა, მესაზღვრე არმაზ წიკლაურმა და გიო არაბულმა ნატვრა აუსრულეს და სოფელ როშკაში წაიყვანეს პროექტის სხვა მონაწილეებთან ერთად, სადაც იქაურებისთვის თვალნათელ ვიზუალურ მაგალითზე გაუცვნია თავისი პოემის — „მარადისობის რიტუალის“ ერთი პასაჟი —აი, ცროლის მთა, აქ გადიოდა დედამიწის შუა სამანი, აქაც გადმოდიოდა წმინდა ცეცხლი, სანთელი თავისით ინთებოდა, წყალიც თავისით დუღდა და მერე დასდებია საფარველი ამ წმინდა ადგილსაცო...

მერე, ეს ჩვენი „როშკიონები“ რომ მობრუნდნენ, აღარ დაგვიხანებია და, გაგა ნახუცრიშვილის და ქეთი დუმბაძის გარდა, რომლებიც ჩირდილის ლიტერატურულ ფესტივალზე უნდა დარჩნენ და ჩარგლიდან უკან, კორშაში უნდა ამობრუნდნენ, ყველამ ავიკარით გუდა-ნაბადი და ორწყლამდე დავუყევით ხევსურეთის არაგვს, ორწყალიდან კიდევ — ფშავის არაგვის უფრო გაშლილ და ფართოფოთლოვანი ტყით შემოსილ ხეობაში შევედით.

მანამდე რამდენჯერმე დამირეკა შუაფხოს სკოლის დირექტორმა ირმა ცქიფაშვილმა — აბა, როდის გამოდიხართ და როგორ არის მანდ საქმეო.

სანამ შუაფხოს სკოლამდე მივაღწევდეთ, იმასაც გეტყვით, რომ უკანა ფშავის თემში შედის სოფლები: შუაფხო, გოგოლაურთა, ცაბაურთა, თხილიანა, უძილაურთა, ბინდაურთა, უკანა ფშავი, ახადი, ხოშარა, მათურა, ჭიშო, მუქო, საშევარდნო. უფრო ზემოთაც სახლობდნენ ადრე, გერმანელების შედგენილ რუკებზე მაქვს ნანახი ის სოფლები, ახლა რომ მიტოვებულია...

ფშავის არაგვზე, აბა, რა უნდა მოგახსენოთ, ოცდაათი წლის წინათ რომ მაქვს დავლილი თავისი შენაკადებიანად — ბოტანისწყალი იქნება, მათურხევი, ახადისწყალი, შარახევი, ჩარგლურა, წაწადო, თამარღელე, გომეხეობა, კიშხევი, ნაროულა და თეთრახევა... — ჰო, ვერც ვერაფერს მოგახსენებთ იმის გარდა, რომ ზედ გულზე ჩამოივლის და მაგისი მოყოლილების უმეტესობა დასაწერად არ მემეტება, თორემ ისე ზეპირად ვიცი — გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში აქ, ფშავის არაგვის ხეობაში, თხილიანაში, დავითო ქოჩაშვილის სახლში გვქონდა ბაზა ფშავის გეოლოგიური პარტიის თანამშრომლებს...

ირაკლი ციგროშვილის სახლს რომ ჩავუარეთ, სევდის შავი არწივები მაშინ წამომიფრინდნენ — ჯარჯი ფხოველის ძმა და თავადაც პოეტი იყო ირაკლი, შარშან გარდაიცვალა. ძალიან მიყვარდა მაგასთან შეხვედრა და ლაპარაკი, ისევე, როგორც ჯარჯისთან...

ავხედე ავისგორს და ირაკლი ციგროშვილის ლექსი მომაგონდა:

იახსრობა — 2000

ღმერთს ადიდებენ... და ავისგორზე
ხემხვივანს შესძრავს სიო მთებისა.
ხატს ამწყალობებს ხუცესი თასით
და ლოცავს ნამუსს ხატის ყმებისას.
მოჰყავთ კურატი.
მუხის და იფნის
ფოთლებს ზარის ხმა
დაუვლის ჟრჟოლად...
ზვარაკის სისხლი ამენამულებს
ბალახს... და მერე მიწაში ჟონავს...
შუქი ევლება იახსრის დროშას,
ციდან ჩამოდის სვეტი გრძნეული...
დრო-ჟამის ქვებზე იწვის სანთელი,
მძვინვარე დრო-ჟამს გამოღწეული.

შუაფხოს სკოლის წინ საზეიმოდ გამოწყობილი მასწავლებლები, მათი მოწაფეები და უფროსებიც დაგვიხვდნენ, სკოლის დირექტორის, ირმა ცქიფაშვილის ხელმძღვანელობით და შენობაში შეგვიძღვნენ. ქეთი დუმბაძემ და მარიამ წიკლაურმა კულტურის სამინისტროს პროექტის — „ცოცხალი წიგნების“ არსი გააცნეს დამსწრეებს.

მასწავლებლები ჩივიან, რომ გუშინ განათლების სამინისტროდან ბრძანება მიუღიათ კლასების გაერთიანების შესახებ — პირველ, მეორე და მესამეკლასელ ბავშვებს ერთად უნდა ვასწავლოთო, ჩვენი შტატები მცირდება და ამ ჩვენ ოცდაერთ ბავშვს როგორ უნდა ვასწავლოთ ერთად, არ ვიციოთო...

ამ უცნაურ ბრძანებაზე მომსვლელთაგან და დამხვდურთაგან გაკვირვების და შეცბუნების გამოხატვის მერე, პროექტის კოორდინატორმა ბიჭურთ თეკლე მოიკითხა და მაცნე აფრინეს იმასთან, „ცოცხალი წიგნები“ გელოდებიანო. გავემზადები და მოვალო, შემოეთვალა თეკლეს და მარიამმაც გულდინჯად დაიწყო, რომ, აბა, სანამ თეკლე ბებო მოვა, თქვენს პრობლემებზე კიდევ მოგვიყევითო.

დაწყებითი კლასების მასწავლებელი თამარ ჩოხელი ადგა და ის დაიჩივლა, რაც ჩემი აქ მუშაობის დროსაც პრობლემა იყო

მიხო მოსულიშვილი

თეთრნაბდიანი ქისტი მდევრები და სევდის შავი არწივები



— უკანაფშავიდან, ვაკისსოფლიდან შვიდკილომეტრიანი გზა მოდის შუაფხოსკენ და ეს გზა გაყვანილია არაგვის ჭალაში, შიგ კალაპოტში. მდინარის კალაპოტში გზის გაყვანას კიდევ რაც მოყვება ხოლმე, სულ პატარა მდინარე ვერემაც გვანახა 13 ივლისს თბილისში და ეს გიჟმაჟი და გადარეული არაგვი რომ მოდიდდება, გზას გააჩერებს თავის ჭალაში? მოვარდება, დაანგრევს გზას, ისევ თავიდან გააკეთებენ, კიდევ მოვარდება, თავიდან დაანგრევს, ისევ და ისევ და, სულ ასე გრძელდება. არადა, ზემოთ, ფერდობზე უნდა გაიჭრას ის გზა, რომ არაგვი ვერ ასწვდესო...

ჰო, მართალს ამბობს, ფერდობზე უნდა გაკეთდეს ის გზა, რაც იაფი არაა, მაგრამ კალაპოტში ყოველწლიურად ახლიდან გზის გაკეთებაზე ძვირი მაინც არ დაჯდება. თუ ეს გზა მოიშალა, ის რამდენიმე ოჯახიც წამოვა ვაკისსოფლიდან და ისედაც დაცლილი არაგვის ხეობა სულ გაუკაცურდება.

ბიჭურთ თეკლე რომ შემოვიდა, მარიამ წიკლაურმა ჩემი თავი მოაგონა, მაგრამ იმან ვერ გამიხსენა. მეც ვუთხარი, ადრე ერთ შუაფხოელს წიგნი გამოვატანე-მეთქი თქვენთან, მაგრამ ვერც ეს მოიგონა...

მერე მარიამმა დაიწყო პროექტის მონაწილე მწერლების წარდგენა. გამოდიან ისინი, ლექსებს და მოთხრობებს კითხულობენ. შორენა ლებანიძე და გიორგი კაკაბაძე ფიროსმანზე დაწერილი თავ-თავიანთი წიგნებიდან გვაცნობენ ფრაგმენტებს და ამ შეხვედრას უხდებიან — აქ ხომ ვაჟა-ფშაველას სული ტრიალებს და ნიკო ფიროსმანი დახატულები უყვარს...

მე კიდევ ვუყურებ გამომსვლელებს, მსმენელებს და ვფიქრობ — აბა, აქ რა უნდა წავიკითხო, საითაც არ გავიხედავ და გამოვიხედავ, აქეთ ავისგორი იქნება, იქით — შუაფხოს ხიდის ქვეშ მოჩქაფუნე არაგვი თუ გაღმა — თხილიანა, ზემოთ კიდევ — მუქო, თუ ტყისპირა სათიბ-საძოვრები, სულ სევდის შავი არწივები მოფრინავენ ყველა მხრიდან და გულს მიკორტნიან, აღარ დაეძებენ, რომ ზედ არაგვი ჩამოივლის თუ არა... და რა ვქნა, ხომ არ გავიპარო-მეთქი აქედან...

ჩემმა გამოსვლამ რომ მოაწია, გამომცემლების გამოტანებული წიგნები გადავეცი საჩუქრად სკოლის ბიბლიოთეკას და მერე „ფშაური ჩანაწერების“ ციკლიდან მიხა ხელაშვილის ახადზე მინიატურა ძლივს ჩავიკითხე ყელზე შემოსეული იმ სევდის შავი არწივებით... და ისიც ვახსენე, რომ დავითო ქოჩაშვილთან რომ გეოლოგები მოდიოდნენ ხოლმე, ერთი იმათგანი მეც ვიყავი.

გაიგო თუ არა ეს ბიჭურთ თეკლემ, მაშინვე დამიძახა, გვერდით მომისვა — გამახსენდა და ის შენი გამოტანებული წიგნიც მომცეს... და შენც მომაგონდი, მაგრამ მაშინ შავთმიანი ბიჭი იყავი და შეცვლილხარო. მაპატიე, შვილო, მეც დავბერდი, ოთხმოცდარვა წლისა ვარ და უცებ ვერ გაგიხსენეო.

ჰო, წესით უნდა გავეხსენებინე, რაც მე ბიჭურთ თეკლეს ნაამბობი მისმენია და მერე ჩუმ-ჩუმად ჩამიწერია კიდეც.

თეკლეს მამა, ბიჭურ ბადრიშვილი იახსრის ხატის ხევისბერი იყო და მთელ ამ არემარეზე კითხული კაცი, რომელსაც ერთიც ეგეთი ლექსი აქვს დატოვებული:

პურადსა ჰკითხეს: „პურადო,
პურადობისა რა გერგო?“
„ნეტაი ჩემი სასახლე
შუა-შარაზე ამეგო,
გაყინულ ცეცხლით გამეთბო,
მშიერი პურით გამეძღო,
ამდენა ცოდვის მოქმედსა
სულ იმით მაინც მამეგო!“

დამთავრდა შეხვედრა, გამოვიშალეთ გარეთ, ოჩიაურების სახლისკენ მივდივართ, სადაც ანა კალანდაძე ჩამოდიოდა ხოლმე და აქ დაწერილი შედევრებით ამდიდრებდა ქართულ პოეზიას. ლელა ოჩიაური მომიყვა მერე, რომ ქვაბროლებს აგროვებდა ანა კალანდაძე, შინ მოჰქონდა და ჩვენი სახლის გარშემო აწყვიაო...

მივდივართ და ერთი ბოსტნიდან კიტრებით ხელში გამოვიდა ხნიერი და ცისფერთვალება კაცი, გვერდით ელიზბარ ელიზბარაშვილი და ნატო ინგოროყვა მომყვებიან, და ელიზბარმა —ეს ბიძაჩემია, იახსრის ხევისბერი ლაზარე ელიზბარაშვილი, გაიცანიო.

მოუდით ელიზბარაშვილებს ხევისბერობა, ელიზბარის პაპებიც და პაპის პაპანიც ამ საქმის აღმასრულებლები იყვნენ...

მოკლედ, გავიცანი და ლაზარე მეუბნება — სკოლაში შეხვედრაზე მეც ვიყავი და იქ ხომ ნოდარ დუმბაძის შვილი იყო და ის დამალაპარაკეთო. მოვუყვანეთ ქეთი დუმბაძე და — შენ რომ სიტყვით გამოდიოდი, გამახსენდა, მამაშენის სახელს ტალახი როგორ ესროლეს, ძალიან მომერიდა და იმიტომ წამოვედიო. ხალხს უყვარს მამაშენი და ისე მოხსენიება არ ეკუთვნოდა, მაგრამ მზეს რამდენიც გინდა ლაფი ესროლო, ვერაფერს დააკლებო — ამბობს თვალცრემლიანი ხევისბერი და იგივე მდგომარეობაში მყოფი ქეთიც უდასტურებს — იმათ არც უნდა ვუსმინოთ, მთავარი ხალხის სიყვარულიაო... მე კიდევ ორივეს ვუყურებ და ამ მეორეჯერ მაინც სადღა გავიპარო, ვერ ვხვდები...

ისევ მარიამ წიკლაურმა გვიშველა — ჩარგალში გვაგვიანდება, მაგრამ ჯერ ჯაბანიშვილებისას, თხლიანაშიო —დაგვიძახა და ხევისბერთან გამომშვიდობების მერე, ახლა იქით წავედით.

ამ ჯაბანიშვილების სამოსახლოს ზემოთ რომ ახვალ, იქ არის დავითო ქოჩაშვილის სახლი, სადაც ბაზა გვქონდა. იმ ერთსართულიანი სახლის გვერდით მინდორია, სადაც თიბვაში მიშველიებდა ხოლმე დავითო, მინდორს ბილიკი მიუყვება და მერე წყარო მოჩქეფს დიდ იფნებში — უგემრიელესი და უცივესი — იქიდან დავითოს ცოლის, თამაროსთვის მომქონდა ხოლმე დიდი კოკით წყალი...

ზაზა ჯაბანიშვილის და ირმა ცქიფაშვილის ოჯახში ცხრა შვილი ხომ აქეთ-იქით დარბის და ამათ ემატება კიდევ ის მასწავლებლები, რომლებიც აქაურები არ არიან და თავის სახლში უფასოდ აცხოვრებს ირმა...

ჯაბანიშვილებს უთქვამთ, ამდენი მწერალი ერთად ჩვენს სახლში როდისღა მოვა, კარგად უნდა დავუხვდეთო — და

მართლაც, ზღაპრული სუფრა გაეშალათ...

ერთი პრობლემა აქვთ ჯაბანიშვილებს — იმათი სახლის ზემოთ, მაღლა, ტყეში ნაპრალი არის გაჩენილი, რომელიც თანდათან ფართოვდება და სერიოზული საფრთხე შეიძლება არსებობდეს — ამიტომ საჭიროა გეოლოგების დასკვნა. სამწუხარო ისაა, რომ სახელმწიფო გეოლოგიური სამსახური აღარ არსებობს, გაუქმებულია. თუმცა მაინც ითხოვეს, რომ იქნებ სპეციალისტებმა კერძოდ მაინც ნახონ ის ადგილიო...

ამასობაში ჩარგალში შეხვედრის დრო მოახლოვდა — სალომე კაკაბლიშვილი გველოდებაო — და კოორდინატორმა ისევ წამოგვშალა...

ჩარგალში რომ მივედით, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმთან გველოდნენ მასპინძლები.

ვაჟას ძეგლთან სალომე კაკაბლიშვილმა გამაცნო დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი და სამივე ვლაპარაკობთ ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის გასავითარებლად საჭირო ღონისძიებებზე — როგორც მუცოს რესტავრაცია მიმდინარეობს, ასევე უნდა აღდგეს შატილიც და ფშავის არაგვის ხეობასაც ყურადღება სჭირდება ამ მხრივ, თუნდაც, მიხა ხელაშვილის სახლი და გოდერძის ციხე რომ აღდგეს ახადში.

ჩარგლურას გაღმა, ვაჟა-ფშაველას სახლის მწვანე ეზოში, სადაც ნუკრი მჭედლიშვილს მოყვანილი ჰყავს ქართული საბრძოლო ხელოვნების — „ხრიდოლის“ მოწაფეები, ტრადიციული სამოსითა და ფშავის ტრადიციული თორმეტი სადროშოს ალმებით, „ცოცხალი წიგნების“ მონაწილე მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს კითხულობენ წრედ შემოკრებილ ხალხში.

ძნელია, ვაჟას ეზოში რამე შენი დაწერილი წაიკითხო — ზემოდან გადმოგყურებს იმისი ლანდი და ჭიანჭველასავით გაპატარავებს. მე ხვარამზეზე დაწერილი მინიატურის წაკითხვას იმიტომ ვბედავ, რომ იქ ხვარამზეს ლექსიც მაქვს დამოწმებული:

არ გათენდება სთვლის ღამე,
ღამებნელობა კი არი...
მთქმელო, ვერ ამსრულებელო,
რაღა შენ სიცოცხლე არი?!
ნეტავი, ვაჟად მაქცია,
ქალი არა მქნა თმიანი.
მემრე შეგვყარნა ერთადა
ორნიც ჭრელ მათრახიანნი, —
ვერც მაშინ გაიგებდია,
რაც ჩემი გულის ზნე არი?!

შეხვედრის დამთავრებამდე საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი გამოსვლებიც ეწყობა სტუმრების საპატივსაცემოდ.

იქვე, ჩარგალში, მარიამ რაზიკაშვილის ოჯახში სალომე კაკაბლიშვილმა დაგვახვედრა ტრადიციული ფშაური სუფრა, სადაც ნუკრი მჭედლიშვილი თამადობს. თუმცა მე ორნახადი ჟიპიტაურისა და მონატრებული ხაჭო-ერბოს გარდა, არც არაფერი მინდა, თანაც თუ ფშაველი ფრანსუა ვიიონის, მერცხალას კაფიაც შემომაშველა ვინმემ... თუნცად ეს:

აფშოს მოიდა მერცხალი,
ქალმა ქალს უთხრა — ეს არი.
სარტყელს ზემოთით ლექსია,
სარტყელს ქვემოთით — ნესტარი!

იქვე გამოვემშვიდობეთ პროექტის სხვა მონაწილეებს და ღამით ჩვენს ხუთეულს — მარიამ წიკლაურს, ქეთი დოლიძეს, მანონ ბულისკერიას, ცირა ყურაშვილს, გოჩა სხილაძეს და მე — ამირან ზურაბაშვილის საოჯახო სასტუმროში გვეძინა...

ჩარგალში რომ ხარ, არც იმ ღამით უნდა დაგეძინოს, გინდა მერცხალას კაფიით გალაღებულზე უკვე აღარ მოფრინავდნენ ყოველი მხრიდან სევდის შავი არწივები, რადგან ზედ სახლის სახურავთან შენთვის ხელის ჩამოსართმევად დაბლა ჩამოსული ვარსკვლავებია და ქვემოდან კიდევ მდინარე ჩარგლურა ისეთებს გიყვება, უნდა იდგე და უსმინო...

ჩვენი მოგზაურობის ბოლო დილას გამოვემშვიდობეთ ჩარგლის სტუმართმოყვარე მასპინძლებს და ჟინვალიდან გაყვანილი ახალი გზით გავწიეთ თიანეთისკენ. ამჟამად აქ მიმდინარეობს გზის გაფართოების სამუშაოები, რომ შემხვედრმა მანქანებმა შეძლონ ერთმანეთისთვის გვერდის აქცევა.

გზად ფუძნარის მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია მარტოხელა ირემივით მოულოდნელად შემოგვეფეთა ტყიდან — ამისი აღდგენა შარშან დაუმთავრებიათ და მართლა ღირს ნახვად...

რაც უფრო ქვემოთ მიუყვები, თიანეთისკენ, ივრის ხეობა უფრო იშლება, თორემ ზემოთ, აონის სალოცავისკენ და ივრის კუდებში ფშავის არაგვისას ჰგავს.

შეხვედრამდე ჯერ ადრე იყო და თიანეთში მისულებმა მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმს მივაკითხეთ. ამ შენობის აღდგენა ორი დღის წინ დაუწყიათ და სანამ მუზეუმის დირექტორი, ციცინო გაბიდაური მოვიდოდა, მშენებელმა მეზობელი სახლიდან შეგვიყვანა მუზეუმის ეზოში.

სამი მუშა შლის 1893 წელს აშენებულ გელოვანების სახლს, რომლის უკანა კედელზე, მარჯვნივ ორი თითის სიმსხო ბზარი გადის და კედელი მიწაშია ჩასული...

ციცინო გაბიდაურიც მალე გამოჩნდა და ჩვენთან გამოლაპარაკების მერე, რესტავრატორებს შეეკამათა — ორი დღეა, სამი მუშით დაიწყეთ ეს პროექტი, ჩაბარება ოც ნოემბერს გაქვთ და აქ შუა ოქტომბრიდან ისეთი ყინვა და თოვლი იცის, რომ ვეღარაფერს გააკეთებთო. იმათმა უფროსმა იწყინა — რატომ მიყვირით, ქალბატონო, ყველაფერს გავაკეთებთ, ჯერ სამშენებლო სამუშაოების თანმიმდევრობაა დასადგენიო...

მეც მივედი მშენებლებთან, გავიცანი მათი ხელმძღვანელი ნუკრი შატბერაშვილი და იმან მითხრა — მე რომ ჩაბარების ვადას ერთი დღე გადავაცილო, 340 ლარით დამაჯარიმებენ და დაგვიანება არც ჩემთვის არის ხელსაყრელიო. სამუშაოების შემდგენელთან შეხვედრა მაქვს დანიშნული, აივანზე რკინა-ბეტონი უნდა დაისხას თუ კოჭები და ფიცარიო. პროექტში ორივე უწერიათ და ეს დასაზუსტებელიაო. ისე კი, მე ხარჯებში ბეტონი მიზის და სჯობია კიდეც, უფრო დიდხანს გაძლებსო.

მე ავუხსენი, რომ ციცინო გაბიდაური უკვე ოცდაექვსი წელია, ამ მუზეუმის დირექტორია, სულ პატარა ექსპონატსაც კი თვალის ჩინივით უფრთხილდება და არ გეწყინოთ მისი აღელვებული ლაპარაკიმეთქი.

თიანეთის კულტურის ცენტრში, იგივე ბიბლიოთეკაში გამართულ შეხვედრაზე მოვიდა ციცინო გაბიდაური და გამოაცხადა — მიხოს მადლობა, რომ მშენებლებს ელაპარაკა და ურთიერთობა დაალაგა, თორემ მე ძალიან ვნერვიულობ, შენობა 1893 წელს არის აგებული და მინდა, დროზე აღდგეს და ძველებური სახე შეინარჩუნოსო.

ამ შეხვედრაზე, რომელსაც ოცდაათამდე მსმენელი ესწრებოდა, ბიბლიოთეკას ვაჩუქეთ კულტურის სამინისტროდან წამოღებული წიგნები და ჟურნალები, ასევე ავტორების წიგნებიც.

მარიამ ხუცურაულმა, ლიტერატურული კონკურსის — „ხვარამზეობის“ ორგანიზატორმა და თავადაც ჩინებულმა პოეტმა, აქაც და ჩარგალშიც მასპინძლებს მიათვალა საკუთარი თავი, თავისი ლექსი არ წაუკითხავს, სამაგიეროდ, სამადლობელი სიტყვა უთხრა პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ორგანიზატორებსა და მონაწილეებს...

თიანეთიდან გამოსულ და საბადურის ტყემდე არმისულებს რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების ამბავი წამოგვეწია, რაც ცირა ყურაშვილმა გვამცნო და ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული... დავით კლდიაშვილის მერე ისე ლაღად და დიდებულად არავის დაუხატავს სამშობლო, როგორც ბატონ რეზოს — მარტო აქ კი არა, ადგილობრივად, არამედ ყველგან, მთელ მსოფლიოში გასაგებად...

საღამოს დაღლილები ჩამოვედით ცხვარიჭამიას მხრიდან თბილისში, სიგრილიდან — სიცხეში. მთის ძალასა და მადლს მოვიყოლებდით თან და, სხვები თუ ვეღარ, მე მაინც იმას ვნატრობდი, კიდევ როდის წავიდოდი იქ — ანდრეზების, ლექსისა და სულეთის მხარეში.

ვაჟა ხორნაული

ისევ მივლენ ერთმანეთთან

* * *

დილა მიდის და დღე იწყება და ჩვენ ქალაქიდან გავდივართ.თბილისიდან გასული შემოდგომას სხვაგვარად განიცდი: ასფალტის მაგივრად ლამაზად გამოხუნებული ბალახი შემოგყურებს, მწვანეში ოქრო ურევია, წყალი ისეა დაწმენდილი, რომ ფსკერზე თევზის ჩრდილს დაინახავ.

ქალაქის იქით ცა უფრო ნათელია, ხმები — უფრო ხალისიანი და სიჩუმე — უფრო მეტყველი.

* * *

გამოჩნდნენ მთები და მთელი არსებით მათ ეკუთვნი, ხოლო მყინვარის დანახვისას გრძნობ, გული როგორ ფერმკრთალდება სიტყვით გამოუთქმელი გრძნობისაგან.

რა დროს გოეთეა — მე მყინვარი ღმერთის ხმას მაგონებს, რომელიც დედამიწიდან ამოზრდილა და სივრცეში გარინდებულა ჩვენს გადასარჩენად...

* * *

საუბარი ბევრ რამეს ეხება,მაგრამ, უპირველესად, თემა „ცოცხალი წიგნებია.“

„ცოცხალი წიგნების“ სატკივარი ისაა, რომ მწერლობამ და ადამიანმა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, დაკარგეს ერთმანეთი — არადა, როცა ერთად არიან, ქვეყანაც იცვლება — უფრო ღონიერი, უფრო მშვენიერი და უფრო ჭკვიანია.

„ცოცხალი წიგნების“ ურთულესი და უმშვენიერესი მისია ისაა, რომ წიგნი, როგორც დიდი მოძღვარი, ისევ გამოჩნდეს ოჯახებსა თუ ბიბლიოთეკებში, ზურგჩანთასა თუ გულის ჯიბეში.

ზოგჯერ საუბარში საიდანღაც იელვებს იუმორის ნაპერწკალი, რომელიც ცეცხლად აბრიალდება და ლამის დავკარგოთ ერთმანეთი სიცილის ნათებაში.

ქეთევან დუმბაძეს არამარტო ბრძენი მამის საგანძურიდან, საკუთარი სალაროდანაც ამოაქვს იუმორის ძვირფასი თვლები და ერთი წუთით გავიწყდება, თუ ვინა ვართ და საით მივდივართ... მაგრამ — მხოლოდ ერთი წუთით.

* * *

მთისა და მუჰამედის ამბავი მახსენდება. თვითონ მწერალი მისულა მკითხველთან, რომელსაც ცივილიზაციის მრავალმა საცდურმა დაავიწყა წიგნის სურნელი და გემო.

* * *

ნიკა ჯორჯანელი და გაგა ნახუცრიშვილი, ბელა ჩეკურიშვილი და მარინა თექთუმანიძე პოეტური ენით გადმოსცემენ ადამიანისა თუ დიდი ტკივილებით გატანჯული პატარა ქვეყნის დარდსა და სიხარულს.

რასაკვირველია, გაისმის სიყვარულის მარადიულ თემაზე შექმნილი ლექსებიც.

თავისებური ხიბლი შემატა ამ შეხვედრებს ვახტანგ ჭელიძის შვილის — დავით ჭელიძის გამოსვლებმა: იგი კითხულობდა იმ ინტერვიუებს, რომლებიც სხვადასხვა დროს აუღია ცნობილი ადამიანებისაგან. ასეთი რამ გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, ვინაიდან, ასეთ სიტუაციაში კორესპოდენტიცა და რესპოდენტიც ერთი და იგივე პიროვნებაა. დავით ჭელიძეს ამ სირთულის „მორჯულება“ არ გასძნელებია.

ყაზბეგის მკვიდრის — თენგო ავსაჯანიშვილის ლექსებმა და დეკლამაციურმა ნიჭმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

* * *

ყაზბეგი და გერგეთის სამება.

დუშეთი, მცხეთა და წეროვანი.

შემოდგომის თბილი და კრიალა სივრცით დამშვენებული ამ ადგილებიდან გამოყოლილი სევდა თუ სიხარული თავის დროზე იქცევა სიტყვად, რაც ნიშანი იქნება იმისა, რომ ისევ მივლენ ერთმანეთთან წიგნი და მკითხველი, რასაც მოჰყვება ნანატრი სასწაული: ჯერ გადარჩება და მერე ამაღლდება ქვეყანა.



მწერალი

ნათია როსტიაშვილი

ნათია როსტიაშვილს ორიოდე წლის წინათ შევხვდი მწერალთა სახლში მისი კრებულის — „ქალის ანგელოზის“— პრეზენტაციაზე. მაშინ საჯაროდ წაიკითხა ერთი მოთხრობა — „28-ე, ანუ მე ჯონის ვღალატობ“ — და უპასუხა ბევრ შეკითხვას. მანამდე არც ერთი მწერალი ლიტერატურული პერსონაჟისთვის არ მიმიმსგავსებია, ნათიაზე კი ვიფიქრე, რომ ერთ-ერთი იყო იმ სამყაროდან, თვითონ რომ ქმნის, ხატავს, აცოცხლებს, დადებითი ემოციით მუხტავს და შემდეგ, ჩვენთვის, მკითხველისთვისაც იმეტებს გასაცნობად. ამიტომ არ მიკვირს, ლიტერატურული დებიუტიდან ორ-სამ წელიწადში არაერთი ლიტერატურული ჯილდო რომ მიენიჭა „ქალის ანგელოზის“, „ამალიას ზარის“, „საით წავიდა ლოლას“, „ტახტისუკანა ჩანაწერების“, „ჩეჩენის“, „დაბრუნებისა“ და ბევრი სხვა მოთხრობის ავტორს და მკითხველმაც რომ შეიყვარა დაუვიწყარი პერონაჟების „დედა“ მხატვრული ოსტატობისა და გულწრფელობისთვის.

— შემოქმედებითი წარმატებების თვალსაზრისით, გამიჭირდება რომელიმე წელი გამოვარჩიო, რადგან ყოველწლიურად რამდენიმე ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობთ და თითქმის ყოველთვის ჯილდოთი ბრუნდებით შინ. გამონაკლისი არც 2015 ყოფილა. მიამბეთ „ოდეონსა“ და „ხვარამზეზე“.

— ასე აეწყო: სტატიებს რომ ვწერდი, ყველამ იცოდა, პროზას რომ ვწერდი — ბევრმა, პოეზიას — არავინ. „ხვარამზემდე“ ლექსებს „ვთლიდი და ჭერში ვაწყობდი“. წელს პირველად მივიღე მონაწილეობა პოეზიის კონკურსში და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, თიანეთში, არტანში გამართულ ხვარამზეობის ზეიმზე პირველადგილოსნისთვის დაწნული ყვავილების ულამაზესი გვირგვინი რომ დამადგეს თავზე.

ხდება ხოლმე, მზიან დღეებს ერთმანეთის მიყოლებით მიგიწყობს ცხოვრება. გინდ ზაფხული იდგეს ფანჯარასთან და გინდა — ზამთარი. ასეთი მზიანდღეები გადაება. არტანიდან დაბრუნებული, ორ დღეში, „ცოცხალ წიგნად“ ფშავ-ხევსურეთს გავემგზავრე. მთელ ოთხ დღეს სააქაო სამოთხეში რომ გაატარებ ქეთი დუმბაძესთან, მარიამ წიკლაურთან, მიხო მოსულიშვილთან, გაგა ნახუცრიშვილთან და სხვა არაჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად, უკეთესი რა უნდა „შეგემთხვას“ ადამიანს... შუაფხოდან ჩარგალში, ვაჟას სახლ-მუზეუმისკენ გზაზე შემატყობინეს ახალი ამბავი — „ოდეონშიც“ პირველი ადგილი მოგაკუთნესო.

„ოდეონში“ მონაწილეობის მიღება კონკურსის განსხვავებული ფორმატის გამო გადავწყვიტე. კონკურსანტი ავტორები იმერეთში ჩაჰყავთ, ცხადდება საკონკურსო თემა, რომელზეც ნაწარმოები 24 საათში უნდა დაწერო. ავტორები ღამეს ღია ცის ქვეშ, კარავში ათენებენ. მეორე დღის ბოლომდე ნაწერებს ტოვებენ, შთაბეჭდილებები და საჩუქრები კი მოაქვთ, სახლში ბრუნდებიან...

— პოეტების გადასვლა პროზაში უფრო ხშირია ხოლმე, ვიდრე — პირიქით. რატომ ხდება ასე, ან რა უძღვის წინ ამ გადასვლასა თუ დასაწყისს, სხვა ჟანრში წერას — სულ მაინტერესებს.

— ჩემს შემთხვევაში, მთლად პროზიდან პოეზიაში „გადასვლას“ ვერ დავარქმევ. პროზის ერთგული ვრჩები. უბრალოდ, არის ხოლმე სათქმელი, განცდა, ემოცია, რომელსაც პროზად თუ იტყვი, ყალბი გამოჩნდება (ან პირიქით, პოეზიის ყალიბს ვერ მოარგებ).სიტყვა ხომ ცოცხალია, არ უნდა გააწვალო, თავის გზაზე უნდა გაუშვა: პროზისა — პროზაში და პოეზიისა — პოეზიაში. ჩემი წილი სათქმელი სიტყვები პროზისაა, თუმცა ყოველთვის მეგულებოდა სადღაც, კუნჭულში, ერთი ფერადი, პოეტური ფთილა. როცა ლექსის განწყობა მოვიდოდა, მივიდოდი ხოლმე, ამოვართავდი, ამოვქსოვდი. ისე, ჩემთვის... ახლა, რაკი ერთხელ გავბედე და „ხვარამზეს“ სამზეოზე გამოვიტანე ჩემი „შალის პერანგი“, ალბათ, მომავლში უფრო გაბედულად „დავგრეხ თოკსა, ბაწარსა“, თუმცა, ისიც შეიძლება, ისევ სკივრში ჩავალაგო და აღარ გამოვფინო... ჯერ უნდა დავაკვირდე, რამხელა გორგალი ამოირთვება ჩემი ფერადფთილისგან, რამდენად გამძლე ნაქსოვი გამოდგება. ფერები დიდხანს გაყვება თუ დრო გადადღაბნის. პროზის შემთხვევაში ყველაფერი, კარგა ხანია, გარკვეულია. პროზა ჩემი შეყვარებულია. ერთმანეთისგან ვიღებთ სასიცოცხლო ენერგიას, ერთმანეთს ვერთგულობთ.

— თქვენი პროზა ხშირად პოეზიასავით ჟღერს. მაგალითად, მოთხრობაში — „28-ე, ანუ მე ჯონის ვღალატობ“ — ენის, თხრობის მანერის, რითმისა და პოეტიკის საოცარი მონაცვლეობაა.

— პროზა უფრო მიწიერია, მყარი, ხელშესახები. უხეშ შედარებას თუ გამოვიყენებთ, ხორცია პროზა, პოეზია კი — სული. მსუბუქი, გამჭვირვალე. ამ სულისა და ხორცის ერთობლიობისგან ვცადე, „28-ე, ანუ მე ჯონის ვღალატობ“ შემექმნა. მთავარი პერსონაჟის— რატომღაც არ მიყვარს „გმირის“ თქმა — ცხოვრება არსებული და გამოგონილი ამბების მონაცვლეობისგან იკინძება. რეალურისა პროზად და წარმოსახვითისა — პოეზიად. მოთხრობის ასეთი გრაფიკული აგებულება თვითონ ტექსტმა მოითხოვა. წარმოსახვით საყვარელთან, მესიტყვესთან შეხვედრის ამბების გადმოსაცემი ენა მსუბუქი უნდა ყოფილიყო, მოფარფატე, მეტი მუსიკა სჭირდებოდა სიტყვებს. ასეთი სიტყვები კი პოეზიისაა.

„პროზის ერთგული ვრჩები“

სხვათა შორის, ამ მოთხრობის პროზაულ ნაწილზე დიდხანს ვმუშაობდი, პოეტურს კი მხოლოდ ხელის შევლება დასჭირდა.ზოგადად, პროზისა და პოეზიის შექმნის პროცესის თავისებურება ხომ ესეცაა...

— დაახლოებით სამი წლის წინათ გაგიცნოთ მკითხველმა მოთხრობით, რომელიც ზემოთ ვახსენე: „28-ე, ანუ მე ჯონის ვღალატობ“. როგორ დაიწყეთ წერა, როგორ მიხვედით იქამდე?

— როგორღაც,„მარტოკინა“ ბავშვი ვიყავი. ჩემს გამოგონილ პერსონაჟებთან უფრო გამომდიოდა ურთიერთობა, ვიდრე რეალურ თანატოლებთან. თითქოს, წერის გარეშე ვიწრო იყო ჩემი ცხოვრება, ოდნავ მკლავებგაშლილი რომ დატრიალდე და წრე შემოხაზო — მაგხელა. მარტოც ძლივს ვეტეოდი.არმომხდარი ამბების შეთხზვა, დაჯერება, არარსებული მეგობრების გამოჩორკნა და ამ პროცესში სხვაგან, გაშლილ სივრცეში თავით გადაშვება დიდი შვება იყო ჩემნაირი მარტოკინასთვის. მართალია, ხმამაღლა ვერთქმული ამბებისგან კი მათავისუფლებდა წერა, მაგრამ ახლა ეს დაწერილი, ვერავისთვის ნაჩვენები ამბები მამძიმებდა. ზედმეტად მორიდებული ბუნების გამო მიჭირდა, თუნდაც მხოლოდ დედაჩემისთვის მეჩვენებინა.ბედნიერებისთვის ხომ ყოველთვის ვზღავთ, რომ სამყაროში არსებული უხილავი წონასწორობა შევინარჩუნოთ.ჰოდა, წერით მოპოვებული სიმშვიდის სანაცვლოდ, ჩემი ფობიების გრძელ ჩამონათვალს ერთიც დაემატა: დედა სადმე არ გადასწყდომოდა ჩემს ნაჯღაბნებს. განა რა უნდა ეთქვა, მაგრამ მაშინ მეგონა, ქვეყანა დაინგრეოდა. დაინგრეოდა და ის წრისხელა ადგილიც ისე ამოიქოლებოდა, ასე მარტოს, მხრებში აწურულსაც ვეღარ დამიტევდა. ერთხელაც, ჩემი აზრით, საუკეთესო სამალავს მივაგენი ჩემი ფურცლებისთვის, მაგრამ როცა აღმოვაჩინე, რომ თურმე დედაჩემიც გარდერობში, გახამებული თეთრეულის ქვეშ ინახავდა სახვალეოდ გადადებულ ფულს, მივხვდი, არ იყო ეს სამალავი სანდო. მოკლედ, პერსონაჟების ფურცელზე გადმოყვანა უმადური საქმე გამოდგა, შევეშვი. „ზეპირად წერა“ დავიწყე. ასე უფრო იოლი იყო, კონტურმოხაზული უხორცო პერსონაჟები გაცილებით მსუბუქები იყვნენ სატარებლად... დეიდაშვილს, მაკას ვუყვებოდი ხოლმე მათ თავგადასავლებს, ოღონდ ხან ნამდვილ ამბებად ვასაღებდი, ხანაც ფილმის სიუჟეტობას ვაბრალებდი. მე მოვიგონე-მეთქი, მეთქვა, გამბედაობა არ მყოფნიდა. წლების მერე რომ გავენდე, ძლივს დავაჯერე.

უცებ რომ მკითხონ, საკუთარი თავი პირველად როდის გააოცეო, ბევრი ფიქრი არ დამჭირდება გასახსენებლად: მეექვსე-მეშვიდე კლასში ვსწავლობდი, ლექსი სკოლის ლიტერატურულ კონკურსზე რომ გავგზავნე, ახლაც მიკვირს მაშინდელი ჩემი თავისგან. მართალია, სამეულის გამოცხადებისას მოკუნტული ვიჯექი დარბაზში და ღმერთს შევთხოვდი, გეხვეწები, ღმერთო, გეხვეწები, ოღონდ ახლა სამეულში როსტიაშვილი არ გამოაცხადონ და მეტჯერ არასდროს არსად არაფერს გადავგზავნი-მეთქი, მაგრამ მაინც გმირია ჩემს თვალში ის პატარა ნათია. ღმერთმა არ შეისმინა ჩემი — რა კარგია, რომ ზოგჯერ არ გვიჯერებს —და გამოვედი დარბაზიდან „ნორჩი პოეტის“ სტატუსით. ეს გამარჯვება იმად იყო კარგი, რომ მთელი ცხოვრება ზურგზე მოკიდებულ ტვირთზე, სიმორცხვეზე გამარჯვებაში დამეხმარა, თუმცა ეს დიდხანს ვერ გაგრძელდა, დერეფანში ერთმა უფროსკლასელმა ბიჭმა ჩამიქროლა სირბილით და მთელი სკოლის გასაგონად დაამღერა: „ნო-ორ-ჩი-ი, მო-ოორ-ჩი-ი!“ ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ დავიზაფრებოდი? ჰოდა, მართლა მოვრჩი ჩემი ტექსტების ხალხში გაყვანას. თითქმის ორმა ათეულმა წელმა ისე ჩაიარა, ნაწერი აღარავისთვის მიჩვენებია.

ერთი და იგივე საქციელი აღარ იწვევს ხოლმე გაოცებას. ამიტომ ვეღარ ვიტყვი, რომ ბევრწლიანი „ისე ვწერ, ჩემთვის“-ის შემდეგ ლიტერატურულ კონკურს „ლიტბუნიობაში“ მონაწილეობის გადაწყვეტილებით ისევ გავაკვირვე საკუთარი თავი. ჩემი მოთხრობა ფინალურ შვიდეულში მოხვდა მიხო მოსულიშვილისა და ირაკლი ლომოურის მოთხრობების გვერდით. მალევე დამიკავშირდნენ „ლიტერატურული პალიტრიდან“ და ჩემი ფინალისტი „28-ე, ანუ მე ჯონის ვღალატობ“ დაბეჭდეს. სხვათა შორის, მეორე, ვინც ჩემი მოთხრობა დაბეჭდა, „ლიტერატურული გაზეთი“ იყო. ალბათ, ერთი ხუთჯერ მაინც გადავიკითხე გულაფანცქალებულმა. დიდი სტიმული იყო ჩემთვის, წერას უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვკიდებოდი და რადგან არც ის „უფროსკლასელი“ ჩანდა ახლო-მახლო, განვაგრძე, აღარ მოვრჩი წერა-გამოქვეყნებას.

მერე იყო „წეროს“ პირველადგილოსნობა, რეზო ინანიშვილის კონკურსში მესამეადგილოსნობა, გოდერძი ჩოხელის მინიატურების კონკურსში ერთდროეულად პირველი და მეორე — კონკურსში ორი მინიატურის გადაგზავნის უფლება გვქონდა — პრემიების მიღების ელდა და ასე...

— თქვენი პროზა ძალიან მოქმედებს. ვფიქრობ, მოკლე მოთხრობით, მინიატურით — როგორიც, მაგალითად, „დაბრუნებაა“ — ასეთი ემოცია გამოიწვიო მკითხველში, ურთულესია და ავტორის ოსტატობაზე მიუთითებს.

— წერის პროცესში არასდროს ვფიქრობ იმაზე, როგორ გამოვიწვიო ემოცია მკითხველში. საერთოდ არ მახსოვს იმ დროს მკითხველი, არავინ მახსოვს და არაფერი მაინტერესებს პერსონაჟების გარდა. მოთხრობის, ზოგადად, ნაწარმოების შექმნა იმდენად ინტიმური პროცესია ავტორსა და პერსონაჟებს შორის, რომ იქ კიდევ ვინმეს ჩარევა სრულიად უადგილო და ზედმეტია. სულ სხვაა უკვე დასრულებული ნაწარმოები. ამ შემთხვევაში, როგორც დოჩანაშვილი იტყოდა: „მკითხველი — ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია, ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი“. მიხარია, როცა ვხედავ, რომ მკითხველამდე მივიდა ის ემოცია, რითაც ტექსტი სუნთქავს. ჩვენ კი, მე და მოთხრობები, ვცდილობთ, გულწრფელები ვიყოთ ერთმანეთშიც და მკითხველთანაც. მკითხველი ხომ უცებ გრძნობს სიყალბეს, ვერ გამოაპარებ.

— ქალი მწერალი, ეს ცალკე საუბრის თემაა. მათ გაცილებით მეტის გაღება უწევთ მსხვერპლად, გამუდმებული „ღალატი“, „მესიტყვე“ სატრფოსთან საიდუმლო კავშირები და ასე შემდეგ. თქვენ რამდენად იგრძენით ქალი მწერლის ხვედრი?

— სასიტყვეთში გადასვლის, სიტყვებთან განმარტოების საჭიროება ქალ მწერლებსაც ისევე აქვთ, როგორც მამაკაც მწერლებს. თუმცა, ქალი ავტორების შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. „დრო მიაქვს ერთი ლექსის სამყოფი /ჯინსის სარეცხს და შემწვარ კარტოფილს“— ეს ლელა სამნიაშვილის სტრიქონებია.

გამუდმებით გიწევს აქედან იქით გადარბენა-გადმორბენა. ხან მეოჯახე ქალისთვის არ გყოფნის დრო საკუთარ თავში, ხანაც — მწერლისთვის.ზოგჯერ დამნაშავედაც გრძნობ თავს, რომ ერთს მეტი დრო დაუთმე მეორის ხარჯზე. ვთქვათ, ხახვი ტაფაზე მიგეწვა (არადა, ოჯახი სადილს ელოდება) იმის გამო, რომ შენ მხოლოდ ერთი პატარა ფრაზის ჩანიშვნას აპირებდი და ეს ოხერი პერსონაჟი კიდევ არ შეგეშვა, არ გამოგიშვა, სანამ მთელი გვერდი არ დაგაწერინა. გამიმართლა, რომ ჩემი მეუღლე კარგი ბიჭია, ჩემს ამ „გასვლებს“ გაგებით ეკიდება. ახლა ერთი ასეთი ამბავი გამახსენდა: ერთხელ მთხოვა, ჩაი დამისხიო. რომ უსტვენს, ისეთი ჩაიდანი გვქონდა მაშინ. გავამზადე კარაქი, ყველი... თან მოთხრობის ფინალზე ვფიქრობ. ადუღდა ჩაი. დაუსტვინა თუ არა ჩაიდანმა, საჭირო ფრაზაც მომაფიქრდა. გადავწყვიტე, ბარემ ბოლომდე გავამზადებ საუზმეს და ფურცელზე მერე ჩავინიშნავ-მეთქი, მაგრამ სანამ პური დავჭერი, ამომიფრინდა თავიდან ეს ძლივს დაბადებული ფრაზა. ვაჰ!.. შემოვდგი ისევ ჩაიდანი ქურაზე, შევალაგე კარაქი და ყველი მაცივარში, ხელახლა გამოვალაგე, ვეცადე, დრო უკან „გადამეხვია“. აი, ვფიქრობ, ამოიღებს ახლა ხმას ჩაიდანი და გამახსენდება, წეღან ამ დროს რა გავიფიქრე.უსტვენს ჩაიდანი, ვდგავარ ჩალურსმნულივით ერთ ადგილას და ვფორიაქობ. აღარ მოდის ფრაზა. სამაგიეროდ, ჩემი მეუღლე შემოდის სამზარეულოში, ჯერ გაოცებული მაკვირდება, მერე მეუბნება:

— ჩაიდანი დუღს.

— ვიცი.

— კარგა ხანია, უსტვენს.

— ჰო, მაგრამ რად გინდა, — ვამბობ გულდაწყვეტილი და ამდენი სტვენისგან ხმაჩახრინწული ჩაიდნის მოსმენას ჯიუტად განვაგრძობ...

— „საით წავიდა ლოლა“ თქვენი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა, ძალზე შთამბეჭდავი და, ასე მგონია, ერთი ამოსუნთქვით დაწერილი. დაიბეჭდა „ჩვენს მწერლობაში“, შემდეგ — „ცისკარში“, დასახელდა „საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებად“ — გამოქვეყნებისთანავე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სრულებით არ მიკვირს, რადგან თქვენი ლოლა ერთ-ერთია იმ პერსონაჟთაგან, მეხსიერებაში რომ სამუდამოდ ჩაგრჩება, თითქოს პირადად იცნობდე და შენზე რაღაცნაირად, მაგიურად მოქმედებდეს, იქნებ, თავის ჭკუაზეც კი გატაროს.

— ჰო, „საით წავიდა ლოლას“ ჩემს ერთგვარ სავიზიტო ბარათად მიიჩნევენ. განსხვავებული, საინტერესო და მისტიკური იყო ამ მოთხრობაზე მუშაობის პროცესი. თითქოს მე, ავტორს კი არ მიმყავდა მოთხრობის სიუჟეტი, პერსონაჟს დავყავდი, ლოლას დავყვებოდი. მკვეთრ კადრებად მოდიოდა ცალკეული სიუჟეტები. ეს, ალბათ, ყველაზე ფოტოგრაფიული მოთხრობაა ჩემს წიგნში — „ჭაღის ანგელოზი“. წიგნამდე „ჩვენს მწერლობაში“ რომ დაიბეჭდა, რამდენიმე მკითხველმაც მომწერა სოციალურ ქსელში, სულ თვალწინ მედგა წაკითხული კადრები, კარგი ფილმი გამოვიდოდა აქედანო.

უცნაურია, მაგრამ ასე იყო: როგორც საყვარელი წიგნის კითხვისას ერთი სული გაქვს, ყველა საქმე უცებ მოამთავრო, რომ შეწყვეტილი კითხვა განაგრძო, ასე ერთი სული მქონდა, საწერად დავმჯდარიყავი და გამეგო, რას დავწერდი, შემდეგ რა მოხდებოდა. მუშაობის პროცესში იყო მისტიკური მომენტებიც, რომლებზეც არ ვსაუბრობ — ჩემი და ლოლას საიდუმლოა. ალბათ, როგორი დიდი იმედგაცრუებაა პერსონაჟისთვის საიდუმლოს ვერშემნახავი ავტორი...

— არ გიფიქრიათ, რომანი დაგეწერათ?

— ძალიან დიდი — შეიძლება, ზედმეტადაც — პასუხისმგებლობით ვუდგები რომანის დაწერის ამბავს. კარგა ხანია, ჩანაწერებს ვაკეთებ. სულ მიკვირს იმ ავტორების, პირველი წიგნის, ნოველების პაწაწუნა კრებულის გამოცემიდან ორიოდ თვეში პირველ რომანს რომ გამოსცემენ, კიდევ რამდენიმე თვეში — მეორეს და ასე... ჩემთვის რომანი ზრდასრული ადამიანივითაა. დრო სჭირდება, „ასაკს“ რომ მიაღწიოს. ბავშვობა უნდა გამოიაროს, ფეხი აიდგას, გაიზარდოს, გამოცდილება დაუგროვდეს, ჩამოყალიბდეს. მაქვს ვრცელი მოთხრობა — „ერთჩრდილიანი ქალაქი“, რომელზეც ორმა, ჩემთვის ანგარიშგასაწევმა ლიტერატორმა მითხრა, თავისუფლად შეგეძლო განგევრცო და რომანად გექციაო. მე მაინც მიმაჩნია, რომ ადრეა. სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ გავიგე, რომ ბატონ ელგუჯა თავბერიძეს კრიტიკულ კრებულში — „ნილოსისფერი პერანგი“ — შეუტანია წერილი — „წვეთში არეკლილი მდინარე (დეტალების ხელოვნება ნათია როსტიაშვილის მოთხრობაში „ერთჩრდილიანი ქალაქი“). ეს ამბავი გამიხარდა, რომანს კი მაშინ დავწერ, როცა ბოლომდე დავრწმუნდები, რომ ამისთვის მზად ვარ.

— ახლა რაზე მუშაობთ და რა გეგმები გაქვთ?

— მქონდა ერთი ძალიან უცნაური პერიოდი, მოთხრობის წერას რომ დავიწყებდი, ეს ჩაფიქრებული სიუჟეტი, მოთხრობის დამთავრებამდე ახდებოდა ხოლმე. სიუჟეტად კი მხოლოდ სასიამოვნო ამბებს როდი ჩაიფიქრებ ადამიანი. თავიდან არაფერი, მაგრამ ბოლოს დავიზაფრე. ოჯახთან ერთად კვარიათში ვისვენებდი. ერთხელაც ჩემმა მეუღლემ ფოტოკამერა აიღო — ფოტოგრაფია — და აჩქარებული ნაბიჯებით წავიდა სადღაც, რაც იმას ნიშნავდა, ახლო-მახლო კარგი კადრია. გავხედე, პლაჟს რეჟისორი გიო მგელაძე და ოპერატორი გიო ბერიძე მიუყვებოდნენ. შეუძლებელი იყო, ყურადღება არ მიგექცია. ჯერ ერთი, ჩაცმულობით გამოარჩევდი (მგელაძის ტროსტი, ქუდი, ჟილეტი... ბერიძის ბაცი, მოშინდისფრო შარვალი და სალათისფერი, თეთრად დაფოთლილი პერანგი), მეორე, უფრო თვალშისაცემი კი ის გახლდათ, რომ საერთოდ არაფერს და არავის უყურებდნენ, ოდნავ ყურადღებასაც კი არ უთმობდნენ. თითქოს სულ მარტონი ყოფილიყვნენ ამდენი ხალხით გადავსებულ, ხმაურიან პლაჟზე. ბოლომდე ჩართულები იყვნენ, სავარაუდოდ, ახალი ფილმის კადრებზე მსჯელობაში. მეუღლეს ვეუბნები: „იცი, ცოცხალ ნოველას ჰგავს ეს ყველაფერი. მკაფიო შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენ ყველანი, მაგ ორის გარდა, უჩინრები ვართ. უნდა დავწერო მოთხრობა, სადაც...“ შინაარსის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იმავე საღამოს დავწერე ნოველა, სადაც ეს „უჩინარი“ ხალხი ამ ორიდან ერთ-ერთს ზღვაში შეიყვანს და ზღვას დაუტოვებს. დილით მეუღლე მეუბნება, რომ გიო ბერიძე ზღვაში დაიხრჩო... იმდენად განვიცადე, ორი ღამე ხომ არ მიძინია და კარგა ხნით საერთოდ შევეშვი წერას. თითქოს ჩემი ბრალი იყო, რასაც ვწერდი, ის რომ ხდებოდა, თითქოს ცუდი ამბების მაცნე ვიყავი. მახსოვს, ბატონ მიშა რატიანს მოვუყევი ფეისბუქით ეს ამბავი, მოგვიანებით — თემურ ჩხეტიანს, ორივემ იმით დამამშვიდა, მწერლის სიტყვამ ახდენა რომ იცის, არახალია, ოღონდ შენ რომ წერ, ეგ ამბები იმიტომ კი არ ხდება, იგრძენი, რომ მოხდებოდა და მაგიტომ დაწერეო.

შორიდან დავიწყე კითხვაზე პასუხის გაცემა. იმ დაუსრულებელ მოთხრობებთან მიბრუნება გადავწყვიტე, რომლებმაც თავიანთი წინასწარმეტყველური ძალით შემაშინეს, შემაშფოთეს და შუა გზაში მხდალივით მივატოვე. მოთხრობების მიმართაც ისევეა საჭირო პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც ადამიანების მიმართ. ჰოდა, უნდა დავბრუნდე, დავასრულო. ვფრთხილობ. სიტყვა ხომ დიდი ძალაა, სწორად უნდა შეარჩიო.

ვიწყებ...

ესაუბრა თამარ ჟურული

მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე)

ისევ ცისა და ისევ მიწისა

ჩამოისვენეს მწვერვალებზე თეთრ ღრუბლებმა,
გამოერიდნენ ჩრდილოეთიდან მობერილ ქარებს,
ქარავანსაც და-ძმებისას — შინისაკენ, ცად მიმავალთ.

ჩამოსხდნენ მთებზე დაღლილნი და დამძიმებულნი,
ჩაფიქრებულნიც,
ისე,
პატარძალი რომ ჩამოიმუხლებს წყლით სავსე ჩაფით
წყაროსთან, ლოდზე.
გადაფითრდება.
აუჩქროლდება მკერდის ფეთქვა.
შეტოკდება გულისგულში კრძალვით სინორჩე,
ერთი ციდა.
....
ო, ნამცეცა დასაწყისო დედაშვილობის...
.....
ხოლო ღრუბლები ამ სიმაღლეზე
ჩამომსხდარიყვნენ შინაურულად,
ოღონდ მთელი დიდებულებით
და თავდინჯად
თითქოს ექოდ აქ შემოჭრილ მარადისობას
უამბობდნენ ცისას კი არადა —
მიწის ამბავს.

→

კობა ცხაკაია

ფედერიკო, სიცარიელე და ზენა

დასასრული

კუთხეში წამომჯდარ სატრფოს შეხებოდა. ბუტბა უკუნეთიდან გამოშვერილ ფეხს მოეფერა... კოხტა თითები, უფერული ფრჩხილებით დეგას ბალერინას ტერფს ჰგავდა. კაცს მეტის დანახვა სურდა, მაგრამ ფეხი ჯერ კონტურებად, შემდეგ კი მოციმციმე წერტილებად იშლებოდა და, ბოლოს სიბნელით იფარებოდა.

— არა! — სევდიანი ღიმილით უპასუხა ფედერიკომ.

— არც მართალი ხარ, არც ბედნიერი და არც ცხოვრობ! — გაეცინა ქალს, — სიცარიელეში ყოფილხარ გამოკიდებული.

— ჰოო, ასეც შეიძლება ყოფნა! — თქვა ბუტბამ, — გასხოვს სიმღერა „მუმლი მუხასაო“?

— რაღაც მახსოვს! გიმღერო? — ჰკითხა საყვარლის უცნაურობებს მიჩვეულმა ზენამ.

— ზენა რას ნიშნავს?

— რაღაც ზეციურს! ზუსტად არ ვიცი! — მხრები აიჩეჩა ქალმა.

— არც მართალი ვარ, არც ბედნიერი და არც ვცხოვრობ! — ლოცვასავით წარმოთქვა კაცმა და პირველმა წაიღიღინა ნაცნობი მელოდია. ძირასა აჰყვა... სიმღერას ქალის სევდიანი ხმა მეტ მომხიბლველობას მატებდა. სიტყვები მალე დამთავრდა, მაგრამ ფედერიკომ თავიდან დაიწყო... ქალიც არ ჩამორჩა, ოღონდ ამჯერად უფრო მეტი ენერგიითა და ხალისით ამღერდა... კაცმა საოცარი სიმსუბუქე იგრძნო და მიხვდა — „ჩემი „ბედის“ სახელოვანი ბიოგრაფიის“ ცარიელი ფურცლები, როგორი ამბით უნდა შეივსოს... უეცრად უკუნეთი გაკრული ხელით დაწერილი ტექსტებით დაიფარა. სიბნელე ლაჟვარდისფერმა მელანმა ასოებით, მარცვლებით, სიტყვებითა და სასვენი ნიშნებით შეავსო... ბუტბა მონუსხულივით კითხულობდა ირგვლივ გაჩენილ ტექსტს და ხედავდა, როგორ იფარებოდა სიცარიელე მოძრავი, ფერადი ნახატებით.

„მოთხრობა იქნება ერთ ომის ვეტერან კაცზე, რომელიც ყოველდღე დადის ნახევრად მიტოვებულ ქალაქში... ის, ძირითადად, თავისი ბავშვობის ადგილების მოსანახულებლად მიიჩქარის და ყოველ ჯერზე პოულობს ქუჩაში დაგდებულ პლასტმასის ბოთლს, რომელსაც ავსებს ერთ-ერთი გადამწვარი სახლის წინ აღმოჩენილი სასმელი წყლის დაზიანებული მილიდან. ეს წყალი კი მიაქვს ხანგრძლივი გვალვისგან გახმობამდე მისულ ხესთან... ათასწლოვან მუხასთან... და რწყავს მას... მერე ცოტა ხნით ჯდება მის ჩრდილში. იხსენებს წარსულს... ბოლოს სევდამორეული მიდის სახლისკენ, ხოლო ბოთლს ნაგვის ყუთში აგდებს... ასე მეორდებოდა ყოველ დღე. სეირნობა, გადაგდებული ბოთლის პოვნა, გატეხილი მილიდან წყლის ავსება, ხის მორწყვა. ჩამოჯდომა. მოგონებები... კეთილი სევდა და გამოყენებული ბოთლის ნაგავში გადაგდება...

ეს კაცი ყოველ დღე შეჰყურებს გვალვისგან დამჭკნარ ფოთლებს... ლოცულობს, რომ ხე არ გახმეს... ოცნებობს და სჯერა:

ერთხელაც დადგება ის დრო, როცა გადამწვარი სახლების პატრონებთან ერთად ჩამოჯდება მუხის ჩრდილში. გახედავს ზღვის უკიდეგანო სივრცეს, მოწრუპავს ყავას, ზოგჯერ ღვინოსაც და ადამიანურად დაისვენებს... მოისვენებს.

ის მადლიერია ღმერთის... რადგან, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქუჩაში აგდებენ ბოთლებს... ასევე, არსებობენ ადამიანები, რომლებიც მენაგვეები არიან, მაგრამ ეზარებათ ამ ბოთლების მოგროვება და გადაყრა. მადლიერია, რომ ცხოვრობენ ისეთი ადამიანები, პროფესიით სანტექნიკოსები, რომლებიც წყლის დაზიანებულ მილს არ აკეთებენ... საიდანაც ეს კაცი აღებულ წყალს უსხამდა კლდეზე მძლავრი ფესვებით ჩაჭიდებულ ხეს. მუხაც... მადლიერია, უკან დაბრუნებულ მეზობლებთან ერთად ხის ჩრდილში ადამიანურად დასვენების და ზღვის უკიდეგანო სივრცის ცქერის — ოცნების საშუალება რომ აქვს...

აი, ასე იქმნება ადამიანის გაფუჭებული რამდენიმე საქმიდან ერთი ღვთიური და საოცარი მადლი...

„რადგან ვიმეორებ, არსებობს ამ ქვეყანაზე კაცი, რომელსაც ყოველთვის ავიწყდება ჭურჭლის სახლიდან წამოღება და ამიტომ გადაგდებული ბოთლით გატეხილი მილიდან ყოველდღე იღებს წყალს და უსხამს გახმობამდე მისულ ხეს...“ — გაიფიქრა ბუტბამ, — „მუხას, რომელიც აუცილებლად გადარჩებოდა. აუცილებლად. ამ მოთხრობას უნდა დაერქვას „**ნაგავი**“ ან „**ნამი**“...

— ზე... ზე-ცი-უ-რი ნა... ნა-მი! ზე-ნა! — კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა ფედერიკომ და საყვარელი ქალის ლამაზ ფეხს ბილიკივით აუყვა, რათა სისასტიკეში დაკარგული დროით, დამსხვრეულ წარსულით და ნატყვიარებით უმოწყალოდ დახვრეტილი სულით, მოხვეოდა და ჩახუტებოდა, დაწაფებოდა მშობლიურ, ნეტარ, მომლოდინე, მშვენიერ... და მაცოცხლებელ... ზე-ნას...



მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ

წყაროს რაკრაკის ხმას რომ მივყევი
ზამთრის ძილისგან გამოღვიძებული
და შენს საფლავს ვერ მივაგენი სხვა ბორცვთა შორის,
ვერ მოგიტირე,
იმ დღიდან მოლოდინად მექცა
მზის და მთვარის ამოსვლა,
ბოლო თოვლჭყაპი,
ყურძნის შეთვალვა...
მანამდე კი?!

ზუსტად მახსოვს:
ცამეტჯერ ცამეტი რამდენიც არის,
იმდენჯერ ცამეტჯერ ჩამოვირბინე
აკანკალებულ-აძაგძაგებული ხორცით,
დამძიმებული გულ-ფიჟვით,
თვალებგადმოცვენილმა,
ფეხშიშველმა,
ჭვინტიან ქოშებში ფეხწამდგარმა,
დახვრეტილი, სპილოსძვლისტარიანი ქოლგით,
უქოლგოდაც,
თმაგაწეწილმა,
წვერგაბურძგნულმა,
თავდაღმართში,
აყალოიან ტალახში,
ბებრული სირბილით
(თუ უფრო ფაცაფუცით?!),
თან პერანგს ვიტანიებდი
სიბნელეში უკუღმა წამოცმულ შარვალში,
თავსაკრავს ვიკრავდი მაგრად,
საფეთქლებს რომ სალტედ ეგრძნოთ,
ოფლიან შუბლზე ჩამოშლილ თმას უკან ვაბრუნებდი,
შარაგზამდე მოვირბინე
და შენსკენ ვიხედებოდი:
ამ გზით გაგაცილე
და ამ გზასვე უნდა დაებრუნებინე ჩემთვის!

უდაბნო და უკაცურობა დამახვედრეთ შენ და გზამ!

მე კი —
ხან მიმავალს გხედავდი ამ გზაზედ,
უკან-უკან მაცქერალს,
ხანაც მომავალს, სევდიანად მომზირალს,
ტანჯვით, ვაებით, ჭირგამოვლით რომ კეცე, კეცე
და ვერასგზით ვერ დაკეცე
შინმოსასვლელი გზა,
ხოლო მე ვაშრე,
გულს მოდებულ ცეცხლზეც ვაშრე
და ვერაფრით ვერ დავაშრე
ეს ფიქრ-ჯავრისა
და ვარამ-ნაღვლის ენა წყლიანი,
ხოლო ზღვა კი აკი კოვზით დაილიაო
და ცრემლის ზღვა — წვეთწვეთობითაო.
ყოველ უთენია ვკრავდი ხელს
ურდულიან ხის კარებს,
ისიც ჩემი ხელის კვრაზე პასუხად
მიდიოდა,
მოდიოდა
და იქვე კი იდგა დღე და ღამე.

ჩაგაცქერდი,
პასუხი რომ ამომეკითხა წარბებშუა ნაოჭებზე,
სახეაქეთმობრუნებული რაკიღა შეგისწარი!
მე ხომ ჭადსაც ისე ვზელ, თასს არ ვუცქერი,
და წყალსაც ისე ვუსხამ სიცხისაგან ღონემიცლილ
ჭუკ-წინილებს და ვარია-ყვინჩილებს,
ნაჯახსაც ისე ვუღერებ უნაყოფო ბებერ მსხალს,
თოხს —
დამსკდარ საყანე მიწას,
ლურჯტარა ფართოპირიან დანას —
საშობაო ღორის გულ-კისერს,
საჩეჩელს —
ბანზე გამოფენილ მატყლს,
სახრეს —
ცალუღელ ხარს,
კვეთიანი ქილიდან ამოღებულ ხის კოვზს —
ნელ ცეცხლზე შემომდგარ რძიან ქვაბს,
სამერთად შეკრულ ჯვრიან მარჯვენას —
უკუნეთს,
წამახულ შალაშინს —
სააკვნე და საკუბოვე ფიცრებს,
თოფს —
მგელ-დათვს,
ჯოხს —
ძაღლს,
მჯიღს —

მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე)

გულისფიცარს,
რომ მზერა-ცქერას, გულისასაც და თვალისასაც —
მარტო შენ გაპყრობ!
შენ —
ჩემო გაუხარელო პაპაჩემებო!
ჩემო უტკბილესო დიდედაჩემებო!
შენ, მამაჩემო!
ჩემო ბიჭებო, დედისა და მამისერთებო!
ჩემი სოფლის ნამუსო და უმანკოებავ —
სამეზობლოს შინაბერებო!
ჩემო ძმაო და ბიძაშვილო,
მამიდაშვილო!
ჩემო ნათლიმამ!
ჩემო ცოლო,
ქმარო,
ძუძუმტევ!..
არ გამახარეთ —
არ მომიბრუნდით:
არც ჭიუხებიდან,
არც იმ ომიდან,
არც სასაფლაოდან...

ტყვიამ რომ გამეტება იცის, რა, პირველად გაიგონე?
ან — ამხანაგმაც რომ...
ან — იღბალმა და უიღბლობამ, ვიდრე დაობენ...
გაღმა სოფლიდან სახლში მოსვლას რაღა უნდოდა?
ან იმ თოვლიან-ყინულიანმა სიშორემ თეთრმა
რანაირად გაცდუნა ჩვენებური კაცი, მითხარი?
სად გინახავს, ყველა დედა რომ
მშობიარობას გადაჰყოლოდეს?
 დიახ, მტერს უნდა კვეთებოდი შავლეგოსავით
და გამარჯვების მაცნე მხედარს, სისხლისგან დაცლილს,
თეთრი მანდილით გაგიკრავდი ღრმა იარას,
ხოლო შავს ზედ გადვიფარებდი...

განა არ ვიცი, ტანჯვა-ვაებით, სიმწრითაც რომ კეცე,
კეცე
და ვერასგზით ვერ დაკეცე
შინმოსასვლელი გზა და კვალი.
ამასობაში მეც ხომ, უბედური, უსაქმურად არ ვიჯექი:
რამდენი ვაშრე, ვაშრე გულს მოდებულ ცეცხლზეც
და მინავლებულ ნაღვერდალზეც,
და ვერაფრით ვერ დავაშრე
ეს ფიქრ-ჯავრისა და ვარამ-ნაღვლის ენა ამოდგმული.
მარტოკა ცრემლის ზღვა დამელია
ღაპა-ღუპით.

...გამოფიტული ვარ მარტოობაღა,
გუდაფშუტასავით,
რადგან ყველა კაცის მარტოობას დაარწყულებს რამე,
მერცხლის ბუდე (ცარიელიც),
ბადიში
ან წერილი მაინც ქალაქიდან,
ან სანადირო თოფი, შენი ხელმონაკიდი,
ან თოხი, ბოლოჯერ ორმოცდახუთი წლის წინ
ზღურბლთან მიყუდებული;
ნაბადი, რომელშიაც გულწასული შეახვიე გულისსწორი
გულანგრეულმა,
ან სიზმარი,
ან ერთი ღამე მაინც,
ცოლქმრობის სარეცელს თავზე წამომდგარი,
ომისდროინდელი თონის სურნელი
ან დედის რძის წვეთის გემო უხსოვარი...

მე?!

მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ,
შავ მტვრად ვიქცევი,
რადგანაც ჩემში გულისა და ფიჟვის მაგივრად
გამოფიტული სუნთქავს-ფეთქავს მარტოობა,
გუდაფშუტასავით.

მოლოდინად მექცა მზის და მთვარის ამოსვლა,
ბოლო თოვლჭყაპი,
ყურძნის შეთვალვა
და წითელ ფოთლის ტანგოც ნელი,
უკანასკნელი...

გამოფიტული დავალ
მარტოობა!

ნისლებში აფრენილ ბილიკთან

დაგლოცოს,
ვისიც სიყვარული არის
ნათლობის სახელიც
და კესანეს ყვავილის ფიქრებში სუნთქვაც!
დაგლოცოს, მის ხელს რომ გამოჰყევი
და ჩემთან მოკუნტრუშდი ბატკანივით,
არა — ჩემი არემარის
ყველა ფერდობისა და მდელოს სიმწვანეს
მოდებული ბევრი ბატკანივით!
ო, როგორ მენატრებოდი, წვიმათწვიმავ,
და შენც ერთგულად გამიწვიმდი-დამეღვარე
სამსხვერპლო შესაწირად
ჩემთვის უცნობი და უცნაური
(ალბათ მომავლის წვიმების)
ხმების და ბგერების თანხლებით
დღეს,
ახლა,
ამ მზისგულზე
რადგან არც გელოდი და
აკი ვერც მოვიცალე,
მესმინა შენი ორმოცდამეთორმეტე სონეტისათვის
ვაიმარული რვეულიდან!
ვერ მოვიცალე,
ღია აივნიდან მეცქირა
შენი წვიმიანი პეიზაჟისთვის,
რადგან არ ჰქონდა ჩემს ქოხს აივანი,
მითუმეტეს გულმოღეღილი...
მერე როდესაც შენი დაღვრილი წყლები
მზის სიმხურვალემ ორთქლად აიტანა
მთისწვერთა მიღმა —
ზეცამ შეიწირა მსხვერპლი,
მე ჩემს რვეულებს ჩავყურებდი და
დაჟინებით გადამქონდა მზერა მიწისკენ —
ჩავშტერებოდი იმ დაჯერებით,
რომ მიწათმიწა — ის მთავრდება იქ, სიღრმეებში
ზუსტად ისე, როგორც იწყება ჩემთან აქ, ლოდქვეშ,
უბალახო გადატკეპნილ ბილიკით
(და ბილიკის დარდით),
რომელსაც თავდავიწყებით, არა,
ჩიტივით უყვარს სიმაღლე,
მთისწვერს რომ გასცდა
და ამიტომაც,
როცა იქვე, ჭიშკრის მიღმა
წაბლისა და ნაძვის ხეების
სულ პატარა კორომს გასცდება,
ანწლების იქით გაივაკებს,
გაიშლება, ამოისუნთქავს,
ტკივილამდე შეიკუმშება
მიტკლისფერშუბლდასახიანი ბერიკაცის
ძველი გულივით
და მოწყდება დედამიწას —
აიჭრება!
აი, მთისწვერზე მაღალი ზეცა,
საითაც მიქრიან ჩიტები, ბილიკები, დაჭრილი გულები...

იმათ კი — მეზობლის და გაღმელ მეველის
ჯვარედინ ჯოხებზე წამოცმულ ძონძმანძებს —
ჰგონიათ, რომ მიწას ჩავცქერი
ან მართლა სიგიჟემდე წვიმა მენატრება...
მე კი, უბრალოდ, არ მინდა მიმიხვდეს წვიმა და
წყლის გული ეტკინოს,
ნაღველმა გაუშროს მკერდძუძუ.
რა ვქნა, ან რა ვუთხრა,
რომ ვღალატობ ლექსებთან?!
რომ ახლაც ამ ღამეს მე თეთრად ვათენებ
ნისლებში აფრენილ ბილიკთან...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004